



ბრიუსელი, 1.2.2023

SWD(2023) 31 საბოლოო

ევროკომისიის თანამშრომლების სამუშაო დოკუმენტი

ანალიტიკური ანგარიში

რომელიც მომზადდა

**ევროპის პარლამენტში, ევროპული საბჭოსა და საბჭოში ევროკომისიის
კომუნიკაციის შემდეგ**

**ევროკომისიის მოსაზრება საქართველოს ევროპის კავშირში გაწევრიანების
განაცხადის თაობაზე**

A. შესავალი	4
ანალიტიკური ანგარიშის შინაარსი	4
B. წევრობით დაკისრებული ვალდებულებების აღების შესაძლებლობა	4
ჯგუფი 1: გაწევრიანების პროცესის საფუძვლები	5
თავი 23: სასამართლო სისტემა და ძირითადი უფლებები	5
თავი 24: მართლმსაჯულება, თავისუფლება და უსაფრთხოება	5
თავი 5: სახელმწიფო შესყიდვები.....	13
თავი 18: სტატისტიკა	15
თავი 32: ფინანსური კონტროლი	18
ჯგუფი 2: შიდა ბაზარი	21
თავი 1: საქონლის თავისუფალი მოძრაობა.....	21
თავი 2: მუშაკთა მოძრაობის თავისუფლება	24
თავი 3: დაფუძნების უფლება და მომსახურების მიწოდების თავისუფლება	27
თავი 4: კაპიტალის თავისუფალი მოძრაობა	28
თავი 6: საკორპორაციო სამართალი	29
თავი 7: ინტელექტუალური საკუთრების სამართალი	31
თავი 8: კონკურენციის პოლიტიკა	32
თავი 9: ფინანსური მომსახურება	34
თავი 28: მომხმარებელთა და ჯანმრთელობის დაცვა	37
ჯგუფი 3: კონკურენტუნარიანობა და ინკლუზიური ზრდა	40
თავი 10: ციფრული ტრანსფორმაცია და მედია	40
თავი 16: საგადასახადო დაბეგვრა	43
თავი 17: ეკონომიკა და მონეტარული პოლიტიკა.....	44
თავი 19: სოციალური პოლიტიკა და დასაქმება.....	46

თავი 20: მეწარმეობა და ინდუსტრიული პოლიტიკა	49
თავი 25: მეცნიერება და კვლევა	51
თავი 26: განათლება და კულტურა	53
თავი 29: საბაჟო კავშირი	56
ჯგუფი 4: მწვანე შეთანხმება და მდგრადი დაკავშირებადობა	57
თავი 14: ტრანსპორტი.....	57
თავი 15: ენერჯია.....	60
თავი 21: ტრანს-ევროპული ქსელები	63
თავი 27: გარემო და კლიმატის ცვლილება	66
ჯგუფი 5: რესურსები, სოფლის მეურნეობა და ერთიანობა	71
თავი 11: სოფლის მეურნეობა და სოფლის განვითარება	71
თავი 12: სურსათის უვნებლობის, ვეტერინარული და ფიტოსანიტარიული პოლიტიკა	74
თავი 13: თევზჭერა	77
თავი 22: რეგიონული პოლიტიკა და სტრუქტურული ელემენტების კოორდინაცია ..	79
თავი 33: ფინანსური და საბიუჯეტო დებულებები.....	82
ჯგუფი 6: საგარეო ურთიერთობები	83
თავი 30: საგარეო ურთიერთობები	83
თავი 31: საგარეო, უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა	85

*

A. შესავალი

ანალიტიკური ანგარიშის შინაარსი

წინამდებარე ანალიტიკური ანგარიში ასრულებს ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით საქართველოს განაცხადის თაობაზე 2022 წლის 17 ივნისს მიღებულ ევროკომისიის მოსაზრებას.¹ ის აფასებს ქვეყნის ზოგად უნარს, დაიცვას წევრობით დაკისრებული ვალდებულებები, ანუ ევროკავშირის კანონმდებლობის მთლიანი კორპუსი, როგორც განსაზღვრულია [სადამფუძნებლო] შეთანხმებით, მეორადი კანონმდებლობითა და ევროკავშირის პოლიტიკით (ევროპის კავშირის კანონმდებლობა (*acquis*)).

ანალიტიკური ანგარიში არის სტრუქტურული შეფასება ევროპული საბჭოს მიერ 1993 წელს კოპენჰაგენში მიღებული და ევროპული საბჭოს შემდგომი გადაწყვეტილებებით დადგენილი კრიტერიუმების მიმართ. ის განავითარებს იმ ცოდნასა და გამოცდილებას, რომელიც მიღებულ იქნა საქართველოსთან ევროკავშირის ხანგრძლივი მჭიდრო თანამშრომლობისა და მის მიერ 2022 წლის 11 და 19 აპრილს დეტალურ კითხვარებზე პასუხების შედეგად. ასოცირების შეთანხმება, მათ შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ შეთანხმება (AA/DFCTA) მოიცავს ევროკავშირის კანონმდებლობის მნიშვნელოვან ნაწილს. ის ასევე იძლევა ყოვლისმომცველ ინსტიტუციურ მოწყობას ორმხრივი დიალოგისა და საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან თანდათანობითი დაახლოების პროცესის მონიტორინგისთვის. 2016 წლიდან, საქართველოს მიერ ევროკავშირის კანონმდებლობის განხორციელება წარმოდგენილია ევროკავშირის წლიურ „ასოცირების განხორციელების ანგარიშებში“. წინამდებარე ანალიტიკური ანგარიში არ ეხება საქართველოს ხელისუფლების მიერ არაკონტროლირებადი ტერიტორიების მდგომარეობას.

წინამდებარე ანგარიში ყურადღებას ამახვილებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობაზე ევროკავშირის კანონმდებლობის 33 თავთან, გარდა იმ სფეროებისა, რომელიც დეტალურად იყო მოცული მოსაზრებაში. ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკისთვის გაფართოების გადამუშავებული მეთოდოლოგიის² მიღების შემდეგ, ევროკავშირის კანონმდებლობა დამატებით სტრუქტურირებულია ექვს თემატურ ჯგუფად (*cluster*).

წინამდებარე ანგარიში აფასებს 2022 წლის ივნისისთვის არსებულ სიტუაციას, როდესაც ევროკომისიამ გამოაქვეყნა თავისი გადაწყვეტილება. არსებული მდგომარეობის აღსაწერად ანგარიშში გამოყენებულია შემდგომი შეფასებითი სკალა: ადრეული სტადია, მომზადების გარკვეული დონე, საშუალოდ

¹ COM (2022) 405 საბოლოო.

² COM (2020) 57 საბოლოო.

მომზადებული, მომზადების კარგი დონე და საკმაოდ განვითარებული.

ევროპული საბჭოს 2022 წლის 24 ივნისის მოწვევით, ევროკომისია, მისი გაფართოების რეგულარული პაკეტის ფარგლებში, მოსაზრებაში დასახელებული პრიორიტეტების შესრულების თაობაზე წარმოადგენს ანგარიშს.

B. წევრობით დაკისრებული ვალდებულებების ადების შესაძლებლობა

ჯგუფი 1: გაწევრიანების პროცესის საფუძვლები

აღნიშნული ჯგუფი მოიცავს შემდეგს: სასამართლო სისტემა და ძირითადი უფლებები (თავი 23); მართლმსაჯულება, თავისუფლება და უსაფრთხოება (თავი 24); სახელმწიფო შესყიდვები (თავი 5); სტატისტიკა (თავი 18) და ფინანსური კონტროლი (თავი 32).

თავი 23: სასამართლო სისტემა და ძირითადი უფლებები

წინამდებარე თავის შინაარსი მოცემული იყო ევროკომისიის მოსაზრებაში.

თავი 24: მართლმსაჯულება, თავისუფლება და უსაფრთხოება

ევროკავშირს აქვს საერთო წესები, რომლებიც არეგულირებს სასაზღვრო კონტროლს, ვიზებს, ბინადრობისა და სამუშაო ნებართვებს, საზღვარგარეთ მიგრაციასა და თავშესაფარს. შენგენის თანამშრომლობა ნიშნავს ევროკავშირის შიგნით სასაზღვრო კონტროლის მოხსნას. ევროკავშირის წევრი ქვეყნები ასევე თანამშრომლობენ საქართველოსთან ორგანიზებულ დანაშაულთან, კორუფციასა და ტერორიზმთან ბრძოლასა და მართლმსაჯულების, პოლიციისა და საბაჟო საკითხებში, ევროკავშირის მართლმსაჯულებისა და საშინაო საკითხების ყველა ორგანოს მხარდაჭერით.

მართლმსაჯულების, თავისუფლებისა და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობა შეადგენს ევროკავშირსა და საქართველოს შორის დადებული ასოცირების შეთანხმების მნიშვნელოვან ნაწილს. 24-ე თავი ნაწილობრივ მოცემულია მართლმსაჯულების, თავისუფლებისა და უსაფრთხოების შესახებ III კარში.³ ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების 2021–2027 წლების დღის წესრიგი ასევე ადგენს მოკლევადიან და საშუალოვადიან პრიორიტეტებს ერთობლივი სამუშაოსთვის მართლმსაჯულების, თავისუფლებისა და უსაფრთხოების ნაწილებში.⁴ ვიზის შეჩერების ინსტრუმენტი ასევე ფარავს სასაზღვრო კონტროლს, საზღვარგარეთ მიგრაციასა და თავშესაფარს.

ბრძოლა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ

აღნიშნული ნაწილი მოცემულია ევროკომისიის მოსაზრებაში.

³ Association_agreement.pdf (europa.eu).

⁴ ევროკავშირი–საქართველოს ასოცირების საბჭოს 2022 წლის 16 აგვისტოს რეკომენდაცია No 1/2022 ევროკავშირი–საქართველოს ასოცირების 2021–2027 წლების დღის წესრიგის შესახებ [2022/1422].

თანამშრომლობა ნარკოტიკების სფეროში

ინსტიტუციური მოწყობა და სამართლებრივი შესაბამისობა

საქართველოში ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის **სამართლებრივი ჩარჩო** შედგება სპეციალური კანონმდებლობისა და სისხლის სამართლის კოდექსის ნორმებისგან, რომელიც მოიცავს სისხლისსამართლებრივ და ადმინისტრაციულ სანქციებს. საქართველო არის ნარკოტიკების კონტროლის შესახებ შესაბამისი საერთაშორისო კონვენციების წევრი. ნარკოტიკებთან ბრძოლის სამართლებრივი ჩარჩო ნაწილობრივ შესაბამისობაშია ევროკავშირის კანონმდებლობასთან. სისხლისსამართლებრივი ნარკოტიკული დანაშაულისათვის მინიმალურ სასჯელებთან დაკავშირებული წესები და სანქციები საჭიროებენ შემდგომ ჰარმონიზაციას.

საქართველოს აქვს ნარკოვიტარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი და ადრეული გაფრთხილების ეროვნული სისტემა ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ. ნარკომანიასთან ბრძოლის საბჭო არის უწყებათაშორისო საბჭო ნარკოტიკების ავადმომხმარებასთან საბრძოლველად და მას თავმჯდომარეობს იუსტიციის მინისტრი.

ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის **ეროვნული სტრატეგია** მიღებულ იქნა 2013 წელს. ის განხორციელდა თანმიმდევრული სამოქმედო გეგმების საშუალებით, ამჟამინდელი მოიცავს რა 2021–2022 წლების პერიოდს. 2021 წელს საქართველომ მიიღო ნარკოტიკების ავადმომხმარების პრევენციის ეროვნული პირველი ცალკე სტრატეგია (2021–2026), რომელიც გამიზნულია ქვეყანაში ნარკოტიკული ნივთიერებების ავადმომხმარების პრევენციისთვის ეფექტური, თანმიმდევრული და კარგად კოორდინირებული მექანიზმის შექმნისკენ.

განხორციელება და აღსრულების შესაძლებლობა

2020 წელს, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 1162 პირის წინააღმდეგ ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებულ დანაშაულზე. აქედან 840–ს წაუყენეს ბრალი და 743–ს მსჯავრი დაედო და ამ მსჯავრდადებულებიდან 8–ს მიესაჯა პატიმრობა.

იუსტიციის სამინისტრომ ხელი მოაწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს ევროპის ნარკოტიკებისა და ნარკომანიის მონიტორინგის ცენტრთან (EMCDDA). აღნიშნული ხელახლა იქნა მოლაპარაკებული 2021 წელს და შეიცვალა სამუშაო შეთანხმებით EMCDDA–სა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შორის, რომელსაც ხელი მოეწერა 2022 წლის სექტემბერში.

სამინისტრო მოქმედებს როგორც ეროვნული პასუხისმგებელი პირი ევროპის ნარკოტიკებისა და ნარკომანიის მონიტორინგის ცენტრისა და რეიტოქსის (Reitox) – ნარკოტიკებისა და ნარკომანიის შესახებ ევროპული საინფორმაციო ქსელისთვის.

2022 წელს დაფუძნდა ნარკოტიკების საინფორმაციო სისტემა, ნარკოტიკული სიტუაციის მონიტორინგისა და ქვეყანაში შესაბამისი უწყებების სამუშაოს კოორდინირების მიზნით.

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა

ინსტიტუციური მოწყობა და სამართლებრივი შესაბამისობა

არსებობს მუდმივმოქმედი უწყებათაშორისი კომისია, რომელსაც თავმჯდომარეობს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი და რომელიც შედგება მინისტრებისგან, 21 სამინისტროსა და ორგანოების ხელმძღვანელებისგან. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური პასუხისმგებელია ტერორიზმთან დაკავშირებულ ინციდენტებსა და გამოძიებებზე. მისი კონტრტერორისტული ცენტრი აწარმოებს კონტრტერორისტულ მონაცემთა ბაზას, რომელიც ყოველდღიურად ახლდება ცენტრის მიერ მოგროვებული ინფორმაციის საფუძველზე. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური პასუხისმგებელია ტერორიზმის დაფინანსების შემთხვევების გამოძიებაზე.

ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ კანონმდებლობა უმეტესწილად დაახლოებულია ევროკავშირის კანონმდებლობასა და შესაბამის საერთაშორისო სამართალთან.

საქართველოს აქვს ყოვლისმომცველი სამართლებრივი ჩარჩო ტერორიზმის დაფინანსების კრიმინალიზაციისთვის და მიღებული აქვს კანონი ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ. თუმცა საქართველო ნაწილობრივ შესაბამისობაშია ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციასთან ფინანსური გამოძიების დამოუკიდებელი/დამოუკიდებელი ფინანსური საინფორმაციო ერთეულის შესახებ.

2022–2026 წლების ეროვნული კონტრტერორისტული სტრატეგია და მისი შესაბამისი სამოქმედო გეგმა მიღებულ იქნა 2022 წელს.

ევროკავშირისა და საქართველოს შორის კონტრტერორისტული პოლიტიკის შესახებ დიალოგი მიმდინარეობს მართლმსაჯულების, თავისუფლებისა და უსაფრთხოების ქვეკომიტეტის ფარგლებში.

განხორციელება და აღსრულების შესაძლებლობა

საქართველო ჩართულია ტერორიზმთან ბრძოლის საერთაშორისო მოქმედებებში და ისლამური სახელმწიფოს (დაეშის) წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური კოალიციის აქტიური წევრია. საქართველოს აქვს შესაბამისი რესურსები, პრევენციულად ებრძოლოს ტერორიზმს. საქართველოს ხელმოწერილი აქვს საერთაშორისო ორმხრივი შეთანხმებები ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ 29 პარტნიორ ქვეყანასთან, მათ შორის 17 ევროკავშირის წევრი ქვეყანაა. საქართველოში ონლაინ–სივრცის გამოყენება ტერორიზმის

მხარდაჭერის ან მოწოდების მიზნით სისხლის სამართლის დანაშაულია.

სამოქალაქო და სისხლისსამართლებრივ საკითხებში სასამართლო თანამშრომლობა

საქართველო არის საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ ჰააგის კონვენციის წევრი და მისი ექვსი ძირითადი კონვენციის, მათ შორის დოკუმენტების ჩაბარების კონვენციის (1965), მტკიცებულებათა მოპოვების კონვენციისა (1970) და ბავშვთა საერთაშორისო მოტაცების შესახებ კონვენციის (1980), მხარე.

საქართველოს არ აქვს რატიფიცირებული სასამართლოს არჩევის შეთანხმების შესახებ კონვენცია (2005), ბავშვთა მხარდაჭერისა და ოჯახის შენარჩუნების სხვა ფორმების კონვენცია (2007) და მისი ოქმი შენარჩუნების ვალდებულებების შესახებ სამართალზე და კონვენცია სამოქალაქო ან კომერციულ საკითხებში უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებების აღიარებისა და აღსრულების შესახებ (2019). ორმხრივი შეთანხმებებისა და კონვენციების ფარგლებს გარეთ, საქართველოს კანონმდებლობა არ შეიცავს პროცედურას უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებების აღიარებისა და აღსრულების თაობაზე. საქართველომ დანიშნა მეკავშირე პროკურორი Eurojust–ში.

სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ საქართველოს კანონი ადგენს ძირითად სამართლებრივ ჩარჩოს სისხლის სამართლის საკითხებში სამართლებრივი თანამშრომლობისთვის.

იუსტიციის სამინისტრო და საქართველოს პროკურატურა, როგორც საერთაშორისო შეთანხმებების შესაბამისად დასახელებული ცენტრალური ორგანოები, ხელმძღვანელობენ საერთაშორისო სამართლებრივ თანამშრომლობას სამოქალაქო და სისხლისსამართლებრივ საკითხებში.

საქართველომ გამოთქვა მზადყოფნა, ითანამშრომლოს ევროპის საჯარო პროკურატურის ოფისთან (EPPO), სისხლის სამართლის საკითხებში ურთიერთდახმარების შესახებ ევროპული 1959 წლის კონვენციისა და მისი ოქმების, და ასევე აღნიშნული მიზნისთვის EPPO–ში მონაწილე ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ გაცემული დეკლარაციების შესაბამისად. საქართველოს პროკურატურამ სამუშაო შეთანხმება დადო EPPO–სთან 2022 წლის 28 სექტემბერს.

უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებები საქართველოში სამართლებრივად აღსრულებადია, თუ საქართველოში კომპეტენტური სასამართლო მას აღიარებს, სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ კანონში მოცემული პირობების ქვეშ. ბავშვთა საერთაშორისო მოტაცების შესახებ კონვენცია ეფექტურად არის განხორციელებული. საქართველოს არ აქვს მესამე ქვეყნებთან პირდაპირი სამართლებრივი (*judicial*) კომუნიკაციის პრაქტიკა.

საბაჟო სფეროში თანამშრომლობის ყველა ასპექტი მოცემულია 29-ე თავში – საბაჟო კავშირი.

კანონიერი და არარეგულარული მიგრაცია

ინსტიტუციური მოწყობა და სამართლებრივი შესაბამისობა

შინაგან საქმეთა სამინისტრო არის პასუხისმგებელი არარეგულარულ მიგრაციასთან ბრძოლაზე. მიგრაციის დეპარტამენტი, სხვა ვალდებულებებთან ერთად, პასუხისმგებელია საერთაშორისო დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე, საქართველოს ტერიტორიაზე არალეგალურად მცხოვრები პირების იდენტიფიცირებაზე, დაბრუნების პროცედურების განხორციელებასა და დროებითი განთავსების ცენტრის მართვაზე.

კანონმდებლობა უცხოელებთან დაკავშირებით ზოგადად შეესაბამება ევროკავშირის კანონმდებლობას. ის ადგენს იძულებით უკან დაბრუნების არდაშვების (“non-refoulement”) პრინციპს, უცხოელი სუზონური მუშაკების რეზიდენტობის სტატუსს და მოთავსების დროებით იზოლაციაში მოთავსების მაქსიმალურ დროს არარეგულარული მიგრანტებისთვის. სამართლებრივი ჩარჩო უფრო მეტად უნდა დაუახლოვდეს მიგრანტთა მხრიდან უფლებებზე წვდომის მხრივ, განსაკუთრებით მოწყვლადი მიგრანტების შემთხვევაში. საქართველო 2021 წელს შეუერთდა მიგრაციის ევროპულ ქსელს, როგორც დამკვირვებელი.

საქართველოს აქვს **რეადმისიის შესახებ** შეთანხმება ევროკავშირთან (ძალაშია 2011 წლიდან) და ცალკე დანიასთან, ასევე შვეიცარიასთან, ნორვეგიასთან, ისლანდიასთან, მონტენეგროსთან, მოლდოვასთან, ბელარუსსა და უკრაინასთან. მას აქვს განმახორციელებელი ოქმები ევროკავშირის 12 წევრ ქვეყანასთან.⁵⁵

2021–2030 წლების მიგრაციის **სტრატეგია** მიღებულ იქნა 2020 წელს. ის მოიცავს მიგრანტთა მართვის გაუმჯობესებას, კანონიერი მიგრაციის ხელშეწყობას, უკანონო მიგრაციასთან ბრძოლას, დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციას, თავშესაფრის გაუმჯობესებულ სისტემასა და უცხოელთა ინტეგრაციას.

განხორციელება და აღსრულების შესაძლებლობა

2021 წელს საზღვრის არარეგულარულად გადამკვეთი 285 პირი იქნა გამოვლენილი.

მიგრანტთა ტრეფიკინგის სფეროში, საქართველო თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და პარტნიორ ქვეყნებთან, ტრანსსასაზღვრო დანაშაულთან ბრძოლის მხრივ საპოლიციო და საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში.

ევროკავშირთან დადებული რეადმისიის შესახებ შეთანხმების განხორციელება

⁵ ბელგია, ბულგარეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა, გერმანია, ესტონეთი, ლიეტუვა, ლუქსემბურგი, უნგრეთი, ნიდერლანდები, ავსტრია, რუმინეთი, სლოვაკეთი.

ძალიან კარგია, როგორც ეს გამოჩნდა რეადმისიის ერთობლივი კომიტეტის ბოლო შეხვედრაზე 2022 წლის ნოემბერში. საქართველოს მოქალაქეებზე გაცემული უკან დაბრუნების ბრძანებები (*return order*) შემცირდა 12 120–დან (2020 წელს) 10 660–მდე (2021 წელს). ამავე პერიოდში, საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა, რომლებიც დაბრუნდნენ ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან საქართველოში, მცირედით დაეცა 2021 წელს (5 205), 2020 წლის მაჩვენებელთან – 5 740 – შედარებით.

თავშესაფარი

ინსტიტუციური მოწყობა და სამართლებრივი შესაბამისობა

თავშესაფრის პროცედურებისთვის პასუხისმგებელია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტი.

საქართველო არის ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციისა და მისი 1967 წლის ოქმის მხარე.

კანონმდებლობა თავშესაფართან დაკავშირებით ზოგადად შეესაბამება ევროკავშირის კანონმდებლობას, კერძოდ მიღების გაუმჯობესებული სტანდარტებისა და თავშესაფარზე განაცხადის შემტანთა უფლებების, როგორცაა დასაქმების, საშუალო განათლების, ფსიქოლოგიური და სოციალური დახმარების, ოჯახთან დაბრუნებისა და დამატებითი (სუბსიდიარული) დახმარების უფლებების მხრივ. საჭიროა შემდგომი დაახლოება, კერძოდ გამოკითხვის მეთოდების, უფლებებსა და იურიდიულ დახმარებაზე წვდომის მხრივ. დაკავშირებით.

საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი პირების, თავშესაფრის მაძიებლებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების ინტეგრაციის პროგრამას მართავს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო.

საქართველო თანამშრომლობს ევროკავშირის თავშესაფრის სააგენტოსთან.

განხორციელება და აღსრულების შესაძლებლობა

საქართველომ მნიშვნელოვანი ღონისძიებები მიიღო ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის თავშესაფრის მიღებაზე უსაფუძვლო განცხადებებით მიმართვის საკითხის გადასაჭრელად. 2021 წლის იანვარში, საქართველომ შემოიღო გამგზავრებამდელი შემოწმებები მის კანონში, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლასა და გასვლას აწესრიგებს. ახალი დებულებებით განსაზღვრულია კრიტერიუმები, რომლებიც სარკისებურად ასახავს მესამე ქვეყნების მოქალაქეთა ევროკავშირში შესვლის პირობებს, როგორც დადგენილია შენგენის სასაზღვრო კოდექსით. 2021 წელს, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში

საერთაშორისო დაცვაზე გაკეთებული განცხადებები გაიზარდა 69%-ით 2020 წელთან შედარებით, 2021 წელს დაფიქსირდა რა 14 600 განცხადება და 2020 წელს კი – 8 650. COVID-19-თან დაკავშირებით მგზავრობის შეზღუდვების მოხსნამ სავარაუდოდ თავისი როლი ითამაშა. მიღების მაჩვენებელმა ოდნავ დაიკლო, 4.6%-დან 2020 წელს, 4.5%-მდე 2021 წელს.

სავიზო პოლიტიკა

სავიზო განაცხადების შემოწმებაზე პასუხისმგებელი ძირითადი ორგანოებია საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტი და საქართველოს დიპლომატიური მისიები და საკონსულოები საზღვარგარეთ. ვიზების რეესტრს/ბაზას აწარმოებს საგარეო საქმეთა სამინისტრო. ვიზების შესახებ კანონმდებლობა მთლიანობაში შეესაბამება ევროკავშირის კანონმდებლობას, მაგრამ იმ მესამე ქვეყნების სია, რომელთანაც საქართველოს აქვს უვიზო რეჟიმი სრულად არ არის დაახლოებული იმ მესამე ქვეყნების სიასთან, რომელთა მოქალაქეებიც ექვემდებარებიან (საჭიროებენ) ვიზას, ევროკავშირში მოკლევადიანი ყოფნის მიზნით.

ვიზებისა და სამგზავრო დოკუმენტების უსაფრთხოების ნიშან-თვისებები ზოგადად დაახლოებულია ევროკავშირის სტანდარტებთან.

საქართველოს მისი სახელით ვიზების გაცემის მიზნით მესამე ქვეყნებთან შეთანხმებები დადებული არ აქვს. თუმცა ვიზების გაცემასთან დაკავშირებული ცალკეული მოქმედებები შესაძლოა მიენდოს მესამე ქვეყანას, შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმებით ან ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების ქვეშ.

ევროკავშირთან **უვიზო რეჟიმის** განხორციელება, რომელიც ძალაშია 2017 წლიდან, ზოგადად დამაკმაყოფილებელია. მთლიანობაში საქართველო აგრძელებს ვიზა ლიბერალიზაციის ნიშნულების შესრულებას და მიღებული აქვს ზომები ევროკომისიის წინა რეკომენდაციების გასათვალისწინებლად. ქვეყანამ მნიშვნელოვანი ზომები მიიღო სასაზღვრო კონტროლისა და უკანონო მიგრაციის უარყოფითი ეფექტების თაობაზე მოსახლეობაში ცნობიერების ამაღლების მხრივ. თუმცა შემდგომი ღონისძიებებია საჭიროა წევრ ქვეყნებში თავშესაფრის მიღების უსაფუძვლო განაცხადების საკითხის გადასაჭრელად.

შენგენი და გარე საზღვრები

ინსტიტუციური მოწყობა და სამართლებრივი შესაბამისობა

საზღვრის მართვა ექვევა შინაგან საქმეთა სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროსა (საქართველოს შემოსავლების სამსახური) და თავდაცვის სამინისტროს პასუხისმგებლობის ქვეშ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვეშ, საქართველოს სასაზღვრო პოლიცია

პასუხისმგებელია სახელმწიფო საზღვრის (სახმელეთო და საზღვაო) დაცვაზე და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი პასუხისმგებელია სახელმწიფო საზღვრის რეჟიმზე (სასაზღვრო მიგრაციის კონტროლი) სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებზე.

სასაზღვრო კონტროლის კანონმდებლობა ნაწილობრივ დაახლოებულია ევროკავშირის/შენგენის კანონმდებლობასთან.

2022–2026 წლების საზღვრის ინტეგრირებული მართვის (IBM) სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმა ჯერ კიდევ მისაღებია.

განხორციელება და აღსრულების შესაძლებლობა

საზღვრის ინტეგრირებული მართვის მიზნით შეიძლება დამატებით გაუმჯობესდეს ყველა უწყების პოტენციალი (შესაძლებლობები).

სასაზღვრო შემოწმება აკმაყოფილებს მინიმალურ სტანდარტებს. სასაზღვრო შემოწმების ხარისხის გასაუმჯობესებლად საჭირო არის დამატებითი ტექნიკური და ადამიანური რესურსები. ყალბი პროდუქციის აღმოსაჩენად ექსპერტული შემოწმება დამაკმაყოფილებელია. გამოვლენილი ყალბი დოკუმენტების რაოდენობა მცირეა. არ არის სატრანსპორტო საშუალებების სანომრე ნიშნების წაკითხვის სისტემა. მეზობელ ქვეყნებთან სატრანსპორტო მოძრაობის შესახებ ადგილობრივი სასაზღვრო შეთანხმებების შესრულება დამაკმაყოფილებელია. სასაზღვრო შემოწმება არაეფექტურია ცეცხლსასროლი იარაღის ტრეფიკინგის გამოსავლენად. სასაზღვრო ზედამხედველობის სისტემები დაყენებულია სახმელეთო სასაზღვრო სექტორებში, რომელიც უმაღლესი რისკის ზონებშია. ისინი მოიცავს ვიდუოზედამხედველობის (კონტროლის) ფიქსირებულ და მობილურ სისტემებს, სითბური გამოსახულების მოწყობილობებს, რადარებსა და ფარულ კამერებს. საზღვრის მართვისა და კოორდინირების სამმართველო პასუხისმგებელია საზღვრის მართვის სტრატეგიული დოკუმენტების მომზადებაზე, სასაზღვრო რისკების ანალიზის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებასა და საზღვარზე რისკის შეფასების მხრივ საზღვრის მართვის პროცესში ჩართული ანალიტიკური ერთეულების მოქმედებების კოორდინაციაზე.

საქართველოს **რისკის შეფასების** მეთოდოლოგია დაფუძნებულია რისკის ანალიზის საერთო ინტეგრირებულ მოდელზე, რომელიც შემუშავებულია ევროპის საზღვრისა და სანაპირო დაცვის სააგენტოს (EBCGA, Frontex) მიერ და მოიცავს სამ ფაქტორს – საფრთხე, სუსტი წერტილი და შედეგი – რომელიც განსაზღვრავს სასაზღვრო რისკებს. საბაჟო რისკების მართვა არის სრულად ავტომატიზებული და იმპლემენტირებულია საბაჟო მონაცემთა ავტომატიზებული სისტემისა და იმ მგზავრთა, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების მიერ საზღვრის გადაკვეთის შესახებ მონაცემთა ბაზის სახით, რომლებმაც გადაკვეთეს საბაჟო საზღვარი და გაიარეს საბაჟო კონტროლის პროცედურები.

მიდასახმელეთო ზომები და ტრანსსასაზღვრო ორგანიზებული დანამაულის

წინააღმდეგ ბრძოლა მოითხოვს გაუმჯობესებას გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის მხრივ. ადამიანთა, მიგრანტების, ცეცხლსასროლის იარაღის ტრეფიკინგთან და ტერორიზმთან ბრძოლა მოითხოვს იურისდიქციათა და კომპეტენციათა უფრო ეფექტურ განსაზღვრას. დანაშაულთან დაკავშირებული ინფორმაციისა და ბიომეტრიული მონაცემების გაცვლა მოითხოვს მნიშვნელოვან გაუმჯობესებებს.

საქართველოს საჰაერო კოდექსი ავალდებულებს ავიაგადამზიდველს, შეატყობინოს **მგზავრის წინასწარი მონაცემები/მგზავრის სახელის ჩანაწერი (API/PNR)** უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანიზაციას. განმახორციელებელი კანონმდებლობა განსაზღვრავს API/PNR–ს ჩამონათვალსა და მათი მართვის პირობებსა და მოთხოვნებს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ Frontex–თან სამუშაო შეთანხმებას ხელი მოაწერა 2008 წელს, რომელიც განახლდა 2021 წელს. Frontex–ის მიერ შემუშავებული საერთო სასწავლო სახელმძღვანელოები დანერგილია საზღვართან დაკავშირებულ სასწავლო კურსებში, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის მიერ მიეწოდება სასაზღვრო პოლიციის ოფიცრებს. საქართველო არის Frontex პარტნიორული აკადემიების ქსელის ასოცირებული წევრი.

გამოიყო Frontex–ის მეკავშირე ოფიცერი რეგიონული უფლებამოსილებით აღმოსავლეთ პარტნიორობისთვის (ამჟამად დისლოცირებულია მოლდოვაში).

მეზობელ ქვეყნებთან ოპერაციული თანამშრომლობის მხრივ, საქართველოს აქვს ორმხრივი შეთანხმებები მეზობელ ქვეყნებთან, ძირითადად საბაჟო საკითხებზე: აზერბაიჯანთან, სომხეთთან, თურქეთთან და რუსეთთან.

საზღვარზე **კორუფციასთან** ბრძოლის მიზნით მიღებულია ზოგიერთი ზომა, განსაკუთრებით – დისციპლინური ნორმებისა დარღვევის შემთხვევაში სამსახურებრივი ინსპექტირების ჩატარებისა და დისციპლინური სასჯელების დაკისრების შესაძლებლობა.

ევროს დაცვა გაყალბებისგან (სისხლისსამართლებრივი ასპექტები)

2000 წელს საქართველო შეუერთდა ყალბი ფულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ 1929 წლის ჟენევის კონვენციას, მაგრამ ჯერჯერობით არ აქვს ის რატიფიცირებული. სისხლის სამართლის კოდექსი (მუხლი 212) ადგენს პასუხისმგებლობას გაყალბებისთვის.

დასკვნა

საქართველოს აქვს **მომზადების გარკვეული დონე**, მართლმსაჯულების, თავისუფლებისა და უსაფრთხოების სფეროში [ევროკავშირის] კანონმდებლობის განხორციელების მხრივ. ქვეყანას აქვს რამდენიმე სტრატეგია დანერგილი, კერძოდ

ტერორიზმისა და მიგრაციისთვის. კანონმდებლობა ზოგიერთ სფეროში, კერძოდ უცხოელებსა და თავშესაფარზე, ზოგადად დაახლოებულია ევროკავშირის კანონმდებლობასთან, მაგრამ ინსტიტუციური თანამშრომლობა და კოორდინაცია სუსტია. შედეგად, განხორციელება ზოგჯერ არაღამაკმაყოფილებელია.

თავი 5: სახელმწიფო შესყიდვები

ევროკავშირის წესები უზრუნველყოფენ, რომ საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოს გაწევის სახელმწიფო შესყიდვები ნებისმიერ წევრ ქვეყანაში არის გამჭვირვალე და ღია ევროკავშირის ყველა ეკონომიკური ოპერატორისთვის, დისკრიმინაციის აკრძალვისა და თანაბარი მოპყრობის საფუძველზე.

ევროკავშირისა და საქართველოს შორის დადებული ასოცირების შეთანხმების/ DCFTA-ს სახელმწიფო შესყიდვების თავის შესაბამისად, საქართველომ აიღო ვალდებულება, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მისი კანონმდებლობა ეტაპობრივად დაუახლოოს სახელმწიფო შესყიდვების თაობაზე ევროკავშირის დირექტივების ელემენტებს. დაახლოების პროცესი დაგეგმილია ხუთ თანმიმდევრულ ფაზად რვაწლიანი პერიოდის განმავლობაში, 2016–დან 2024 წლამდე. საქართველომ დაასრულა პირველი ფაზა, თუმცა ჯერ კიდევ არ აქვს მიღებული სახელმწიფო შესყიდვების კანონპროექტი, რომელიც საჭიროა მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 ფაზებთან შესაბამისობისთვის. დაახლოების პროცესი ამჟამად შეჩერებულია, ძირითადად სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ახალი კანონის მიღების დაყოვნების გამო.

ინსტიტუციური მოწყობა და სამართლებრივი შესაბამისობა

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ **სამართლებრივი ჩარჩო** ნაწილობრივ დაახლოებულია ევროკავშირის კანონმდებლობასთან, მაგრამ პროგრესი ჰარმონიზაციის კუთხით ყოვნადაა. საჯარო სექტორში შესყიდვები მოწესრიგებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2005 წლის კანონით, რომელშიც შემდგომში რამდენიმე ცვლილება შევიდა. საჯარო შესყიდვების შესახებ კანონი მოიცავს საჯარო ორგანოებს, თუმცა არ ფარავს ხელშეკრულების მხარეებს კომუნალური მომსახურების სექტორში. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ახალი კანონპროექტი ჯერ არ არის მიღებული. ახალი კანონი მიზნად ისახავს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ევროკავშირის დირექტივებთან (კანონმდებლობასთან) შემდგომი დაახლოების უზრუნველყოფას. საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ არსებობს ცალკე კანონი, რომელიც არეგულირებს საჯარო და კერძო თანამშრომლობის გაცემასა და კონცესიის შეთანხმებებს, მაგრამ ის მითითებას აკეთებს სახელმწიფო შესყიდვების კანონის მიერ დადგენილ შესყიდვების პროცედურებზე.

2016 წლის მარტში, მთავრობამ მიიღო სახელმწიფო შესყიდვების ეროვნული სტრატეგია – „ევროკავშირისა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ თავის იმპლემენტაციის 2016–2022 წლების გზამკვლევი და სამოქმედო გეგმა“. აღნიშნული განახლდა (2018 და 2020 წელს) ახალი გამოწვევებისა და განვითარებული მოვლენების მხედველობაში მისაღებად. ასოცირების შეთანხმების პირველი ფაზის განხორციელება (რომელიც მოიცავს გზამკვლევს/რეფორმის სტრატეგიას) დადებითად შეფასდა ასოცირების კომიტეტის მიერ 2021 წლის ოქტომბერში. აღნიშნულის შემდეგ, 2022 წლის ივნისის მდგომარეობით, ორმხრივი საბაზრო წვდომის ნებართვა გაიცა ევროკავშირში ცენტრალური სამთავრობო ორგანოებიდან საქართველოში მიწოდების (*supplies*) სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით და საქართველოს ცენტრალური სამთავრობო ორგანოებიდან ევროკავშირში მარაგების სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით.

განხორციელება და აღსრულების შესაძლებლობა

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო არის სახელმწიფო შესყიდვების ცენტრალური ორგანიზაცია, რომელიც პასუხისმგებელია საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების სისტემაზე. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, 110–კაციანი პერსონალით, პასუხისმგებელია მეორადი საკანონმდებლო აქტების მომზადებაზე, შესყიდვების მონიტორინგსა და შესყიდვების სისტემის ფუნქციონირების ანალიზზე, შესყიდვების მონაცემთა ბაზის, შესყიდვების ელექტრონული სისტემებისა და ეკონომიკური ოპერატორების „თეთრი“ და „შავი“ სიების წარმოებაზე. ბოლო წლების განმავლობაში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ შეძლო მისი ავტორიტეტის ჩამოყალიბება როგორც შიდა მოქმედ (მონაწილე) პირთა შორის, ასევე საერთაშორისო არენაზე.

კომპენსაციის ეფექტური სისტემა

სამართლებრივი კომპენსაციის უფლებასთან დაკავშირებით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონში ცვლილებები შევიდა 2020 წელს შესყიდვებისთვის განხილვის ახალი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს – დავების განხილვის საბჭოს ჩამოყალიბების მიზნით. შესყიდვების განხილვის ორგანოს ხუთი წევრი შეირჩევა კონკურენციის [პროცესის] საფუძველზე და ინიშნება პრემიერ მინისტრის მიერ. შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭო შეადგენს კონკურენციის სააგენტოს ნაწილს.

დასკვნა

საქართველოს აქვს **მომზადების გარკვეული დონე** სახელმწიფო შესყიდვების სფეროში. მან თავისი საკანონმდებლო ჩარჩო– დამატებით უნდა დაუახლოოს ევროკავშირის კანონმდებლობას, კომუნალურების სექტორში ხელშეკრულების მხარეების ჩართვით და შემდგომში დაუახლოოს კანონმდებლობა თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორებში შესყიდვების დროს კონცესიების ღირეფტივასთან.

თავი 18: სტატისტიკა

ევროკავშირის წესები მოითხოვს, ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შეეძლოს სტატისტიკის წარმოება პროფესიული დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის, სანდოობის, გამჭვირვალობისა და კონფიდენციალურობის საფუძველზე. მოცემულია საერთო წესები სტატისტიკური ინფორმაციის მეთოდოლოგიისთვის, [მისი] წარმოებისა და გავრცელებისთვის.

სტატისტიკის სფეროში თანამშრომლობა მოცემულია ასოცირების შეთანხმების/DCFTA–ს V კარის მე–4 თავში, მათ შორის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება.

სტატისტიკურ ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით, „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ კანონი მიღებულ იქნა 2009 წლის დეკემბერში. ახალი კანონპროექტი მომზადდა ისეთი საკითხების გადასაწყვეტად, როგორც არის „პროფესიული დამოუკიდებლობის“ ცნება, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) აღმასრულებელი დირექტორის სტატუსი და დანიშვნა და სტატისტიკური მიზნებისთვის შესაბამის ადმინისტრაციულ მონაცემებზე წვდომა, საერთაშორისოდ აღიარებული სტატისტიკური პრინციპების თანახმად.

„ოფიციალური სტატისტიკის“ შესახებ კანონის თანახმად, ორი ორგანო არის აღიარებული, როგორც სტატისტიკის ოფიციალური მწარმოებელი: საქსტატი და საქართველოს ეროვნული ბანკი. ნებისმიერი სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ წარმოებული სტატისტიკა მიჩნეული იქნება ოფიციალურ სტატისტიკად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის წარმოებულია საქსტატის მმართველი საბჭოს აღიარებული მეთოდოლოგიისა და სტანდარტების გამოყენებით.

საქსტატი არის საქართველოს სტატისტიკური სისტემის კოორდინატორი. მისი ორგანიზაციული სტრუქტურა დაფუძნებულია ტრადიციული „პროდუქტის“ მოდელზე. საქსტატს ხელმძღვანელობს აღმასრულებელი დირექტორი და ჰყავს 747 დასაქმებული პირი, რომელიც განაწილებულია ცენტრალურ და რეგიონულ ოფისებში. საქსტატს მიღებული აქვს სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების სტრატეგია (2020–2023).

სტატისტიკის ეროვნული სისტემა საჭიროებს დამატებით კოორდინაციასა და თანამშრომლობას მრავალ სამთავრობო უწყებას (როგორც ადმინისტრაციული მონაცემების მფლობელები, ასევე სტატისტიკის მწარმოებლები) შორის, მონაცემთა წყაროების ხელმისაწვდომობისა და მათზე წვდომის გაძლიერების მიზნით. რესურსების ადეკვატურობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

საქსტატის მიერ წარმოებული ბიზნესთა სტატისტიკური რეგისტრი უმეტესწილად შეესაბამება საერთაშორისო რეკომენდაციებს, როგორც არის ევროსტატის ბიზნეს რეგისტრების რეკომენდაციების სახელმძღვანელო. მოსახლეობის რეესტრი ჯერ ჩამოსაყალიბებელია. რეკომენდაციების სახელმძღვანელო და კლასიფიკაციების მხრივ დაახლოება ნაწილობრივია. ეკონომიკური საქმიანობის სახეების (ACE),

დასაქმების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაციის (ISCO) და განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაციის (ISCED) უახლესი ვერსიები დანერგულია, მაგრამ პროდუქციის სტატისტიკური კლასიფიკაცია საქმიანობის სახეობათა მიხედვით (CPA) არ არის დაახლოებული. კლასიფიკაციების მხრივ დაახლოება ნაწილობრივია. მოსახლეობის რეესტრი ამჟამად არ არის ჩამოყალიბებული საქართველოში, თუმცა მოცემულია როგორც პრიორიტეტი.

ქვეყანამ უნდა აჩვენოს ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მონაცემები, ჰარმონიზებული სტატისტიკური რეგიონების დონეზე (რომელიც სტატისტიკისათვის ტერიტორიული ერთეულების ნომენკლატურის მეორე დონის (NUTS II) ეკვივალენტურია), ასოცირების შეთანხმების დებულებათა თანახმად.

მაკროეკონომიკურ სტატისტიკასთან დაკავშირებით, წარმოების ეროვნულ ანგარიშთა ორგანიზება და მათზე პასუხისმგებლობა უმეტესწილად შეესაბამება ევროკავშირის კანონმდებლობას. 2019 წელს საქართველომ დანერგა 2008 წლის მეთოდოლოგიის ეროვნულ ანგარიშთა სისტემა (SNA), და აღგენს ძირითად წლიურ და კვარტალურ აგრეგატულ მაჩვენებლებს, სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკას, დარგობრივ ანგარიშებს, რესურსებისა და გამოყენების ცხრილებსა და დანახარჯების/გამოშვების ცხრილებს. ეროვნულ და რეგიონულ ანგარიშთა ევროპულ სისტემა (ESA) 2010–თან შესაბამისობა ამ ეტაპზე ვერ შეფასდება, რადგან ევროსტატისადმი ადგილი არ ჰქონდა იმ მონაცემების გადაგზავნას (ან გაიგზავნა ძალიან შეზღუდულად), რომელიც შექმნიდა მონაცემების დამოწმებისა (ვალიდაციისა) და მეთოდოლოგიური ასპექტების ანალიზის შესაძლებლობას. საქართველომ უნდა დაიწყოს გადამეტებული დეფიციტის პროცედურული ცხრილებისა და სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის (GFS) მონაცემების წარდგენა ევროსტატისთვის. სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ფინანსთა სამინისტროს მიერ, ხოლო მონაცემები საფინანსო სექტორზე – საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკა შედგენილია ფინანსთა სამინისტროს მიერ, ყოველთვიურად, მონაცემთა გავრცელების სპეციალური სტანდარტის შესაბამისად.

ამ ეტაპზე, სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკა (GFS) არ გადაეცემა ევროსტატს, რაც საშუალებას მისცემდა, განეხორციელებინა მონაცემთა დამოწმება და მეთოდოლოგიური ასპექტების ანალიზი. საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) GFSM მნიშვნელოვნად განსხვავდება SNA 2008–ისა და ESA 2010–სგან წარმოდგენილი ფორმის მხრივ. უნდა დაიწყოს ESA 2010–თან შესაბამისად მონაცემების შემუშავება, სტატისტიკური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფასთან ერთად.

საერთაშორისო შედარების პროგრამასთან დაკავშირებით, საქართველო ახორციელებს თითქმის ყველა კვლევას, რომელიც მოთხოვნილია შესაბამისი რეგულაციების ქვეშ, მიჰყვება რა მსყიდველობაუნარიანობის პარიტეტის შესახებ

ევროსტატი–OECD–ის სახელმძღვანელოში დადგენილ მეთოდოლოგიებსა და კლასიფიკაციებს.

სტრუქტურული ბიზნესის სტატისტიკის ძირითადი წყარო არის მეწარმეთა კვლევა (არაფინანსური კორპორაციების), ჩატარებული საქსტატის მიერ ყოველწლიურად. სტრუქტურული ბიზნესის სტატისტიკა ეფუძნება სტატისტიკური მოთხოვნების კომპენდიუმს, 2021 წლის გამოცემას (ევროსტატი) და ევროპის ბიზნესსტატისტიკის სახელმძღვანელოს, 2021 წლის გამოცემას (ევროსტატი). ბიზნეს–სტატისტიკისთვის, ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობის მიზნით, მხედველობაში უნდა იყოს მიღებული მონაცემებთან დაკავშირებით ახალი მოთხოვნები, რომელიც გამომდინარეობს ევროპის ბიზნესსტატისტიკის შესახებ რეგულაციიდან და ევროკომისიის შესაბამისი განმარტებული რეგულაციიდან.⁶ ინდუსტრიულ (სამრეწველო) წარმოებასთან დაკავშირებით (PRODCOM), წარმოებულ პროდუქციაზე მონაცემების მოპოვების ძირითადი წყარო არის მეწარმეთა კვლევა; ეკონომიკური სახეობის საქმეების (NACE) მე–2 გადამუშავებული ვერსიის (Rev.2) B, C, D და E სექციები კვლევით მოცულია. თუმცა, ამ ეტაპზე, ევროსტატისთვის არ ხდება ბიზნეს–სტატისტიკური მონაცემების გადაგზავნა, რაც შექმნიდა მონაცემების დამოწმებისა (ვალიდაციისა) და მეთოდოლოგიური ასპექტების ანალიზის განხორციელების საშუალებას. ტრანსპორტის შესახებ სტატისტიკასთან მიმართებაში, საქართველო არ მიუთითებს სტატისტიკის კანონმდებლობის ხუთ ძირითად აქტზე.

სოციალურ სტატისტიკასთან დაკავშირებით, მოსახლეობის უკანასკნელი აღწერა ჩატარდა 2014 წელს. მოსახლეობისა და საცხოვრებლების შემდეგი აღწერა დაგეგმილია 2024 წლისთვის. მოსახლეობის რეესტრი ჯერ კიდევ შესაქმნელია. ევროსტატისთვის გადაცემული დემოგრაფიული სტატისტიკური მონაცემები შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებსა და რეკომენდაციებს, მაგრამ საერთაშორისო მიგრაციის სტატისტიკა არასრულია. საქსტატი ახორციელებს შინამეურნეობებში (*households*) საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების თაობაზე კვლევას.

სასოფლო–სამეურნეო აღწერისა და სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევა მიჰყვება გაერთიანებული ერების სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის სახელმძღვანელო ინსტრუქციებს (გაიდლაინებს). უკანასკნელი აღწერა ჩატარდა 2014 წელს. საქსტატი ეყრდნობა სასოფლო–სამეურნეო აღწერისა და სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის ინტეგრირებულ მიდგომას **სოფლის მეურნეობის შესახებ ოფიციალური სტატისტიკის** საწარმოებლად. შემდგომი სასოფლო–სამეურნეო აღწერა დაგეგმილია 2024 წლისთვის.

ენერჯის შესახებ სტატისტიკასთან დაკავშირებით, საქართველო დაახლოებულია სტატისტიკური მოთხოვნების კომპენდიუმში მოცემულ ევროკავშირის სტატისტიკურ

⁶ რეგულაცია (EU) 2019/2152 და ევროკომისიის განმარტებული რეგულაცია (EU) 2020/1197.

კანონმდებლობასთან, ენერგეტიკული გაერთიანების (EnC) მიერ ევროკომისიასთან შეთანხმებით მიღებული დებულებების თანახმად, გარდა ღირეექტივის⁷ შესაბამისად განახლებადი ენერჯის ხვედრითი წილის შესახებ მონაცემთა შეგროვების მხრივ. თუმცა, ქვეყანას სავალდებულო სამიზნე თარიღად 2030 წელი აქვს განსაზღვრული და მათ უნდა დაიწყონ მონაცემების წარმოდგენა 2021 წლისა და მომდევნო ციკლებიდან. საქართველოს მცირე გამოცდილება აქვს გარემოს შესახებ ანგარიშებთან დაკავშირებით და ქვეყანაში არ იწარმოება ნარჩენების შესახებ სტატისტიკა. ტურიზმის სტატისტიკასთან დაკავშირებით, ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შეფასებისთვის მხედველობაში უნდა იყოს მიღებული ევროპული ტურიზმის სტატისტიკის რეგულაციის⁸ დებულებები.

დასკვნა

სტატისტიკის სფეროში, საქართველოს აქვს **მომზადების გარკვეული დონე**. უმეტესწილად, ეროვნული სამართლებრივი ინსტრუმენტები დანერგილია მოთხოვნილი სტატისტიკური მონაცემების წარმოებისა და სისტემის ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოების მიზნით მისი შემდგომი განვითარებისათვის. ადმინისტრაციულ შესაძლებლობებთან დაკავშირებით, რესურსების ადეკვატურობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს, საქსტატს, შედარებით მცირე რაოდენობით დასაქმებული ჰყავს და ანაზღაურების დონე არ არის დაახლოებული საჯარო სამსახურის სხვა სფეროებში საჯარო მოხელეთა ანაზღაურებასთან. ფინანსური და საინფორმაციო ტექნოლოგიური რესურსები (IT) ასევე შედარებით შეზღუდულია.

თავი 32: ფინანსური კონტროლი

ევროკავშირი ხელს უწყობს ეროვნული მმართველობის სისტემებს, გააუმჯობესონ მენეჯერული ანგარიშვალდებულება, შემოსავლებისა და ხარჯების გონივრული მართვა და საჯარო სახსრების გარე აუდიტი. ფინანსური კონტროლის წესები ასევე დამატებით იცავს თაღლითობისგან ევროკავშირის სახსრების მართვის დროს ევროკავშირის ფინანსურ ინტერესებს და eEuro-ს გაყალბებისგან.

წინამდებარე თავი ნაწილობრივ მოცულია ასოცირების შეთანხმების/DCFTA-ს მე-2 თავში.

სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლი

სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლისთვის (PIFC) **სამართლებრივი და სტრატეგიული ჩარჩო** დადგენილია. კანონი სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ აწესრიგებს სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემების შემოღებასა და სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის მთლიანი

⁷ ღირეექტივა (EC) 2009/28.

⁸ რეგულაცია (EU) No 692/2011.

სისტემის შემუშავებისა და განხორციელებისათვის რელევანტურ სხვა საკითხებს. ის ადეკვატურად მოიცავს ფინანსურ მართვასა და კონტროლს, შიდა აუდიტსა და ჰარმონიზაციის ცენტრალური ერთეულის როლს.

დადგენილია 2021–2024 წლების სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის (PIFC) სტრატეგია, რომელიც ეხება ფინანსური მართვისა და კონტროლის და შიდა აუდიტის განვითარებას. ის მხარდაჭერილია 2021–2022 წლების წლიური სამოქმედო გეგმით. საჯარო ფინანსური მართვისა და საჯარო ადმინისტრაციის რეფორმის ახალი სტრატეგია ამჟამად განხორციელების ადრეულ სტადიაზეა.

ჰარმონიზაციის ცენტრალური ერთეული (ცენტრი) (CHU) ჩამოყალიბებულია ფინანსთა სამინისტროში და პასუხისმგებელია სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის (PIFC) განხორციელების კოორდინაციაზე, მათ შორის შესაბამისი მეთოდოლოგიური და სახელმძღვანელო მასალების შემუშავებაზე. ცენტრალურ ერთეულს არ აქვს შესაბამისი სტატუსი და პერსონალი იმ მიზნით, რომ შეეძლოს განხორციელების ეფექტურად მხარდაჭერა, განსაკუთრებით კი ფინანსური მართვისა და კონტროლის, და მენეჯერული ანგარიშვალდებულების მხრივ. ცენტრალურმა ერთეულმა (CHU) განახორციელა მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს შემუშავების კოორდინაცია, მაგრამ ის არ უწევს სისტემურ მონიტორინგს ფინანსური მართვისა და კონტროლის ინსტიტუციების იმპლემენტაციას.

ფინანსური მართვისა და **შიდა კონტროლის** საკითხები ადეკვატურად არის მოწესრიგებული „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ კანონით, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსთან ერთად. ცენტრალურმა ერთეულმა შემდგომში შეიმუშავა სახელმძღვანელო და წესები და პროცედურები, დონორთა სხვადასხვა პროექტის მხარდაჭერით, ფინანსური მართვისა და კონტროლის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით. აღნიშნული მოიცავს ფინანსური მართვისა და კონტროლის სახელმძღვანელოს, რომელიც არასოდეს არ იყო აღიარებული ან სრულად გამოცემული.

სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის (PIFC) შესახებ კანონი ადგენს შესაბამის ჩარჩოს **შიდა აუდიტის** განსახორციელებლად. ყველა სამინისტრო და საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) ვალდებულია, განსაზღვრული ჰქონდეს შიდა აუდიტის ფუნქციები. ყველა სამინისტროს აქვს აღნიშნული ფუნქცია განსაზღვრული. ცენტრალურ ერთეულს შემუშავებული აქვს სხვადასხვა რეგულაცია შიდა აუდიტის განხორციელების მხარდასაჭერად, მათ შორის შიდა აუდიტის სტანდარტები, შიდა აუდიტის სახელმძღვანელო, რომელიც ადგენს შიდა აუდიტის სამუშაოთა ჩატარების მეთოდოლოგიასა, და ეთიკის კოდექსი. ისინი ზოგადად შესაბამისობაშია შიდა აუდიტის თაობაზე საერთაშორისო სტანდარტებთან, თუმცა არის გაუმჯობესების შესაძლებლობა. სამინისტროებში შიდა აუდიტის ერთეულები ნაწილობრივ შეესაბამებიან საერთაშორისო სტანდარტებს.

გარე აუდიტი

კონსტიტუციური და სამართლებრივი ჩარჩოს მხრივ, სახელმწიფო აუდიტის სამსახური (სას) მოქმედებს შედარებით ძლიერი სამართლებრივი ჩარჩოს ქვეშ, რომელიც ეფუძნება კონსტიტუციასა და „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ ორგანულ კანონს. მას აქვს სრული ფინანსური და ფუნქციონალური დამოუკიდებლობა. დარჩენილი სისუსტეები დაკავშირებულია გენერალური აუდიტორის კონსტიტუციური დაცვის არარსებობასა და მისი თანამდებობაზე ყოფნის მოკლე ვადასთან.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფლებამოსილება ზოგადად განმარტებულია კანონმდებლობით და [იგი] საშუალებას აძლევს სამსახურს დაფაროს მთლიანი საჯარო სექტორი, ყველა სახის აუდიტის ჩატარებით და აუდიტის დასკვნების შესახებ ანგარიში წარმოადგინოს შეფერხებების გარეშე. მთავარი შეზღუდვა მდგომარეობს სიცხადის ნაკლებობაში სამსახურის უფლებამოსილების იმ ნაწილთან დაკავშირებით, რომელიც ეხება შემოსავლების აუდიტსა და სამსახურისთვის დადგენილ ვალდებულებას, მისი სააუდიტორო მიზნებისთვის, ცალკე მიმართოს სასამართლოს, საგადასახადო შემოსავლების შესახებ ინფორმაციაზე წვდომის მიზნით ნებართვის მისაღებად.

სტრატეგიული დაგეგმვის ციკლი მყარად არის განსაზღვრული და მენეჯმენტს დამყარებული აქვს კარგი კონტროლი ძირითად ორგანიზაციულ რისკებზე.

აუდიტის სამუშაოს ხარისხთან დაკავშირებით, 2017–2022 წლების პერიოდში, სამსახურმა დანერგა ახალი სტანდარტები და მიიღო ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ინსტრუქცია, რომელიც სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. სამსახური ამტკიცებს ყველა ცენტრალური სამთავრობო სტრუქტურის ფინანსურ ანგარიშებს. თუმცა სამსახური ფარავს ცენტრალური მთავრობის ხარჯების 90%-ს, ის არ ახორციელებს ბიუჯეტის შესრულების კონსოლიდირებული ანგარიშის აუდიტს, რომელიც არის სამსახურის ერთადერთი კანონმდებლობით მოთხოვნილი ფუნქცია.

პარლამენტს აქვს მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფი საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის ფარგლებში, რომელიც ამოწმებს აუდიტის ანგარიშებს. შედეგად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის **აუდიტორული მუშაობის შედეგი** გაიზარდა: აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების განხორციელების მაჩვენებელმა იმატა 43%-დან (2017) 60%-მდე (2020). თუმცა სამინისტროთა ფინანსური ანგარიშგებების უმრავლესობის მიმართ აუდიტის დასკვნები რჩება „უარყოფითად“ და ისევ ასახავს იმავე ნაკლოვანებებს.

ევროკავშირის ფინანსური ინტერესების დაცვა

ასოცირების შეთანხმება/DCFTA ნაწილობრივ ფარავს ევროკავშირის საკანონმდებლო მოთხოვნებს. ევროპის გაერთიანების ფინანსური ინტერესების

დაცვის შესახებ კონვენციის (EU) 2017/1371 დირექტივად გარდაქმნის გათვალისწინებით, ასოცირების შეთანხმების შესაბამისი დანართი (დანართი XXXV) უნდა გადამუშავდეს. ამ დროისთვის, აღნიშნული განახლებისთვის რაიმე კონკრეტული დროის პერიოდი არ არის გათვალისწინებული. თუმცა საქართველომ უკვე დაიწყო სამართლებრივი დაახლოების პროცესი, დირექტივის და არა კონვენციის მხედველობაში მიღებით.

საგამოძიებო თანამშრომლობას თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპულ სამსახურსა და რამდენიმე შესაბამის ეროვნულ ორგანოს შორის ადგილი აქვს ინდივიდუალურ საფუძველზე. ამავდროულად, თუმცა აღნიშნულის მოთხოვნა ასოცირების შეთანხმებაში არ არის, საქართველომ თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპულ სამსახურთან **თანამშრომლობისთვის ძირითად საკონტაქტო წერტილად** პროკურატურა დაასახელა. ოფიციალურად არ არის დადგენილი **თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის საკოორდინაციო სამსახური**.

დასკვნა

საქართველოს აქვს **მომზადების გარკვეული დონე** ფინანსური კონტროლის სფეროში. სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის (PIFC) შესახებ კანონი წარმოადგენს ადეკვატურ საფუძველს სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განვითარებისა და ევროკავშირის PIFC მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით. თუმცა მენეჯერული ანგარიშვალდებულება, ფინანსური მართვა და კონტროლი და შიდა აუდიტი არ არის განხორციელებული ეფექტურად, არასაკმარისი შესაძლებლობების, აღნიშნულის სარგებლიანობის შესახებ საჯარო სამსახურის მასშტაბით გაცნობიერების დაბალი დონისა და სამინისტროებსა და მათ დაქვემდებარებულ ორგანოებს შორის არაეფექტური ანგარიშვალდებულებითი პროცესების გამო. საჯარო სექტორში ფინანსური ინსპექციის როლი და ზეგავლენა საჭიროებს გადახედვას.

ჯგუფი 2: შიდა ბაზარი

აღნიშნული ჯგუფი მოიცავს შემდეგს: საქონლის თავისუფალ მოძრაობა (თავი 1); მუშაკთა მოძრაობის თავისუფლება (თავი 2); დაფუძნების უფლება და მომსახურების მიწოდების თავისუფლება (თავი 3); კაპიტალის თავისუფალი მოძრაობა (თავი 4); საკორპორაციო სამართალი (თავი 5); ინტელექტუალური საკუთრების სამართალი (თავი 7); კონკურენციის პოლიტიკა (თავი 8); ფინანსური მომსახურება (თავი 9) და მომხმარებელთა და ჯანმრთელობის დაცვა (თავი 28).

თავი 1: საქონლის თავისუფალი მოძრაობა

საქონლის თავისუფალი მოძრაობა უზრუნველყოფს, რომ ბევრი პროდუქტი შეიძლება იყოს თავისუფალ მიმოქცევაში, ევროკავშირის მასშტაბით, საერთო წესებსა და პროცედურებზე დაყრდნობით. როდესაც პროდუქტები ექვემდებარება ეროვნულ

წესებს, საქონლის თავისუფალი მოძრაობის პრინციპით თავიდან აცილებულია ამ წესებით ვაჭრობისთვის გაუმართლებელი ბარიერების შექმნა.

ზოგადი პრინციპები

საქონლის თავისუფალი მოძრაობისთვის სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩოს ზოგადი პრინციპების გარკვეული ელემენტები დადგენილია ასევე საქართველოს მიერ ევროკავშირთან დადებული ასოცირების შეთანხმებით/DCFTA–ს ქვეშ აღებული ვალდებულებების გამო (მაგ. მუხლი 47).

არაჰარმონიზებული სფეროები

შეუსაბამო (არათავსებადი) ელემენტები უნდა გაუქმდეს, შეიცვალოს ან/და უნდა შემოღებული იყოს ორმხრივი აღიარების დებულებები. საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო წარმოადგენს შესვლის ეროვნულ წერტილს (*national entry point*) ვაჭრობისადმი ტექნიკური ბარიერების მხრივ.

ჰარმონიზებული სფეროები: ხარისხობრივი ინფრასტრუქტურა

დადგენილია სამართლებრივი და ადმინისტრაციული სტრუქტურა ტექნიკური რეგულაციების, სტანდარტების, შესაბამისობის შეფასების, აკრედიტაციის, მეტროლოგიისა და ბაზრის ზედამხედველობისთვის და ის ნაწილობრივ დაახლოებულია ევროკავშირის კანონმდებლობასთან. ამასთანავე, საქართველოს დღესდღეობით არ აქვს რაიმე გეგმა ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების მიზნით, თუმცა DCFTA–ს სამოქმედო გეგმები მიღებულია და რეგულარულად ექვემდებარება ანგარიშგებას.

სტანდარტიზაცია მოწესრიგებულია ეროვნული კანონით, რომელიც ნაწილობრივ დაახლოებულია ევროკავშირის კანონმდებლობასთან და მოიცავს სტანდარტიზაციის ეროვნული ორგანოს – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს ორგანიზაციისა და ფუნქციონირების შესახებ დებულებებს. საქართველოში არის სტანდარტიზაციის საბჭო, რომელიც მოქმედებს, როგორც საკონსულტაციო ორგანო, იმ შემთხვევაში, თუ არის პრობლემები სტანდარტიზაციის სფეროში სტრატეგიისა და განვითარების მხრივ. საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულმა სააგენტომ ახლახან მიიღო სტანდარტიზაციის აფილირებული ორგანოს სტატუსი ევროკავშირის სტანდარტიზაციის კომიტეტსა (CEN) და ელექტროტექნიკური სტანდარტიზაციის ევროპულ კომიტეტში (CENELEC). მონაცემები აჩვენებს, რომ მის მიერ მიღებულ იქნა დაახლოებით 10 000 ევროპული სტანდარტი, თუმცა საქართველოს ჯერ კიდევ გააჩნია ბევრი საწინააღმდეგო საბჭოთადროინდელი სტანდარტი. არც ერთი ქართული ორგანიზაცია არ წარმოადგენს ტექნიკური სტანდარტების ევროპული ინსტიტუტის (ETSI) წევრს.

საქართველოში **აკრედიტაციის** ჩარჩო მოწესრიგებულია მისი კანონით – პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით, რომელიც ნაწილობრივ დაახლოებულია ევროკავშირის კანონმდებლობასთან. შესაბამისობის შეფასების აკრედიტაცია უზრუნველყოფილია ერთიანი ეროვნული ორგანოს მიერ, რომელიც წარმოადგენს აკრედიტაციის ევროპული თანამშრომლობის ასოცირებულ წევრს.

შესაბამისობის შეფასების საკანონმდებლო საფუძველია საქართველოს კანონი – პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი, რომელიც ნაწილობრივ დაახლოებულია ევროკავშირის კანონმდებლობასთან. .

საქართველოს აქვს კანონი **მეტროლოგიის** შესახებ, რომელიც ნაწილობრივ დაახლოებულია ევროკავშირის კანონმდებლობასთან. საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო (GEOSTM) წარმოადგენს საქართველოში მეტროლოგიის ცენტრალურ ორგანოს.

ბაზარზე ზედამხედველობისთვის საქართველოს საკანონმდებლო ბაზა არის მისი კანონი – პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი, რომელიც ნაწილობრივ დაახლოებულია ევროკავშირის კანონმდებლობასთან. საქართველო დღესდღეობით ეყრდნობა ბაზარზე ზედამხედველობის „მეტყობინებამდე“ (*pre-notification*) სისტემას ბაზარზე განთავსებამდე, რომელიც არ არის დაახლოებული [ევროკავშირის] კანონმდებლობასთან. საქართველოს ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო დამოუკიდებელი ორგანოა და ასევე საჯარო სამართლის იურიდიული პირი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემის ფარგლებში.

ჰარმონიზებული სფერო: დარგობრივი კანონმდებლობა

რაც შეეხება „**ახალ და გლობალურ მიდგომას**“, საქართველოს მიღებული აქვს კანონმდებლობა, რომელიც სრულად დაახლოებულია საბაგრო გზების, გაზის დანადგარების, პოტენციურად ფეთქებად ატმოსფეროებში გამოყენებისათვის განკუთვნილი დამცავი სისტემების, რეკრეაციული მცურავი საშუალებების და ეკო-დიზაინის, ლიფტების, სამოქალაქო სფეროში გამოსაყენებელი ასაფეთქებელი ნივთიერებების, საზომი ინსტრუმენტების, არაავტომატური ასაწონი ინსტრუმენტებისა და სამედიცინო ხელსაწყოების შესახებ ევროკავშირის კანონმდებლობასთან ასევე მიღებულია კანონმდებლობა, რომლის მიზანია ნაწილობრივ ან მთლიანად, სათამაშოების, დანადგარების, წნევის ქვეშ მომუშავე მოწყობილობებისა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შესახებ ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობის მიზნით (დადასტურების პროცესში). სამშენებლო პროდუქტების შესახებ კანონმდებლობა ნაწილობრივ დაახლოებულია, დაგეგმილია რა ამ წლის ბოლომდე ყველა პროდუქტზე განვრცობა.

საქართველომ ასევე დაუახლოვა მისი კანონმდებლობა ენერჯის ეტიკეტირების შესახებ ევროკავშირის კანონმდებლობას (საქართველო არის ენერჯეტიკული გაერთიანების შეთანხმების მხარე), მაგრამ ეს კანონმდებლობა ჯერ არის ძალაში შესული. ის ჯერჯერობით არ არის დაახლოებული ევროკავშირის კანონმდებლობასთან ელექტრომაგნიტური თავსებადობის, ჰაერის აეროზოლების, ძაბვის გარკვეულ ზღვრებში გამოსაყენებელი ელექტრომოწყობილობების, რადიომოწყობილობების, ჩვეულებრივი წნევის ჭურჭლის, სახლისგარეთა მოწყობილობების ხმაურის, პიროტექნიკური საგნების, საზომი აღჭურვილობის, ბოთლების როგორც საზომი მოწყობილობების ან არაავტომატური ასაწონი მოწყობილობების თაობაზე.

„პროდუქტების ძველი მდგომით“ შესახებ კანონმდებლობასთან დაკავშირებით, საქართველოს ჯერ არ აქვს დაახლოებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების, ორ ან სამბორბლიანი ავტოსატრანსპორტო საშუალებების, ტრაქტორების, არასაგზაო მოძრავი ტექნიკის, ქიმიური ნივთიერებების რეგისტრაციის, შეფასების, ავტორიზაციისა და შეზღუდვის, ქიმიური ნივთიერებების კლასიფიკაციის, შეფუთვისა და ეტიკეტირების (CLP), აეროზოლების, დისპენსერების, კარგი ლაბორატორიული პრაქტიკის, სასუქების, სარეცხი საშუალებების და წინასწარი შეფუთვის, ან ცეცხლსასროლი იარაღის, ბროლის, თავდაცვის პროდუქტების, თავდაცვის სფეროში სახელმწიფო შესყიდვების, ფეხსაცმლის, ტექსტილის ეტიკეტირებისა და ნარევების, ან სამედიცინო პროდუქტების ფასდადების შესახებ ევროკავშირის კანონმდებლობასთან ან ევროკავშირის წევრი ქვეყნის ტერიტორიიდან უკანონოდ აღებული კულტურული ობიექტების დაბრუნების შესახებ ევროკავშირის კანონმდებლობასთან. საქართველომ არ წარმოადგინა ინფორმაცია პრეკურსორებთან დაკავშირებით ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობის თაობაზე (თუმცა წარმოდგენილი იყო ინფორმაცია აღნიშნულის თაობაზე ზოგიერთი პროცედურის შესახებ).

დასკვნა

საქართველოს აქვს **მომზადების გარკვეული დონე** საქონლის თავისუფალ მიმოქცევის სფეროში. მიღებულია ზოგიერთი ნაბიჯი მათი ევროკავშირის კანონმდებლობის რამდენიმე ელემენტთან დასაახლოებლად, ახალი და გლობალური მიდგომების ნაწილებში. თუმცა, უზრუნველყოფილი არ ყოფილა თითქმის არანაირი დაახლოება ძველი მიდგომის ქვეშ, მათ შორის ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და ქიმიური ნივთიერებების თაობაზე ევროკავშირის კანონმდებლობასთან და ფაქტობრივად არც ერთ პროცედურულ დონისძიებასთან.

თავი 2: მუშაკთა მოძრაობის თავისუფლება

ერთი წევრი ქვეყნის მოქალაქეებს აქვთ უფლება, იმუშაონ სხვა წევრ ქვეყანაში, უნდა მიეცეთ იგივე სამუშაო და სოციალური პირობები, რაც სხვა მუშაკებს.

ასოცირების შეთანხმება/DCFTA ეხება მხოლოდ ახალგაზრდებისა და მკვლევარ-მუშაკთა თავისუფალ მოძრაობას.

საქართველოში შრომით მიგრანტთა შესვლასა და ყოფნაზე პასუხისმგებელია სამი სამინისტრო და არსებობს სამინისტროს ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია ეკონომიკური მიგრანტების შესწავლასა (ანალიზსა) და მონიტორინგზე, მაგრამ მისი ფუნქციები არ მოიცავს ევროკავშირის შრომით მიგრანტთა წახალისებასა და მხარდაჭერას. ევროკავშირის შრომით მიგრანტებს აქვთ უფლება, მიმართონ შრომის ინსპექციას, სახალხო დამცველს ან სასამართლოს, თუ ისინი ფიქრობენ, რომ დისკრიმინირებულნი არიან.

შრომის ბაზარზე წვდომის მომაწესრიგებელი სამართლებრივი ჩარჩო ეფუძნება ძირითადად შრომითი იმიგრანტის ადგილობრივ დამსაქმებელთან შრომითი მოწყობისა და ანაზღაურებადი შრომითი საქმიანობის განხორციელების შესახებ 2015 წლის დადგენილებას. აღნიშნული დადგენილება არ ზღუდავს საქართველოში უცხოელების დასაქმებას და არ მოითხოვს სამუშაო ნებართვას.

სამართლებრივი ჩარჩო- შეიცავს მუშაკთა თავისუფალი მოძრაობისთვის რამდენიმე საწყის ელემენტსა და აღსრულების მეთოდებს, და სასამართლოსთვის დახმარებისთვის მიმართვის (*judicial redress*) მექანიზმებს. საქართველოს შრომითი კანონმდებლობა კრძალავს დისკრიმინაციას რიგ, მათ შორის ეროვნების, საფუძველზე. საჯარო სექტორში დასაქმება პროფესიონალი საჯარო მოხელეების თანამდებობებზე შეუძლიათ მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს, მაგრამ ადმინისტრაციული და შრომის ხელშეკრულებით აყვანილ მუშაკებზე ეროვნების (მოქალაქეობის) მოთხოვნები არ ვრცელდება. ევროკავშირის მოქალაქეებისთვის არ არის განსაზღვრული რაიმე სპეციალური წესი. ამავდროულად, საქართველოს არამოქალაქეებისთვის არ არის სავალდებულო სამუშაო ნებართვა და მათ შეუძლიათ 1 წლით დარჩნენ ბინადრობის ნებართვის გარეშე, იმავე უფლებებით, რაც აქვთ საქართველოს მოქალაქეებს. რაც შეეხება ევროკავშირის მუშაკთა ოჯახის წევრებს, დადგენილი არ არის რაიმე სპეციალური რეჟიმი და ოჯახის წევრებზე ვრცელდება იგივე წესები რაც ნებისმიერი სხვა უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე.

ევროკავშირის წესები, რომელიც დაკავშირებულია მობილური მუშაკების დაგროვებით საპენსიო უფლებებთან, ეროვნული და ევროკავშირის მუშაკების თანაბარი მოპყრობის პრინციპებთან, დასვენებისა და მოცდის პერიოდებთან, ბენეფიტების (პროფესიული პენსიის) ექსპორტირებასთან და ა.შ., როგორც გათვალისწინებულია რამდენიმე დირექტივით,⁹ არ არის ეროვნულ კანონმდებლობაში გათვალისწინებული.

მუშაკთა საზღვარგარეთ მობილობასთან დაკავშირებით, საქართველოს ხელმოწერილი აქვს საერთაშორისო ორმხრივი შეთანხმებები ევროკავშირის სამ

⁹ დირექტივა (EC) 98/49 და (EU) 2014/50.

წევრ ქვეყანასთან (გერმანიასთან, ბულგარეთთან და საფრანგეთთან).

საქართველოს არ აქვს მოსამზადებელი სამუშაო განხორციელებული **ევროპის დასაქმების მომსახურების (EURES)** ქსელში გაერთიანების მიზნით. მას აქვს სამი ვებგვერდი სამუშაო ვაკანსიებისთვის (ეროვნულ/საერთაშორისო/საჯარო პოზიციებისთვის). ეროვნული ვაკანსიების ვებგვერდს აწარმოებს სახელმწიფო დასაქმების ხელშეწყობის სააგენტო და ის წარმოადგენს მონაცემთა ბაზას ქვეყნის მასშტაბით ვაკანსიების, სამუშაო განაცხადებისა და რეზიუმეების გამოსაქვეყნებლად.

სოციალური უსაფრთხოების სისტემების კოორდინაციასთან დაკავშირებით, საქართველოს სოციალური უსაფრთხოების თაობაზე ძალიან ცოტა საერთაშორისო ორმხრივი შეთანხმებისთვის აქვს ხელი მოწერილი და ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან მხოლოდ ორისთვის. საქართველოს არ აქვს სოციალური უსაფრთხოების სქემა (სისტემა), მოცემული (EC) 883/2004 რეგულაციაში. შესაბამისად, ქვეყანას არ გააჩნია გამოცდილება სოციალური უსაფრთხოების კოორდინაციის პრინციპების გამოყენების მხრივ, როგორცაა აგრეგაცია, ბინადრობაზე უარის თქმის დებულება. რამდენიმე რისკი, რომელიც მოცულია რეგულაციით, არ არის მოცული საქართველოს კანონმდებლობით, როგორცაა გარდაცვალების შემდეგ გაცემული ოდენობები (*death grants*), უმუშევრობის შემწეობები და პენსიაზე გასვლამდელი სარგებლები (ბენეფიტები). თუმცა საქართველო კი ითვალისწინებს ავადმყოფობის დროს მისაღებ არაფულად ბენეფიტებსა და საოჯახო ბენეფიტებს, მაგრამ მითითებულ რეგულაციასთან მათი თავსებადობის მასშტაბი უნდა დადგინდეს.

საქართველოს პენსიათა სამართლებრივი ჩარჩო არ იღებს მხედველობაში ასაკობრივი პენსიების გაცემასა და მათ გამოთვლასთან დაკავშირებით 883/2004 და 987/2009 რეგულაციებით გათვალისწინებულ დებულებებს. ამჟამად, სისტემა საქართველოს არამოქალაქეებისთვის (როგორც ეკონომიკურად აქტიური და არააქტიური) პენსიასთან დაკავშირებით ითვალისწინებს ბინადრობის მოთხოვნას და ის გაიცემა მხოლოდ პენსიაზე განაცხადის შეტანამდე უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივი კანონიერი ბინადრობის შემდეგ.

სოციალური მომსახურების სააგენტო (ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ქვეშ), პასუხისმგებელია ყველა სოციალური დაცვის გასაცემლების (ბენეფიტების) გადახდაზე, მათ შორის ასაკობრივი პენსიების (გარდა დაფინანსებული დაგროვებითი პენსიებისა), ხოლო საპენსიო სააგენტო დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ორგანოა, რომელიც პასუხისმგებელია დაფინანსებული **დაგროვებითი პენსიების** მართვასა და გაცემაზე.

საქართველოში ჯერჯერობით არ არის მიღებული ჯანმრთელობის დაზღვევის

ეროვნული ბარათი. ამგვარად, ჯანმრთელობის დაზღვევის ევროპული ბარათის (EHIC) დანერგვა მხოლოდ უფრო გრძელვადიან პერსპექტივაში შეიძლება იყოს გათვალისწინებული.

დასკვნა

საქართველო **მომზადების დაწყებით სტადიაზე** მუშაკთა თავისუფალი მოძრაობის სფეროში. ქვეყანას დასჭირდება ევროკავშირის რელევანტურ კანონმდებლობასთან, მათ შორის ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრეცედენტული სამართლით შემუშავებულ წესებთან მისი კანონმდებლობის ყოვლისმომცველი სახით დაახლოება. მას ასევე დასჭირდება მისი ადმინისტრაციული შესაძლებლობისა და ინსტიტუციათაშორისი თანამშრომლობის გაძლიერება ყველა საჭირო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილების მიზნით. შესაბამისი საჯარო მოსამსახურეებისთვის შესაძლებელია გათვალისწინებული იყოს შემდგომი ტრენინგები ევროკავშირის სოციალური უსაფრთხოების კოორდინაციის სფეროში, კერძოდ ევროკავშირის სოციალური უსაფრთხოების კოორდინაციასთან დაკავშირებული საბაზისო პრინციპების დასაუფლებლად, განსაკუთრებით, საქართველოში იმ შიდა რეფორმების მხედველობაში მიღებით, რომელიც მიზნად ისახავს სოციალური კოდექსის შექმნას.

თავი 3: დაფუძნების უფლება და მომსახურების მიწოდების თავისუფლება

ევროკავშირში ფიზიკურ და იურიდიულ პირებს აქვთ უფლება, ჩამოყალიბდნენ [სამეწარმეო სახით] ნებისმიერ წევრ ქვეყანაში და მიაწოდონ ტრანსსასაზღვრო მომსახურება. გარკვეული რეგულირებული პროფესიებისთვის, არსებობს წესები კვალიფიკაციების ორმხრივ აღიარებასთან დაკავშირებით. საფოსტო მომსახურება კონკურენციისთვის (ბაზრისთვის) გაიხსნა 2017 წლიდან.

წინამდებარე თავი ნაწილობრივ მოცულია დაფუძნების, მომსახურებით ვაჭრობისა და ელექტრონული კომერციის თაობაზე ასოცირების შეთანხმების/DCFTA–ს მე–6 თავში. DCFTA ითვალისწინებს კანონმდებლობის ეტაპობრივ დაახლოებას შემდეგ სფეროებში: საფოსტო და საკურიერო მომსახურება; სატელეკომუნიკაციო მომსახურება; ფინანსური მომსახურება და საერთაშორისო საზღვაო გადაზიდვების მომსახურება.

მთლიანობაში, რამდენადაც ენება **დაფუძნების თავისუფლებასა და მომსახურების თავისუფალ მოძრაობას**, საქართველოს სამართლებრივი ჩარჩო არ ითვალისწინებს რაიმე განსხვავებას ან დისკრიმინაციულ ნორმას უცხო ფიზიკური და იურიდიული პირების უფლების მიმართ, საქართველოში დააფუძნონ კომპანიები და უცხოური იურიდიული პირების ფილიალები. სამართლებრივი ჩარჩო ნაწილობრივ დაახლოებულია შიდა ბაზარზე მომსახურების დირექტივასთან.¹⁰

¹⁰ დირექტივა (EC) 2006/123.

საქართველომ ჩამოაყალიბა კარგად სტრუქტურირებული და განვითარებული ინსტიტუციური და რეგულაციური ჩარჩო მცირე და საშუალო საწარმოთა (SME) პოლიტიკისთვის. **ახალი საწარმოები შესაძლებელია დაფუძნდეს ერთი დღის განმავლობაში.**

რაც შეეხება **საფოსტო მომსახურების** თაობაზე ევროკავშირის კანონმდებლობას (საფოსტო მომსახურების სამი დირექტივა და რეგულაცია ამანათების ტრანსსასაზღვრო გაგზავნის მომსახურებაზე¹¹), საქართველო ჯერ კიდევ უნდა დაუახლოვდეს სამივე დირექტივას ისევე, როგორც რეგულაციას. ასოცირების შეთანხმების/DCFTA–ს დანართი (საფოსტო და საკურიერო მომსახურების მიმართ მოქმედი წესების შესახებ) არ განახლებულა და მიმდინარეობს დისკუსიები დანართის მომავალში განახლების თაობაზე, ახალი ვალდებულებით, რომელიც დაკავშირებული იქნება ამანათების ტრანსსასაზღვრო გაგზავნის მომსახურებასთან.

რეგულირებული პროფესიებისათვის უცხოური კვალიფიკაციების ორმხრივ აღიარებასთან დაკავშირებით, საქართველოს კანონმდებლობა არ არის დაახლოებული პროფესიული კვალიფიკაციების დირექტივასთან.¹² მეანის, ზოგად მოვლაზე პასუხისმგებელი მედიკოსის, ვეტერინარი ქირურგისა და არქიტექტორის პროფესიები საქართველოში არ არის დარეგულირებული.

დასკვნა

საქართველო არის **საშუალოდ მომზადებული** დაფუძნების უფლებისა და მომსახურების მიწოდების თავისუფლების მხრივ. მისი სამართლებრივი ჩარჩო ადგენს თანაბარ მოპყრობას, უცხო ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებების მიმართ, დააფუძნონ კომპანიები და უცხოური იურიდიული პირების ფილიალები საქართველოში.

თავი 4: კაპიტალის თავისუფალი მოძრაობა

ევროკავშირში, კაპიტალსა და ინვესტიციებს უნდა შეეძლოს შეუზღუდავად მოძრაობა, ტრანსსასაზღვრო გადახდებისთვის დაწესებული საერთო წესების საშუალებით. ბანკები და სხვა ეკონომიკური ოპერატორები კონკრეტულ წესებს იყენებენ, ფულის გათეთრებასა და ტერორიზმის დაფინანსებასთან საბრძოლველად.

ასოცირების შეთანხმება/DCFTA მხარს უჭერს კაპიტალის მოძრაობის ეტაპობრივ ლიბერალიზაციასა და თანდათანობით დაახლოებას ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან.

კაპიტალის მოძრაობასა და გადახდებთან დაკავშირებით, არსებული კანონმდებლობა არ ადგენს კაპიტალზე კონტროლს ან სხვა რაიმე შეზღუდვას კაპიტალის მოძრაობაზე. თუმცა, კაპიტალის გარკვეული ტრანზაქციები იმყოფება

¹¹ რეგულაცია (EU) 2018/644.

¹² დირექტივა (EC) 2005/36.

მონიტორინგის ქვეშ, მხოლოდ ფულის გათეთრებასთან ბრძოლის მიზნებისთვის. უცხოური სავალუტო ოპერაციები არაა შეზღუდული.

უცხოელებს შეუძლიათ მიიღონ და საკუთრებაში ჰქონდეთ უძრავი ქონება, გარდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა. მიწის საკუთრებასთან დაკავშირებით არსებობს კონსტიტუციური დაცვის მექანიზმები. „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ ორგანული კანონის თანახმად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა შესაძლებელია, გამონაკლისის სახით, იყოს უცხო მოქალაქის საკუთრებაში, თუ მან მიწა მემკვიდრეობით მიიღო ან თუ აღნიშნულს ადგილი აქვს საქართველოში დარეგისტრირებული იურიდიული პირის საშუალებით.

საქართველოს აქვს 34 მოქმედი ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება სხვა ქვეყნებთან, მათ შორის ევროკავშირის 16 წევრ ქვეყანასთან.

საგადახდო სისტემების სფეროში, საქართველო წინწასულია ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების, ადმინისტრაციული შესაძლებლობებისა და აღსრულების მხრივ. თუმცა არის მკაფიო ვალდებულება, განხორციელდეს საგადახდო მომსახურების გადამუშავებული დირექტივის (PSD2) ძირითადი დებულებები, როგორც არის ღია საბანკო მომსახურება, დავების ალტერნატიული გადაწყვეტის პროცედურების რეგულირება ან გაცვლის მოსაკრებლების (საკომისიოების, *interchange fees*) მოწესრიგება, მითითებულია მხოლოდ საკანონმდებლო აქტების პროექტები, რომელთაც აღნიშნული არ აქვთ დროის ზუსტი პერიოდები, ოფიციალურ ჟურნალში (OJ) მათი გამოქვეყნების მხრივ.

ფულის გათეთრების საწინააღმდეგო სამართლებრივი და ინსტიტუციური კარგად მიმდინარეობს. საქართველო დაუახლოვდა ფულის გათეთრებასთან/ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის მეოთხე დირექტივას და მეხუთე დირექტივასთან დაახლოების პროცესშია. ზოგადი საკოორდინაციო მექანიზმი არსებობს ქალაქებში, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის მიღწეული სრულად ეფექტური კოორდინაცია და თანამშრომლობა საზღვარგარეთ (საკონტროლო), აღმასრულებელ და პროკურატურის ორგანოებს შორის. ფულის გათეთრებასთან ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონმდებლობა ნაწილობრივ ითვალისწინებს ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციებსა და რელევანტურ საერთაშორისო კანონმდებლობას, თუმცა გაუთვალისწინებლად დარჩენილია ევროპის საბჭოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის (Moneyval) რეკომენდაციები და აღნიშნული იმყოფება Moneyval-ის მხრიდან თანმდევნი (*follow-up*) პროცესების ქვეშ.

დასკვნა

საქართველო **საშუალოდ მომზადებულია** კაპიტალის თავისუფალი მოძრაობის სფეროში. საჭიროა შემდგომი ღონისძიებები საქართველოს სამართლებრივი

ჩარჩოს ევროკავშირის საგადახლო მომსახურების მე-2 დირექტივასა და ევროკავშირის ფინანსური მომსახურების დირექტივასთან¹³ დასაახლოებლად, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის ნაწილში.

თავი 6: საკორპორაციო სამართალი

ევროკავშირს აქვს საერთო წესები კორპორაციათა ჩამოყალიბების, რეგისტრაციისა და ინფორმაციის გასაჯაროების მოთხოვნები, დამატებითი წესებით ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგებისთვის, და ასევე სავალდებულო აუდიტისთვის.

2021 წლის **საკორპორაციო სამართლის** სფეროში საკანონმდებლო რეფორმებს შედეგად მოჰყვა ამ სექტორში ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების უფრო მაღალი ხარისხი. კერძოდ, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო არის ორგანო პასუხისმგებელი კორპორაციათა (საზოგადოებათა) დაფუძნებისა და რეგისტრაციის შესახებ ინფორმაციის შენახვასა და კომპანიის ინფორმაციის გასაჯაროებაზე. ეროვნული სააგენტო საჯაროდ ხელმისაწვდომია ონლაინ და გასაჯაროებული მონაცემები უფასოა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ინფორმაციის კონკრეტული მოთხოვნა დამატებით დამუშავებას მოითხოვს.

არ არსებობს წესები უცხოური ფილიალების მიერ ინფორმაციის გასაჯაროების თაობაზე; ასეთი წესები მოთხოვნილია ევროკავშირის კანონმდებლობით. თუმცა ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებს ადმინისტრაციულ ჯარიმებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის (SARAS) ფინანსური ანგარიშების წარუდგენლობის შემთხვევაში, აღნიშნულის განხორციელების ვალდებულება საწარმოთა რეესტრში (ევროკავშირის საკანონმდებლო მოთხოვნა) ნათელი არ არის. ზოგიერთ შემთხვევაში, კომპანიის ჩამოყალიბება შესაძლებელია გაუქმდეს (გამოცხადდეს ბათილად და არარად). საჯარო მომსახურების სააგენტოს ადმინისტრაციული შესაძლებლობები მოითხოვს შემდგომ გაძლიერებას.

2021 დეკემბერში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დაამტკიცა კორპორაციული მართვის კოდექსი საჯარო (ანგარიშვალდებულებული) ემიტენტებისთვის, რითაც აისახა ევროკავშირისა და საერთაშორისო სტანდარტები – მათ შორის OECD-ს პრინციპები და ასევე [დაამტკიცა] ევროკომისიის რეკომენდაციები, რომელიც ეხებოდა საჯარო (ანგარიშვალდებულებული, ბირჟაზე მოვაჭრე) კომპანიების არააღმასრულებელი ან სამეთვალყურეო დირექტორების ფუნქციებსა და „დაიცავით და ახსენით“ (*comply and explain*) მიდგომას. სხვადასხვა დონეზე, ადგილი აქვს ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობას, შემდეგ სფეროებში: ერთი პირის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოების მინიმალური სავალდებულო საწესდებო კაპიტალი, არაფულადი შენატანები კომპანიის

¹³ დირექტივა (EU) 2018/843.

კაპიტალის დასაცავად, სააქციო საზოგადოების აქციონერთა და კრედიტორთა დაცვა კაპიტალის შემცირების/გაზრდის ოპერაციების დროს, შიდასაბაზრო შერწყმები და საჯარო (ანგარიშვალდებული) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებათა გაყოფა და საჯარო (ანგარიშვალდებული) საზოგადოებების მიმართ გამჭვირვალობის მოთხოვნები. საქართველო ასევე ამჟამად ატარებს ხარვეზების შეფასებას საწარმოს დაუფლების შეთავაზებების (*takeover bids*), ევროკავშირის კანონმდებლობასთან შემდგომი დაახლოების მიზნით. თუმცა არსებობს მნიშვნელოვანი ხარვეზები აქციონერთა უფლებებისა და ციფრული ინსტრუმენტებისა და პროცესების შესახებ ევროკავშირის უახლეს კანონმდებლობასთან დაახლოების კუთხით. ამავდროულად, არ არსებობს დებულებები, რომელიც შეესაბამება [ევროკავშირის] კანონმდებლობას ტრანსსასაზღვრო შერწყმების, გაყოფებისა და გარდაქმნების შესახებ და არც წესები ევროპის კორპორაციათა სტატუტის ან ევროპის ეკონომიკური ინტერესის დაჯგუფების შესახებ.

კორპორაციათა ანგარიშგებასთან დაკავშირებით, თუმცა არის ნაწილობრივი შესაბამისობა ევროკავშირის კანონმდებლობასთან, ძირითადად სამართლებრივ მოთხოვნებთან (წლიური და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და დაკავშირებული ანგარიშები; ძალიან მსხვილ მრავალნაციონალურ კორპორაციათა მხრიდან არაფინანსური, მართვისა და მრავალფეროვნების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება, და თითოეული ქვეყნისთვის ცალკე დაყოფილი ანგარიშგება; საერთაშორისო ფინანსური აღრიცხვის სტანდარტების გამოყენება და სანქციები ფინანსური ანგარიშგების მოთხოვნებთან შეუსაბამობისათვის). თუმცა საჭიროა შემდგომი დაახლოება, მათ შორის: მცირე საწარმოებთან მიმართებით ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების; კორპორაციათა სიდიდის მიხედვით კატეგორიებად განსაზღვრის კრიტერიუმებისა და ძალიან დიდი მრავალნაციონალური კომპანიების მიერ ცალკე ქვეყნებად დაყოფილი ანგარიშების წარდგენის მხრივ.

ასევე ადგილი აქვს ევროკავშირის კანონმდებლობასთან ნაწილობრივ დაახლოებას სავალდებულო აუდიტის თაობაზე ძირითადი სამართლებრივი მოთხოვნების მხრივ (სავალდებულო აუდიტორების აღიარება და რეგისტრაცია, აუდიტორების დამოუკიდებლობა, ობიექტურობა და კონფიდენციალურობა, ზედამხედველობის, გამოძიებისა და სანქციების სისტემები).

დასკვნა

საქართველოს აქვს **მომზადების გარკვეული დონე** საკორპორაციო სამართლის სფეროში. თუმცა ასოცირების შეთანხმებით/DCFTA-ით მხარდაჭერილი იყო თავდაპირველი ნაბიჯები ევროკავშირის კანონმდებლობასთან ბევრ სფეროში თანდათანობითი დაახლოების მიზნით, საჭიროა შემდგომი ძალისხმევები, განსაკუთრებით იმდენად, რამდენადაც ეს ეხება უახლეს კანონმდებლობას, და ასევე საზედამხედველო, საგამოძიებო და სანქციის მოქმედებების განხორციელების

მიზნით ფინანსური და ადამიანური რესურსების შესაბამისი დონის უზრუნველსაყოფად.

თავი 7: ინტელექტუალური საკუთრების სამართალი

ევროკავშირმა მოახდინა ინტელექტუალური საკუთრების უფლებების (IPR), მათ შორის საავტორო და მომიჯნავე უფლებების, სამართლებრივი დაცვისთვის წესების ჰარმონიზაცია. ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის შესახებ წესები მოიცავს, მაგალითად, პატენტებსა და სავაჭრო ნიშნებს, დიზაინს, ბიოტექნოლოგიურ გამოგონებებსა და ფარმაცევტულ პროდუქციას. საავტორო და მომიჯნავე უფლებების სამართლებრივი დაცვის წესები მოიცავს, მაგალითად, წიგნებს, ფილმებს, კომპიუტერულ პროგრამებსა და გადაცემებს.

საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფერო საქართველოში მოწესრიგებულია „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონით. ეს კანონი ნაწილობრივ შესაბამისობაშია საავტორო უფლებების შესახებ ევროკავშირის კანონმდებლობასთან. ევროკავშირის უფრო ახალი კანონმდებლობა, უპირველესად ერთიან ციფრულ ბაზარზე საავტორო უფლებების შესახებ დირექტივა, არ არის მოცული კანონით.

ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი (საქპატენტი) წარმოადგენს ორგანოს, რომელიც განსაზღვრავს ინტელექტუალური საკუთრების პოლიტიკას, ის ზედამხედველობას ახორციელებს ქვეყანაში ინტელექტუალური საკუთრების სისტემის განვითარებასა და ასევე ინტელექტუალური საკუთრების უფლებების გაცემაზე.

რაც შეეხება **სამრეწველო საკუთრების უფლებებს**, საქართველო ნაწილობრივ შესაბამისობაშია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ქვეყნებში ექსპორტის მიზნით ფარმაცევტული პროდუქციის წარმოებასთან დაკავშირებით პატენტების სავალდებულო ლიცენზირების რეგულაციასა¹⁴ და სამედიცინო პროდუქტებისთვის დამატებითი დამცავი სერტიფიკატის შესახებ რეგულაციასთან.¹⁵ საჭიროა დამატებითი სამუშაო სავაჭრო ნიშნების შესახებ დირექტივასა¹⁶ და დიზაინების სამართლებრივი დაცვის შესახებ დირექტივასთან¹⁷ შესაბამისობისთვის. მუშაობა არ განხორციელებულა სავაჭრო საიდუმლოების შესახებ დირექტივასთან დაახლოების მიზნით.

როგორც ვმო–ს წევრი, საქართველო ეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა დაცვის მინიმალურ სტანდარტებს, რომლებიც მოცემულია ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა შესახებ შეთანხმების ვაჭრობასთან დაკავშირებულ ასპექტებში. საქართველო არ არის ევროპის პატენტთა კონვენციის წევრი. თუმცა საქართველოსა და ევროპის საპატენტო ორგანიზაციას შორის ხელი

¹⁴ რეგულაცია (EC) 2006/816.

¹⁵ რეგულაცია (EC) 469/2009.

¹⁶ დირექტივა (EU) 2015/2435.

¹⁷ დირექტივა (EC) 98/71.

მოწერა დამოწმების(ვალიდაციის) შეთანხმებას 2019 წლის 31 ოქტომბერს.

დასკვნა

ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სფეროში, საქართველოს აქვს **მომზადების გარკვეული დონე**. თუმცა საავტორო უფლებებისა და სამრეწველო საკუთრების უფლებათა შესახებ კანონმდებლობა ნაწილობრივ დაახლოებულია ევროკავშირის კანონმდებლობასთან, მნიშვნელოვანი სამუშაო ჯერ კიდევ გასაკეთებელია. ამასთანავე, არის გაუმჯობესების შესაძლებლობა ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების კუთხით.

თავი 8: კონკურენციის პოლიტიკა

ევროკავშირის წესები იცავს თავისუფალ კონკურენციას. ისინი მოიცავს ანტიტრასტულ წესებს კომპანიებს შორის დადებულ შემზღვევლი შეთანხმებებისა და დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შესახებ და წესებს კომპანიათა შორის იმ კონცენტრაციების თაობაზე, რომელიც სერიოზულად აფერხებს კონკურენციას. ევროკავშირის წესები ასევე ადგენს სახელმწიფო დახმარების კონტროლის სისტემას. მთავრობას შეუძლია სახელმწიფო დახმარების გაცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შემზღვევლი პირობები დაცულია, კონკურენციის შეზღუდვის (*distortion*) თავიდან აცილების მიზნით.

საქართველოსთან ასოცირების შეთანხმება/DCFTA შეიცავს კონკურენციის დებულებებს, რომელიც მოიცავს შერწყმათა კონტროლსა და ანტიტრასტს, შვილობილი საწარმოების გამჭვირვალობას, კონკურენციის სახელმწიფო ორგანოს ჩამოყალიბებასა და საჯარო (ანგარიშვალდებული) საწარმოებისა და სპეციალური და ექსკლუზიური უფლებების მქონე საწარმოებისათვის სპეციფიკურ (კონკრეტულ) წესებს. თუმცა არ არის დებულებები, რომელიც ამგვარი კანონებისა და აღსრულებითი პრაქტიკის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებას ითხოვს.

ანტიტრასტი და შერწყმები

ინსტიტუციურ ჩარჩოსთან დაკავშირებით, საქართველომ ნაწილობრივ დაუახლოვა მისი კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობას. 2014 წლის კანონი „კონკურენციის შესახებ“ მნიშვნელოვანწილად ასახავს ევროკავშირის დებულებებს შემზღვევლი შეთანხმებებისა და დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების თაობაზე. კანონი ასევე ადგენს ბრუნვის გარკვეული ზღვრებს ზემოთ შერწყმების კონკურენციაზე ზემოქმედების *ex ante* (წინასწარ) კონტროლს, რომელიც უმეტესწილად შეესაბამება ევროკავშირის შერწყმების შესახებ რეგულაციის პრინციპებს.

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო პასუხისმგებელია კონკურენციის წესების აღსრულებაზე. სააგენტო არის ფუნქციონალურად დამოუკიდებელი

ორგანო, რომელიც ანგარიშვალდებულია პრემიერ-მინისტრისა და პარლამენტის წინაშე. 2023 წლის იანვრიდან, კონკურენციის ორგანოს გაუძღვება ხუთი წევრისგან შემდგარი საბჭო. დღესდღეობით, სააგენტოს პერსონალი 60 კაცს ითვლის.

სააგენტოს შეუძლია იმოქმედოს *ex officio* (თანამდებობის მიხედვით), საჩივრის საფუძველზე ან შეტყობინებაზე დაყრდნობით. მას შეუძლია ჯარიმებისა და კომპენსაციების დაკისრება, თუ ის დაადგენს კონკურენციის წესების დარღვევას. სააგენტოს შეუძლია კონცენტრაციების შემთხვევაში დაადგინოს ქცევითი ან სტრუქტურული კომპენსაციური ზომები. სააგენტოს გადაწყვეტილებები შესაძლებელია გასაჩივრდეს კომპეტენტური [იურისდიქციის მქონე] ადმინისტრაციული სასამართლოს წინაშე. კონკურენციის საბჭოს შეუძლია მოსაზრებების წარმოდგენა იმ კანონპროექტებზე, რომელსაც შეუძლია კონკურენციაზე ზემოქმედება მოახდინოს.

სახელმწიფო დახმარება

სახელმწიფო დახმარებასთან მიმართებაში, **სამართლებრივი ჩარჩო** ევროკავშირის კანონმდებლობისგან განსხვავებულ გზაზეა. „კონკურენციის შესახებ“ კანონის თანახმად, მხოლოდ გარკვეული რეგიონების ეკონომიკური განვითარებისა და კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების ხელშეწყობის მიზნით გასაცემი დახმარება მოითხოვს შეტყობინებასა და სააგენტოს წინასწარ თანხმობას. სხვა სახის დახმარება, მაგალითად, დახმარება სტიქიური უბედურების დროს, გარემოსდაცვითი ღონისძიებები, დახმარება მნიშვნელოვანი ეროვნული პროექტებისათვის, დახმარება საერთაშორისო ვალდებულებების შესასრულებლად, არ მოითხოვს შეტყობინებას სააგენტოსგან თანხმობის მისაღებად, თუმცა ისინი მიჩნეულია თავისთავად (*per se*) თავსებადად.

ინსტიტუციური ჩარჩოსთან დაკავშირებით, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო ასევე პასუხისმგებელია კონკურენციის კანონში სახელმწიფო დახმარების დებულების აღსრულებაზე. თუმცა, ეკონომიკის ზოგიერთ სექტორში (მაგ. ენერჯეტიკა) მარეგულირებელი ორგანოები პასუხისმგებელი არიან ამავე სექტორში შერწყმების, ანტიტრასტებისა და სახელმწიფო დახმარების თაობაზე კონკურენციის კანონის შესაბამისი დებულებების აღსრულებაზე. ასევე არ არსებობს გასაჩივრების ფორმალური პროცედურა სახელმწიფო დახმარებისთვის.

სააგენტოს დადებითი გადაწყვეტილებები საბოლოოა და მბოჭავი. თუმცა, უარყოფითი დასკვნები უნდა წარედგინოს საქართველოს მთავრობას საბოლოო გადაწყვეტილებისთვის. მთავრობას აქვს უფლებამოსილება, შეცვალოს სააგენტოს უარყოფითი გადაწყვეტილება. ამასთანავე, სააგენტოს არ აქვს უფლებამოსილება, უკან დაიბრუნოს უკანონოდ და შეუსაბამოდ გაცემული დახმარება. შედეგად, კონკურენციის ორგანოს არ შეუძლია სახელმწიფო დახმარების შესახებ წესების აღსრულება.

დასკვნა

საქართველო იმყოფება **მომზადების ადრეულ სტადიაზე** კონკურენციის პოლიტიკის სფეროში. ქვეყანამ უნდა გააგრძელოს მისი საკანონმდებლო ჩარჩოს შემდგომი დაახლოება ამ სფეროში, განსაკუთრებით დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისა და კარტელების კუთხით. საჭიროა მნიშვნელოვანი ცვლილებები სახელმწიფო დახმარების თაობაზე საქართველოს კანონმდებლობაში ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობისთვის ამ სფეროში. საქართველოს დასჭირდება იმის უზრუნველყოფა, რომ ყველა სახის სახელმწიფო დახმარება (გარდა *de minimis* (მინიმალური, უმნიშვნელო) დახმარებისა) ყველა სექტორში ეცნობება კომპეტენტურ აღმასრულებელს და რომ დახმარება არ გაიცემა ამ აღმასრულებლის მიერ მის დამტკიცებამდე. აკრედიტაციის ეროვნულ კომიტეტს სჭირდება აღსრულებული გადაწყვეტილებების მხრივ მნიშვნელოვანი გამოცდილების დაგროვება. საქართველომ მნიშვნელოვნად უნდა გააძლიეროს ორგანოს ადმინისტრაციული შესაძლებლობები და აამაღლოს ცნობიერება დახმარების გამცემებს შორის სახელმწიფო დახმარების წესების თაობაზე.

თავი 9: ფინანსური მომსახურება

ევროკავშირის წესები მიზნად ისახავს ფინანსურ ინსტიტუციებს შორის სამართლიანი კონკურენციისა და მათი სტაბილურობის უზრუნველყოფას, კერძოდ საბანკო, სადაზღვევო, დაგროვებითი საპენსიო, საინვესტიციო მომსახურებისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრების სფეროში. ისინი მოიცავს წესებს ასეთი ინსტიტუციების ავტორიზაციის, ფუნქციონირებისა და ზედამხედველობის თაობაზე.

ევროკავშირის კანონმდებლობა მოიცავს სამ ძირითადად სფეროს, სადაც აღნიშნული პრინციპები მოქმედებს: საბანკო მომსახურება, სადაზღვევო მომსახურება და საინვესტიციო მომსახურება

საქართველოს ეროვნული ბანკი არის საქართველოს ცენტრალური ბანკი. მისი დამოუკიდებლობა განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციით. საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების წევრებს არ აქვთ უფლება, ჩაერიონ ეროვნული ბანკის მოქმედებებში. ეროვნული ბანკის ფუნქციონალური დამოუკიდებლობის მიმართ არ მოქმედებს სამართლებრივი ან საბიუჯეტო შეზღუდვები. აღნიშნულის საპირისპიროდ, არსებობს კორპორაციული მართვის, ეთიკისა და ინტერესთა კონფლიქტის სტანდარტები და კონფიდენციალურობის მოთხოვნები ეროვნული ბანკის თანამშრომლებისა და საბჭოს წევრებისთვის.

ეროვნული ბანკი ახორციელებს ზედამხედველობას ფინანსურ სექტორზე, ფინანსური სისტემის სტაბილურობისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად და ამ სექტორში მომხმარებლებისა და ინვესტორების უფლებების დასაცავად. ეროვნული ბანკი ასევე ახორციელებს ზედამხედველობას იმ ანგარიშვალდებული ერთეულების მხრიდან შესაბამისობის პროცესზე, როგორც აღნიშნული დადგენილია

„ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით.

რაც შეეხება **ბანკებსა და ფინანსურ კონგლომერატებს**, ყველა საკრედიტო დაწესებულება და ბანკის მსგავსი ინსტიტუცია ექვემდებარება წინდახედულ რეგულირებასა და ზედამხედველობას ეროვნული ბანკის მხრიდან. ეროვნული ბანკი ზედამხედველობას ახორციელებს რეგულირებული ერთეულებისათვის ავტორიზაციათა გაცემასა და უკან გამოხმობაზე. საქართველოს ფინანსური სექტორი ხასიათდება ბანკების მაღალი კონცენტრაციით. საბანკო სექტორის ანგარიშები შეადგენს საქართველოს ფინანსური ინსტიტუციების მთლიანი აქტივების 90%-ს. ორი ყველაზე დიდი ბანკი აკონტროლებს მთლიანი საბანკო აქტივების 74%-ს და რამდენიმე აკონტროლებს არასაბანკო ფინანსურ დაწესებულებებს. ზოგიერთი ბანკი ასევე აფილირებულია არაფინანსურ კომპანიებთან ინდუსტრიათა ფართო სპექტრში (მაგ. უძრავი ქონება, ჯანდაცვა, წყლის მომარაგება, განახლებადი ენერჯია).

დეპოზიტების დაზღვევის სისტემა ეფუძნება დეპოზიტების დაზღვევის 2017 წლის კანონს და ფუნქციონირებს დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მეშვეობით. დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო მოიცავს რეზიდენტ და არარეზიდენტ ფიზიკურ პირებსა და ყველა იურიდიულ პირს ყველა კომერციულ ბანკში. დაფარვის ზღვარი არის 15 000 ლარი (დაახლოებით 5000 ევრო), გაცილებით უფრო დაბალი ვიდრე 100 000 ევროს ზღვარი, რომელიც საჭიროა ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობისთვის.

საქართველოს ასევე დასჭირდება მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და ოპერაციული ნაბიჯების გადადგმა მისი წესების ბანკების გაჯანსაღებისა და რეზოლუციის დირექტივასთან დასაახლოებლად და დასჭირდება მისი შესაძლებლობების (პოტენციალის) განვითარება ახალი ღონისძიებების საიმპლემენტაციოდ.

ფინანსური კონგლომერატების ზედამხედველობასთან დაკავშირებით, 2019 წლიდან ეროვნული ბანკი, დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურთან თანამშრომლობით, ამზადებს კანონპროექტს ფინანსურ კონგლომერატში საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვევო კომპანიებისა და საინვესტიციო კომპანიების დამატებითი ზედამხედველობის შესახებ დირექტივის განხორციელების მიზნით.¹⁸

ამჟამად არსებული საზედამხედველო რეჟიმი საქართველოში ეფუძნება გადახდისუნარიანობის I სამართლებრივ ჩარჩოს, როგორც დამზღვევებისთვის, ასევე გადამზღვევი კომპანიებისთვის. განსაკუთრებით, გადახდისუნარიანობის მინიმალური მარჟა დადგენილია პრემიების წლიურ ოდენობაზე ან უკანასკნელი სამი ფინანსური წლის განმავლობაში მოთხოვნათა საშუალო რაოდენობაზე

¹⁸ დირექტივა (EC) 2002/87.

დაყრდნობით.

რაც შეეხება დაზღვევასა და პროფესიულ პენსიებს, ჯერ კიდევ გადასადგმელია ნაბიჯები ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის მხრივ მთავარ სფეროებში. კანონპროექტი, რომელიც ადგენს მესამე მხარის პასუხისმგებლობას ქვეყნისშიდა ავტოსატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევისთვის, პარლამენტის მხრიდან დამტკიცებას ელოდება 2019 წლიდან და წარმოადგენს პრიორიტეტს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურისა და ინდუსტრიისათვის.

აღნიშნული სამსახური წარმოადგენს კომპეტენტურ ეროვნულ ორგანოს საპენსიო სქემების ზედამხედველობისთვის. არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ 1998 წლის კანონი ადგენს პროფესიულ და პირად საპენსიო სქემებს.

თუმცა, პროფესიული საპენსიო პროდუქტებისა და პირადი საპენსიო პროდუქტების ბაზარო კარგად არ არის საქართველოში განვითარებული.

საქართველოს **ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურის** კანონმდებლობა დაახლოებულია ევროკავშირის ჩარჩოს ნაწილთან, განსაკუთრებით საგადახდო და ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემებში ანგარიშსწორების საბოლოობის დირექტივასა და ფინანსური გირაოს დირექტივასთან. ის ნაწილობრივ შესაბამისობაშია ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარების რეგულაციასთან. დერივატივებისა და ცენტრალური კონტრაქტების შესახებ რეგულაცია, რეგულაცია ცენტრალური კონტრაქტების გაჯანსაღებისა და რეზოლუციის შესახებ და ფასიანი ქაღალდების დაფინანსების ტრანზაქციების გამჭვირვალობის შესახებ რეგულაცია ქართულ სამართლებრივ ჩარჩოში არ არის იმპლემენტირებული.

ერთადერთი რეგულირებული ბაზარი საქართველოში საფონდო ბირჟაა. საქართველოს აქვს მოთხოვნები საფონდო ბირჟაზე რეგისტრაციისთვის, რომელიც მსგავსია ევროკავშირის ბაზარზე ვაჭრობის (*Listing*) შესახებ დირექტივის წესებთან.

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონი და კანონი „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ ქმნის სამართლებრივ ჩარჩოს **ფასიანი ქაღალდების ბაზრისა და საინვესტიციო მომსახურებისთვის**. უახლესი ცვლილება მიღებული იყო 2020 წელს და მოიცავს გამჭვირვალობის მოთხოვნებს ემიტენტებთან დაკავშირებულ იმ ინფორმაციასთან მიმართებაში, რომელთა ფასიანი ქაღალდებიც დაშვებულია რეგულირებულ ბაზარზე სავაჭროდ. საქართველოს დანერგული აქვს ბაზრის ბოროტად გამოყენების სამართლებრივი რეჟიმი, რომელიც შეესაბამება ევროკავშირის ბაზრის ბოროტად გამოყენების რეგულაციას.

საქართველოს ეროვნული კანონმდებლობა კოლექტიური საინვესტიციო ფონდების შესახებ დაახლოებულია ევროკავშირის კანონმდებლობასთან. მენეჯერული კომპანიები ლიცენზირებულნი არიან, დადგენილია კაპიტალის მიმართ

მოთხოვნები, დეპოზიტარი დანიშნულია და ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრულია ზედამხედველობის საკმარისი დონე. კანონი საინვესტიციო ფონდისთვის უშვებს სხვადასხვა სამართლებრივ სტრუქტურას და შიდა თუ გარე მენეჯმენტს.

დასკვნა

ფინანსური მომსახურების სფეროში, საქართველოს აქვს **მომზადების გარკვეული დონე**. საქართველოს დასჭირდება მნიშვნელოვანი დამატებითი სამართლებრივი და ოპერატიული ნაბიჯების გადადგმა მრავალ სფეროში მისი წესების შესაბამისობისთვის, განსაკუთრებით კაპიტალის მიმართ მოთხოვნების რეგულაციასა და დირექტივასთან, საინვესტიციო ფირმების რეგულაციასა და დირექტივასთან, ბანკების გაჯანსაღებისა და რეზოლუციის დირექტივასა და ფინანსური ბაზრების ინფრასტრუქტურის შესახებ ზოგად კანონმდებლობასთან. ამასთანავე, საქართველოს დასჭირდება მისი შესაძლებლობების მნიშვნელოვნად გაძლიერება, ყველა სფეროში ახალი ზომების განსახორციელებლად. სადაზღვევო და კაპიტალის ბაზრები განუვითარებელ მდგომარეობაშია.

თავი 28: მომხმარებელთა და ჯანმრთელობის დაცვა

ევროკავშირის წესები იცავენ მომხმარებელთა ეკონომიკურ ინტერესებს, მათ შორის პროდუქტთა უსაფრთხოების, საშიში იმიტაციებისა და დეფექტური პროდუქტებისთვის პასუხისმგებლობის მხრივ. ევროკავშირი ასევე უზრუნველყოფს მაღალ საერთო სტანდარტებს თამბაქოს კონტროლისთვის, სისხლისთვის, ქსოვილებისთვის, უჯრედებისა და ორგანოებისთვის და ადამიანთა თუ ვეტერინარული გამოყენებისთვის განკუთვნილი სამედიცინო პრეპარატებისთვის. ევროკავშირი ასევე უზრუნველყოფს, მაღალ საერთო სტანდარტებს ტრანსსასაზღვრო ჯანმრთელობის დაცვის სფეროში პაციენტების უფლებების დაცვისა და ჯანმრთელობის მიმართ სერიოზულ ტრანსსასაზღვრო საფრთხეებთან, მათ შორის გადამდებ დაავადებებთან, ბრძოლის მხრივ

ასოცირების შეთანხმება/DCFTA ითვალისწინებს მომხმარებელთა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ ეროვნული კანონმდებლობისა და სტანდარტების დაახლოებას ევროკავშირის კანონმდებლობასა და სტანდარტებთან.

მომხმარებელთა დაცვა

სამართლებრივად, საქართველოს კონკურენციის ეროვნული ორგანო არის მომხმარებელთა დაცვის მთავარი აღმასრულებელი ორგანო. ის ასევე ახორციელებს მოქმედებებს მომხმარებელთა უფლებების შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად. სხვა უწყებები ან სექტორის მარეგულირებელი ორგანოები, მათ შორის ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია, ენერგომომბუდსმენი, დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური და კომუნიკაციების ეროვნული კომისია, კანონით [ამისთვის] უფლებამოსილნი არიან

გარკვეულ სიტუაციებში.

ეროვნულ ბანკს ასევე აქვს გამოყოფილი მომხმარებელთა დაცვის ერთეული, ფინანსურ სექტორში მომხმარებელთა უფლებების დაცვის მონიტორინგისა და ამ სფეროში მომხმარებელთა საჩივრების დამუშავების მიზნით.

საქართველოს მომხმარებელთა დაცვის ეროვნული კანონმდებლობა ნაწილობრივ დაახლოებულია ევროკავშირის კანონმდებლობასთან. ის არ არის დაახლოებული ევროკავშირის კანონმდებლობასთან სამოგზაურო (საგზურით მოგზაურობის) პაკეტებისა და კომბინირებული სამოგზაურო მომსახურებების ან განაწილებული თანამფლობელობის (ე.წ. *timeshare*) საკითხებზე ევროკავშირის კანონმდებლობასთან. ის ასევე არ არის დაახლოებული ევროკავშირის კანონმდებლობასთან მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ წესების გაუმჯობესებულ აღსრულებასა და მოდერნიზაციასთან, ან წარმომადგენლობითი მოქმედებების შესახებ, ან ციფრული შინაარსის (კონტენტის) ან საქონლის გაყიდვის წესებთან დაკავშირებით.

პროდუქტის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, ბაზრის ზედამხედველობის სისტემა ქვეყანაში იყენებს რისკის შეფასებას არასასურსათო სამომხმარებლო პროდუქტებისათვის და გამოსასწორებელი ზომების შესარჩევად, რომელიც აყალიბებს მეთოდოლოგიურ ჩარჩოს არასასურსათო სამომხმარებლო პროდუქტებიდან მომდინარე რისკის დონის შეფასებისთვის. საქართველოს სამართლებრივი ჩარჩო პროდუქტთა უსაფრთხოების შესახებ ნაწილობრივ დაახლოებულია ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

საზოგადოებრივი ჯანდაცვა

საზოგადოებრივ ჯანდაცვასთან დაკავშირებით, დადგენილია ჯანდაცვის ეროვნული სტრატეგია, რომელიც ფარავს 2022–2030 წლების პერიოდს, მისი მიზანია საყოველთაო (უნივერსალური) ჯანდაცვის მიღწევა, ჯანდაცვის ხელმისაწვდომი და უმაღლესი მიღწევადი დონის მომსახურებისადმი თანაბარი წვდომის უზრუნველყოფა, ყველას ფინანსური რისკისგან დაცვით. ციფრულ ჯანდაცვასთან მიმართებაში, საქართველოს გარკვეული ელემენტები აქვს ადგილზე, როგორცაა საავადმყოფოდან გაწერის რეესტრი და ახალი შემთხვევების რეესტრი და ასევე მონაცემების შეგროვება სიმსივნეზე, დაბადებულთა და ორსულობათა რაოდენობაზე.

საქართველო ნაწილობრივ დაახლოებულია **თამბაქოს კონტროლის** შესახებ [ევროკავშირის] კანონმდებლობასთან. ის არის თამბაქოს კონტროლზე ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ჩარჩო–კონვენციის წევრი (კონვენცია (FCTC) და მისი სამართლებრივი ჩარჩო გათვლილია აღნიშნულთან შესაბამისობისთვის, თუმცა დასასრულებელია მიერთება თამბაქოს პროდუქტების უკანონო ვაჭრობის აღმოფხვრის ოქმთან).

რაც შეეხება **ჯანმრთელობის მიმართ ტრანსსასაზღვრო საფრთხეებს, მათ შორის გადამდებ დაავადებებს**, საქართველო ნაწილობრივ დაახლოებულია ევროკავშირის კანონმდებლობასთან. მას ჩამოყალიბებული აქვს ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის სისტემა, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრალური ორგანო, ზედამხედველობას დაქვემდებარებული გადამდებ დაავადებების ნუსხა და აღრეული გაფრთხილების სისტემა ჯანმრთელობის მიმართ არსებული სერიოზული ტრანსსასაზღვრო საფრთხეების შეტყობინების მიზნით. საქართველოს ასევე აქვს დადგენილი არაგადამდები დაავადებების პრევენციის სტრატეგია.

საქართველოს სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც არეგულირებს **სისხლის, ქსოვილების, უჯრედებისა და ორგანოების** სფეროებს, ჯერჯერობით არ არის დაახლოებული ევროკავშირის კანონმდებლობასთან, რაც ნიშნავს, რომ ჯერჯერობით არ ხორციელდება მოთხოვნილი საზედამხედველო ფუნქციები ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისად.

ტრანსსასაზღვრო ჯანდაცვაში პაციენტების უფლებებთან დაკავშირებით, საქართველოს საკანონმდებლო ბაზა ითვალისწინებს, რომ მის ტერიტორიაზე ევროკავშირის წევრი და სხვა ქვეყნების მოქალაქეებს შეუძლიათ მიიღონ სამედიცინო მკურნალობა. ამავდროულად, საქართველოს მოქალაქეებს, გარკვეული პირობების ქვეშ, უნაზღაურდებათ საზღვარგარეთ მკურნალობა, შესაბამისი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში.

თემზე დაფუძნებულ (სათემო) *ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან* დაკავშირებით, საქართველოს 2022–2030 წლების ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული სტრატეგია მხარს უჭერს ფსიქიკური ჯანდაცვის მომსახურების დეინსტიტუციონალიზაციას ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანებისთვის, თემზე დაფუძნებული (სათემო) მკურნალობის გაძლიერებით. 2021 წელს, ბენეფიციართა 7%-მა გაიარა მკურნალობა ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში, ხოლო დანარჩენებმა კი მკურნალობა მიიღეს თემზე დაფუძნებული (სათემო) მომსახურების საშუალებით.

საქართველო ამჟამად ახორციელებს **ნარკოტიკული ნივთიერებების ავადმომხმარების** პრევენციასა და ზიანის შემცირებას ევროპული საბჭოს რეკომენდაციებთან დაახლოების მიზნით შემუშავებული მეთოდების საშუალებით. *ალკოჰოლის ავადმომხმარების* პრევენციის შესახებ ეროვნული კანონმდებლობა მიმართულია ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებაზე. საქართველოს კანონმდებლობა ნაწილობრივ დაახლოებულია ევროკავშირის კანონმდებლობასთან მუშაკების ჯანმრთელობაზე იმ უარყოფითი ზემოქმედებისგან დაცვის შესახებ, რომელიც მომდინარეობს სამუშაო პირობებში *ელექტრომაგნიტური ველების მხრიდან*.

პრევენციულ ღონისძიებებთან დაკავშირებით, საქართველოს აქვს **კიბოს**

კონტროლის ეროვნული პროგრამები. რაც შეეხება იშვიათი დაავადებების კონტროლს, საქართველოს ჯერჯერობით არ აქვს დადგენილი ეროვნული პროგრამა.

ადამიანის მიერ გამოყენებისათვის განკუთვნილ სამედიცინო პრეპარატებთან დაკავშირებით, საქართველოს ეროვნული კანონმდებლობა არ არის დაახლოებული პრეპარატების საბაზრო რეგისტრაციის, ხარისხის უზრუნველყოფის ან ბაზარზე განთავსების შემდგომი მონიტორინგის შესახებ ევროკავშირის კანონმდებლობასთან. [რაც შეეხება ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატებს, საქართველომ არ წარმოადგინა ინფორმაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან საკანონმდებლო დაახლოების მხრივ მდგომარეობის შესახებ ან ადმინისტრაციული შესაძლებლობის ან აღსრულებითი სისტემის თაობაზე, არც კოსმეტიკური პროდუქციისთვის ევროკავშირის კანონმდებლობასთან საკანონმდებლო დაახლოების მხრივ არსებული მდგომარეობის შესახებ.] საქართველო არ არის დაახლოებული **სამედიცინო მოწყობილობების** შესახებ ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

ჯანდაცვის სფეროში უთანასწორობის მხრივ, საქართველო ვარაუდობს, რომ ჯანდაცვისა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონმდებლობით ბოშებისთვის გარანტირებულია წვდომა ჯანდაცვის მომსახურებაზე, თუმცა ნათელი არ არის, არსებობს თუ არა რაიმე ზომები მიღებული ჯანდაცვის ძირითად მომსახურებაზე მოწყვლადი ჯგუფების წევრების მხრიდან, როგორცაა ბოშების მოსახლეობა, ეფექტური და თანაბარი წვდომის უზრუნველყოფის მიზნით.

დასკვნა

საქართველოს აქვს **მომზადების გარკვეული დონე** მომხმარებელთა დაცვისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში. ყურადღება უნდა მიექცეს მომხმარებელთა დაცვისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებასა და მის შესაბამის აღსრულებას.

ჯგუფი 3: კონკურენტუნარიანობა და ინკლუზიური ზრდა

წინამდებარე ჯგუფი მოიცავს შემდეგს: ციფრული ტრანსფორმაცია და მედია (თავი 10); საგადასახადო დაბეგვრა (თავი 16); ეკონომიკური და მონეტარული პოლიტიკა (თავი 17); სოციალური პოლიტიკა და დასაქმება (თავი 19); მეწარმეობა და ინდუსტრიული პოლიტიკა (თავი 20); მეცნიერება და კვლევა (თავი 25); განათლება და კულტურა (თავი 26); და საბაჟო კავშირი (თავი 29).

თავი 10: ციფრული ტრანსფორმაცია და მედია

ევროკავშირი მხარს უჭერს ელექტრონული კომუნიკაციების, ელექტრონული

კომერციისა და აუდიო-ვიზუალური მომსახურების სფეროში შიდა ბაზრის გამართულ ფუნქციონირებას. წესები იცავს მომხმარებლებს და მხარს უჭერს თანამედროვე მომსახურების საყოველთაო ხელმისაწვდომობას.

საინფორმაციო საზოგადოების პოლიტიკაში პოლიტიკის განმსაზღვრელი მთავარი ორგანო არის კომუნიკაციების, ინფორმაციისა და თანამედროვე ტექნოლოგიის დეპარტამენტი, რომელიც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროშია. სამინისტრო მუშაობს გრძელვადიან ეროვნულ სტრატეგიაზე ციფრული ეკონომიკისა და ციფრული ტრანსფორმაციის განვითარებისათვის, ფოკუსირებას ახდენს რა ციფრული მმართველობის პლატფორმებზე, ციფრულ ფინანსურ მომსახურებაზე, ბიზნესზე/მეწარმეობაზე, უნარ-ჩვევებზე, ინფრასტრუქტურასა და სამართლებრივ/რეგულაციურ ასპექტებზე. ციფრული მმართველობის სააგენტოსგან დაგეგმილია ციფრული (ელექტრონული) მმართველობის მეორე სტრატეგიის წარმოდგენა 2022 წლის ბოლოსთვის.

ელექტრონულ კომუნიკაციებსა და ინფორმაციასთან, და კომუნიკაციების ტექნოლოგიასთან დაკავშირებით, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ კანონი ადგენს სამართლებრივ და ეკონომიკურ ჩარჩოს ელექტრონული კომუნიკაციების ქსელების ფუნქციონირებისთვის. ის ასახელებს სამინისტროს, როგორც პოლიტიკის განმსაზღვრელ ორგანოს და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას, როგორც ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოს. 2021 წელს, საქართველო მიიღო ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების 2020–2025 წლების ეროვნული სტრატეგია და მისი კიბერუსაფრთხოების მესამე ეროვნული სტრატეგია (2021–2024), ამგვარად ნაწილობრივ დაუახლოვდა ელექტრონული იდენტურობისა და კვალიფიცირებული ელექტრონული ნდობის მომსახურების (*e-IDAS*) გამოყენების შესახებ ევროკავშირის რეგულაციას. **კიბერუსაფრთხოებასთან** დაკავშირებით, საქართველოში საინფორმაციო უსაფრთხოების შესახებ საკანონმდებლო ჩარჩო არსებობს და ამჟამად ამზადებს მეორად კანონმდებლობას განსახორციელებლად, როგორც არის პირველი და უფრო მაღალი კატეგორიების კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტის ქსელური სენსორის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი. მომზადების პროცესში არსებული ამ ახალი მეორადი კანონმდებლობის შესაბამისობა ევროკავშირის რელევანტურ კანონმდებლობასა და განსაკუთრებით NIS ჩარჩოსთან ამჟამად ფასდება.

საქართველო გამოთქვა ინტერესი შეუერთდეს ევროკავშირის „ინეტიალე [როუმინგი] როგორც სახლში“ რეჟიმს, რომელსაც დასჭირდება როუმინგის შესახებ ევროკავშირის რეგულაციის იმპლემენტაცია და ბაზრის შემდგომ გახსნის თაობაზე შეთანხმება.

ტელეკომუნიკაციების სფეროში, საქართველოს ბაზარზე ფუნქციონირებს მობილური მომსახურების სამი ძირითადი მიმწოდებელი და 25 ფიქსირებული სატელეფონო პროვაიდერი. მობილური სერვისისა და ფიქსირებული სატელეფონო

აბონენტების დაფარვის მაჩვენებელი საცხოვრებელ სახლებში შეადგენს 160% და 26%-ს შესაბამისად. ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ-მომსახურება ხელმისაწვდომია საქართველოს ყველა ქალაქში და ასევე აგრარული დასახლებების (სოფლების) 69%-ში. ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტის აბონენტების რაოდენობა გაიზარდა 86.7%-მდე.

სინშირეთა განაწილების ეროვნული ცხრილი მითითებას აკეთებს ევროკომისიის განმარტებულ გადაწყვეტილებებზე, მიღებულს რადიოსპექტრის გადაწყვეტილების ქვეშ, რადიოსპექტრის გამოყენების ტექნიკური ჰარმონიზაციის მიზნით. საქართველოს კანონმდებლობა არ არის ჰარმონიზებული ევროკავშირის ელექტრონული კომუნიკაციების კოდექსის დირექტივაში მითითებულ დებულებებთან სპექტრის თაობაზე. არ არის მითითება სპექტრის გამოყენების უფლებით ვაჭრობის შესაძლებლობაზე ან მომსახურებისა და ტექნოლოგიის ნეიტრალიტეტის პრინციპებზე. საქართველოს არ აქვს ელექტრონული კომუნიკაციების საყოველთაო (უნივერსალური) მომსახურების მიწოდება გათვალისწინებული მის ეროვნულ კანონში, თუმცა დაწყებული აქვს სამუშაო პროცესი ევროკავშირის ელექტრონული კომუნიკაციების კოდექსის დებულებათა განსახორციელებლად.

საინფორმაციო საზოგადოების მომსახურებათა სფეროში, საქართველოს საბაზისო სამართლებრივი ჩარჩო საჯარო სექტორის ინფორმაციის ღიად ხელმეორე გამოყენების თაობაზე მხოლოდ ნაწილობრივ არის დაახლოებული ღია მონაცემების დირექტივასთან. საქართველოს არ აქვს იმპლემენტირებული გეობლოკირების რეგულაცია ან პლატფორმასა და ბიზნესს შორის ურთიერთობების რეგულაცია, რომელიც არ არის მოცული ასოცირების შეთანხმებით. ის არ არის დაახლოებული ახლახან მიღებულ ციფრული ბაზრების აქტთან და ციფრული მომსახურების აქტთან. საქართველო გეგმავს ელექტრონული (ციფრული) კომერციის შესახებ კანონის მიღებას 2022 წლის ბოლოსთვის. საქართველოს მხრიდან მონაწილეობა ციფრული კვლევებისა და ინოვაციის სხვადასხვა დარგში, მოცული H2020/Horizon Europe-ს ფარგლებში (ხელოვნური ინტელექტი, მიკროელექტრონიკა, ფოტონიკა, კვანტური ტექნოლოგია) ძალიან შეზღუდულია. ინფრასტრუქტურის გაზიარების კანონი, აუცილებელი ქვეყანაში გაციფრულების რეფორმებისთვის, არ არის მიღებული.

აუდიო-ვიზუალურ პოლიტიკასთან დაკავშირებით, საქართველოს კანონმდებლობა არ არის დაახლოებული აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურების დირექტივასთან. ეს არის მოთხოვნა ასოცირების შეთანხმების ქვეშ და ბოლო ვადა – 2022 წლის 30 სექტემბერი – გავიდა. პარლამენტში კანონპროექტი განხილვის პროცესშია 2022 წლის 7 სექტემბრიდან, რომელიც, როგორც ჩანს, ამ ეტაპზე უმეტესწილად დაახლოებულია აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურების გადამუშავებულ დირექტივასთან (AVMSD).

დასკვნა

საქართველოს გააჩნია **მომზადების გარკვეული დონე** საინფორმაციო საზოგადოებისა და მედიის სფეროში. მას მიღებული აქვს გარკვეული ნაბიჯები მისი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დასაახლოებლად. საქართველოს დადგენილი აქვს ციფრული პოლიტიკის რამდენიმე სტრატეგია, მაგრამ მიღებული უნდა იყოს ზომები იმისათვის, რომ ისინი შეესაბამებოდნენ ევროკავშირის „ევროპის ციფრული მომავლის ფორმირებასა“ და „ციფრულ კომპასს.“ თვალსაჩინო არ არის ევროპის ელექტრონული კომუნიკაციების კოდექსში სპექტრზე არსებული დებულებების განხორციელება. არის საყოველთაო (უნივერსალური) მომსახურების რეჟიმის ნაკლებობა და ამგვარად, საყოველთაო (უნივერსალური) მომსახურების იმპლემენტაცია ევროპის ელექტრონული კომუნიკაციების კოდექსის თანახმად ჯერჯერობით არ არის შესაძლებელი. ინტერნეტზე ღია წვდომის შესახებ კონკრეტული სამართლებრივი აქტები ან წესები მიღებული არ არის. ადგილი აქვს პროგრესს AVMSD–სთან დაახლოების კუთხით.

თავი 16: საგადასახადო დაბეგვრა

საგადასახადო დაბეგვრის შესახებ ევროკავშირის წესები ფარავს დამატებითი ღირებულების გადასახადსა და აქციზის გადასახადს და კორპორაციული დაბეგვრის ასპექტებს. ისინი ასევე მოიცავს თანამშრომლობას საგადასახადო ორგანოებს შორის, მათ შორის საგადასახადო თაღლითობისა და გადასახადების გადახდისგან თავის არიდების პრევენციის მიზნით ინფორმაციის გაცვლას.

არაპირდაპირი დაბეგვრის სფეროში, ასოცირების შეთანხმება ავალდებულებს საქართველოს, არაპირდაპირი დაბეგვრის შესახებ მისი კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობას დაუახლოოს, კერძოდ დამატებითი ღირებულების გადასახადისა (დღგ) და აქციზის გადასახადის მხრივ.

საქართველოში დღგ–ს სტანდარტული განაკვეთი 18%–ია. საქართველომ დღგ–ს შესახებ მისი კანონმდებლობა ნაწილობრივ დაუახლოვა ევროკავშირის კანონმდებლობას. აქციზის გადასახადების სფეროში, საქართველო მიჰყვება ევროკავშირის კანონმდებლობის ძირითად სტრუქტურას, მაგრამ არსებობს გარკვეული განსხვავებები დაფარული პროდუქციის მხრივ. საქართველომ აქციზის გადასახადი თანაბრად უნდა გაავრცელოს ეროვნულ და იმპორტირებულ პროდუქტზე. კანონმდებლობა სპირტსა და სპირტიან (ალკოჰოლურ) სასმელებზე აქციზის გადასახადების შესახებ ნაწილობრივ დაახლოებულია და მიღებული უნდა იყოს თამბაქოსთვის, ენერგეტიკის პროდუქტებისა და ელექტროენერჯისათვის. აქციზით დასაბეგრი პროდუქტების ყველა სამივე კატეგორიისთვის – ალკოჰოლი, თამბაქო და ენერგეტიკა – საქართველომ უნდა მიაღწიოს ევროკავშირის დაბეგვრის მინიმალურ დონეებს და დანერგოს ევროკავშირის დასაწყობებისა და გადასახადის გადახდისგან გათავისუფლების სისტემები. გაზოილისა და ნავთისთვის საწვავის ფისკალური ნიშნულები საქართველოს მიერ არ გამოიყენება. სააქციზო პროდუქტის

მოძრაობაზე ევროკავშირის კონტროლის სისტემა დასაწერია.

პირდაპირი დაბეგვრის სფეროში, რეზიდენტები იბეგრებიან მათი მთლიანი [მსოფლიო მასშტაბით, *worldwide*] შემოსავლის საფუძველზე, იმ დროს, როდესაც არარეზიდენტები მხოლოდ საქართველოში არსებული შემოსავლის წყაროზე დაყრდნობით. საშემოსავლო გადასახადის განაკვეთია 20% გარკვეული გამონაკლისებით. განაკვეთი ფიქსირებულია, ის არ არის დამოკიდებული მთლიანად მიღებული შემოსავლის ოდენობაზე. 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველომ შემოიღო გაცემული დივიდენდების გადასახადის სისტემა, რაც ნიშნავს, რომ გაცემული დივიდენდები ექვემდებარება დაბეგვრას, ხოლო გაუცემელი [შენარჩუნებული] მოგება არ იბეგრება. პირდაპირი დაბეგვრის შესახებ ეროვნული კანონმდებლობა ჯერჯერობით არ შეესაბამება შერწყმის დირექტივის, მშობელი-შვილობილი კორპორაციების დირექტივისა და პროცენტისა და როიალტის დირექტივის პრინციპებს.

ადმინისტრაციულ თანამშრომლობასა და ორმხრივ მხარდაჭერასთან დაკავშირებით, საქართველო არის დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის (BEPS) ინკლუზიური ჩარჩოს წევრი. აღნიშნულს საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა უფრო მეტად მოჰყავს ევროკავშირის მიმართ აღებულ ვალდებულებებსა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობაში. როგორც ინკლუზიური ჩარჩოს წევრმა, საქართველომ ხელი მოაწერა დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის პრევენციასთან დაკავშირებული ზომების შესახებ საგადასახადო ხელშეკრულების განხორციელების მრავალმხრივ კონვენციას. ამავდროულად, საქართველო ერთ-ერთია ინკლუზიური ჩარჩო 137 წევრი ქვეყნიდან, რომელიც შეუერთდა 2021 წლის ოქტომბრის განცხადებას ეკონომიკის გაციფრულების შედეგად აღმოცენებული საგადასახადო გამოწვევების ორი მიმართულებით გადაწყვეტის შესახებ. საქართველო ასევე არის გამჭვირვალობისა და საგადასახადო მიზნებისთვის ინფორმაციის გაცვლის გლობალური ფორუმის წევრი. ამასთანავე, საქართველო შეუერთდა ევროკავშირის 2022–2027 წლების Fiscalis პროგრამას, რაც საშუალებას მისცემს ქვეყანას ისარგებლოს საგადასახადო სფეროში ყველა იმ მოქმედებისგან, რომელიც ხელმისაწვდომია ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის.

საგადასახადო ორგანოს **ოპერაციული შესაძლებლობებისა და კომპიუტერიზაციის** საკითხი ჯერ კიდევ გადასაწყვეტია. საგადასახადო ორგანო არის შედარებით მცირე და მნიშვნელოვნად ეყრდნობა ავტომატიზებულ კონტროლს, რომელიც მხარდაჭერილია ელექტრონული ინვოისებითა და გადასახადების დეკლარირებით. საჭიროა მნიშვნელოვანი ძალისხმევები, როგორც ადმინისტრაციული, ასევე ფინანსური, საგადასახადო ორგანოს შესაბამისი საინფორმაციო ტექნოლოგიური (IT) სისტემებით, პროცედურებითა და პერსონალით აღჭურვისთვის იმ მიზნით, რომ ის შესაბამებოდეს ევროკავშირის კანონმდებლობას. ჯერჯერობით არ არის შემუშავებული საინფორმაციო ტექნოლოგიური სისტემები პირდაპირი და

არაპირდაპირი დაბეგვრის შესახებ ინფორმაციის გაცვლის მიზნით.

დასკვნა

საქართველოს აქვს **მომზადების გარკვეული დონე** საგადასახადო დაბეგვრის სფეროში. ნაბიჯები უნდა გადაიდგას კანონმდებლობის, დღგ–სა და აქციზის გადასახადის შესახებ ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების მიზნით. პირდაპირი დაბეგვრის შესახებ კანონმდებლობა დასაახლოებელია ევროკავშირის კანონმდებლობასა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან.

თავი 17: ეკონომიკური და მონეტარული პოლიტიკა

ევროკავშირის წესები ითხოვენ ცენტრალური ბანკების დამოუკიდებლობას და კრძალავენ მათ მიერ საჯარო სექტორის პირდაპირ დაფინანსებას. ევროკავშირის წევრი ქვეყნები ახდენენ მათი ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაციას და ექვემდებარება ფისკალურ, ეკონომიკურ და ფინანსურ ზედამხედველობას.

მონეტარული პოლიტიკის სფეროში, საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ) არის პასუხისმგებელი ორგანო. ქვეყანას ფულის ერთეულად იყენებს ლარი. საშუალოვადიანი სამიზნე ინფლაცია და მონეტარული და ვალუტის გაცვლის პოლიტიკის სხვა ძირითადი მიმართულებები განსაზღვრულია პარლამენტის მიერ, ეროვნული ბანკის მხრიდან მომზადებული პროექტ–დოკუმენტის საფუძველზე. სამიზნე ინფლაცია 2022–2024 წლების პერიოდისთვის განსაზღვრული იყოს 3%–ით. საქართველოს აქვს ვალუტის გაცვლის მცურავი რეჟიმი. ეროვნული ბანკი დროდადრო ერევა უცხოური რეზერვების ადეკვატურობის შესანარჩუნებლად ან კაპიტალური ნაკადებით გამოწვეული მოკლევადიანი რყევების დასაბალანსებლად. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთების დადგენის გარდა, მონეტარული პოლიტიკის განხორციელების მიზნით ეროვნული ბანკის ინსტრუმენტები მოიცავს რეფინანსირების სესხებს, ღია ბაზრის ოპერაციებსა და მინიმალურ სავალდებულო რეზერვებს.

ეროვნული ბანკის მთავარი მიზანია ფასების სტაბილურობა, რაც შესაბამისობაშია ევროკავშირის მონეტარული პოლიტიკის სამართლებრივ ჩარჩოსთან. სხვა მიზნები მოიცავს ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნებასა და მდგრადი ეკონომიკური ზრდის მიღწევას. ეროვნული ბანკის ინსტიტუციური დამოუკიდებლობა გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციითა და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონით (*იხილეთ ასევე თავი 9 – ფინანსური მომსახურება*). კანონი ბანკისთვის ადგენს ვალდებულებას, საქართველოს პარლამენტს ანგარიში წარუდგინოს მისი მონეტარული, გაცვლის კურსისა და საზედამხედველო პოლიტიკის შესახებ, და [ასევე] აუდიტის მიერ შემოწმებული წლიური ფინანსური ანგარიშგება. პირადი დამოუკიდებლობის მხრივ, საბჭოს წევრები სახელდებიან პრეზიდენტის მიერ და ინიშნებიან პარლამენტის გადაწყვეტილებით შვიდწლიანი ვადით. ეროვნული ბანკის თავმჯდომარე აირჩევა ბანკის საბჭოს მიერ მისივე

წევრებიდან და ინიშნება პრეზიდენტის მიერ. საბჭოს წევრების დათხოვნა შესაძლებელია მხოლოდ პარლამენტის მიერ იმპიჩმენტის პროცედურის საშუალებით, კონსტიტუციის დარღვევის ან დანაშაულის ჩადენის მიზეზით. სამართლებრივი ნორმები იძლევა თავმჯდომარის გადაყენების საშუალებას ზოგიერთ შემთხვევაში, რომელიც გამომდინარეობს ევროპის ცენტრალური ბანკების სისტემის ქარტიიდან (სტატუტიდან) და ევროპის ცენტრალური ბანკის ქარტიიდან (სტატუტიდან).

ეკონომიკური და ფისკალური პოლიტიკის სფეროში, ძირითადი აქტორები (მოქმედი პირები) არიან ფინანსთა სამინისტრო, პასუხისმგებელი ფისკალური პოლიტიკისა და შემოსავლების ადმინისტრირების განხორციელებაზე, და ეკონომიკის სამინისტრო, რომელსაც აბარია სტრუქტურული და სავაჭრო პოლიტიკა. ფინანსთა სამინისტრო ასევე ვალდებულია, მოამზადოს და შეასრულოს ბიუჯეტი, ხოლო პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი ახდენს ბიუჯეტური და ფინანსური ზედამხედველობის კოორდინაციას საბიუჯეტო ანალიზის წარდგენით, აფასებს შესაბამისობას ფისკალურ წესებთან და ხელს უწყებს ფისკალურ მდგრადობას საშუალოვადიან პერიოდში. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი მიჩნეულია დამოუკიდებელ ფისკალურ ორგანიზაციად. ფინანსთა სამინისტრო ამზადებს და ასრულებს წლიურ ბიუჯეტს საერთაშორისო სავალუტო ფონდის სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის მეთოდოლოგიის შესაბამისად, ხოლო ბუღალტრული აღრიცხვისა და საჯარო სექტორის მონაცემთა ანგარიშგება დაფუძნებულია საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე.

საქართველო 2005 წლიდან ადგენს საშუალოვადიან ბიუჯეტურ ჩარჩო-დოკუმენტს სახელწოდებით, „ძირითადი მონაცემები და მიმართულებები“, რომელიც მოიცავს მაკროეკონომიკურ ჩარჩოს და მოსალოდნელ სექტორულ ხარჯებს ოთხწლიანი პერიოდის განმავლობაში. ქვეყანას აქვს რაოდენობრივი ფისკალური წესები საჯარო ფინანსების დეფიციტსა (მშპ-ს 3%) და სახელმწიფო ვალთან (მშპ-ს 60%) დაკავშირებით, რომელიც მკაცრად იყო დაცული.

დასკვნა

საქართველო **საშუალოდ მომზადებულია** ეკონომიკურ და მონეტარულ პოლიტიკაში. მონეტარული პოლიტიკის მხრივ, საქართველოს ეროვნული ბანკი ეფექტური ორგანიზაცია არის; მისი დამოუკიდებლობა გარანტირებულია კონსტიტუციითა და კანონმდებლობით და განმტკიცებულია პრაქტიკაში. თუმცა, ბანკის დამოუკიდებლობის შესახებ ზოგიერთი სამართლებრივ დებულებაში უფრო მეტი სიცხადე უნდა იყოს შეტანილი და დაუახლოვდეს ევროკავშირის კანონმდებლობას. ეკონომიკური პოლიტიკის მხრივ, ზოგიერთ სფეროში საჭიროა ძალისხმევები, როგორცაა ანალიტიკური სამუშაოს ხარისხის გაუმჯობესება და პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ინსტიტუციური მოწყობის დაახლოება ევროკავშირის მოთხოვნებთან დამოუკიდებელი ფისკალური ინსტიტუციების

შესახებ.

თავი 19: სოციალური პოლიტიკა და დასაქმება

ევროკავშირის წესები სოციალურ პოლიტიკაზე მოიცავს შრომის სამართლის მინიმალურ სტანდარტებს, თანასწორობას, სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობის დაცვასა და უსაფრთხოებას და დისკრიმინაციისგან დაცვას. ისინი ასევე ხელს უწყობს სოციალურ დიალოგს ევროპულ დონეზე.

ასოცირების შეთანხმების მე-14 თავი დასაქმების, სოციალური პოლიტიკისა და თანაბარ შესაძლებლობების შესახებ მოიცავს სოციალური პოლიტიკისა და დასაქმების სფეროს. სამუშაოზე ადგილზე ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების მიმართულებით, ის ითვალისწინებს მხოლოდ ევროკავშირის ჩარჩო-დირექტივას¹⁹ და ორ სხვა დირექტივას დროებით ან მოძრავ სამშენებლო უბნებზე უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალური მოთხოვნების შესახებ²⁰ და გემების ბორტზე გაუმჯობესებული სამედიცინო მომსახურების მიზნით უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალურ მოთხოვნებს.²¹

შრომის სამართალთან დაკავშირებით, საქართველოს მიღებული აქვს კანონმდებლობა ყველა იმ რვა დირექტივასთან დაკავშირებით, რომელთა ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ვალდებულებაც მას აქვს. საქართველოს მთლიანობაში კარგად აქვს გაცნობიერებული ევროკავშირის კანონმდებლობა შრომის სამართლის უმეტეს სფეროში. კანონმდებლობა ახალგაზრდა მუშაკთა უფლებების შესახებ მიზნად ისახავს ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებას.

რაც შეეხება ადმინისტრაციულ შესაძლებლობებსა და აღსრულებას, შრომითსამართლებრივ საკითხებზე საკანონმდებლო წინადადებების მომზადებაზე პასუხისმგებელია ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. შრომის კანონმდებლობის აღსრულებაზე პასუხისმგებელი ორგანო არის შრომის ინსპექცია, რომელიც დაფუძნდა, როგორც დამოუკიდებელი უწყება სამინისტროს სისტემაში. ინსპექცია ფუნქციონირებს 2021 წლიდან, ჰყავს 167 თანამშრომელი და აქვს ორი რეგიონული ოფისი.

სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობის დაცვასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, 2019 წლის ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ წარმოადგენს ძირითად სამართლებრივ წყაროს სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოებისთვის და ძირითადად დაფუძნებულია ევროკავშირის

¹⁹ დირექტივა (EEC) 89/391.

²⁰ დირექტივა (EEC) 92/104.

²¹ დირექტივა (EEC) 92/29.

ჩარჩო–დირექტივაზე.²² ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისად, საქართველომ მნიშვნელოვანი ზომები მიიღო სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების შესახებ ევროკავშირის 26 დირექტივასთან მისი კანონმდებლობის დასაახლოებლად. აქედან, ჩარჩო–დირექტივის გარდა, საქართველოს კანონმდებლობა დაუახლოვდა თევზმჭერი ხომალდების ბორტზე სამედიცინო მომსახურების შესახებ და ნაწილობრივ, დროებითი ან მოძრავი სამშენებლო უბნების შესახებ ევროკავშირის სამართალს.

რაც შეეხება აღსრულებას, სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობის დაცვა და უსაფრთხოება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შრომის ინსპექციის უფლებამოსილებას განეკუთვნება. საქართველომ მოახდინა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 87–ე და 98–ე კონვენციების რატიფიკაცია, სოციალურ დიალოგთან, გაერთიანებისა და ორგანიზების თავისუფლებასა, და კოლექტიურ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით. ორი სოციალური პარტნიორი ორგანიზაცია აღიარებულია წარმომადგენლებად ეროვნულ დონეზე – საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება და საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შრომის ინსპექცია პასუხისმგებელია, სხვათა შორის, კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებებისა და კოლექტიურ დავებში მედიაციით მიღწეული შეთანხმებების აღსრულებაზე.

რაც შეეხება **დასაქმების პოლიტიკას**, დასაქმების ხელშეწყობის შესახებ კანონი აწესრიგებს დასაქმების ხელშეწყობის ზომებს. ის ადგენს შრომის ბაზრის აქტიურ პოლიტიკას და განსაზღვრავს ინსტიტუციებს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან დასაქმების ხელშეწყობაზე. დასაქმების ხელშეწყობის პოლიტიკის ძირითადი დოკუმენტია შრომისა და დასაქმების პოლიტიკის 2019–2023 წლების ეროვნული სტრატეგია. მიღებულია გარკვეული საწყისი ზომები საქართველოს კანონმდებლობის დასაქმების პოლიტიკასა და დასაქმების საჯარო სამსახურებს შორის გაუმჯობესებული თანამშრომლობის შესახებ სახელმძღვანელო ინსტრუქციებთან (გაიდლაინებთან) ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების მიზნით.

დასაქმების სახელმწიფო მომსახურებას უზრუნველყოფს დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო, რომელიც ფუნქციონირებს 2020 წლის იანვრიდან და რომელსაც ჰყავს 292 თანამშრომელი.

რაც შეეხება **სოციალურ ინკლუზიასა და დაცვას**, სიღარიბეს სხვადასხვა საკანონმდებლო აქტი ეხება. ამავდროულად, სოციალური დაცვის/დახმარების სახელმწიფო პროგრამები მტკიცდება ყოველწლიურად. საქართველოს სოციალური დაცვის სისტემა დაფინანსებულია საერთო შემოსავლებით, გარდა სავალდებულო

²² დირექტივა (EEC) 89/391.

დაგროვებითი პენსიებისა, რომელიც ფინანსდება შენატანებით.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო პასუხისმგებელია სიღარიბესა და სოციალურ გარიყვასთან ბრძოლის პოლიტიკის შემუშავებასა და ხელისუფლების სხვადასხვა დონეზე რელევანტური ზომების კოორდინაციაზე.

დასაქმებულთა დისკრიმინაციისგან დაცვასა და სოციალურ პოლიტიკასთან დაკავშირებით, კონსტიტუცია და 2014 წელს მიღებული კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, ორივე კრძალავს ყველანაირი სახის დისკრიმინაციას რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად. „სექსუალური ორიენტაცია“ არ არის კონკრეტულად ნახსენები, როგორც დისკრიმინაციისგან დაცვის საფუძველი კონსტიტუციაში, მაგრამ დისკრიმინაციისგან დაცვა ამ საფუძველით უზრუნველყოფილია ზოგადი ანტიდისკრიმინაციული კანონით.

საქართველოს სახალხო დამცველი ასრულებს თანასწორუფლებიანობის ორგანოს მსგავს ფუნქციებს. მისი მანდატი და უფლებამოსილებები განსაზღვრულია 1996 წელს მიღებული ორგანული კანონით და გაფართოებულია 2019 წელს შეტანილი ცვლილებებით. სახალხო დამცველი ზედამხედველობს დისკრიმინაციის აღმოფხვრისთვის მიმართულ ძალისხმევას აგროვებს და აანალიზებს სტატისტიკურ მონაცემებს, ამზადებს მოსაზრებებს შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებებზე და ახორციელებს სხვადასხვა მოქმედებას დისკრიმინაციის საკითხებზე მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიზნით.

რაც შეეხება **ქალებსა და კაცებს შორის თანასწორობას დასაქმებასა და სოციალურ პოლიტიკაში**, ამჟამინდელ კანონმდებლობაში არსებობს საბაზისო ინსტიტუციები და დებულებები. კანონმდებლობა მოიცავს ზოგად წესებს გენდერულ თანასწორობაზე.

დასკვნა

საქართველოს აქვს **მომზადების გარკვეული დონე** სოციალური პოლიტიკისა და დასაქმების სფეროში. პოლიტიკის ყველა სფეროში, გამოწვევები მსგავსია – საჭიროა მუშაობა ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების მიზნით.

თავი 20: მეწარმეობა და ინდუსტრიული პოლიტიკა

ევროკავშირის ინდუსტრიული პოლიტიკა აძლიერებს კონკურენციას, ხელს უწყობს

სტრუქტურულ ცვლილებებს და ახალისებს ბიზნესისთვის ხელსაყრელ გარემოს, რომელიც აძლიერებს მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს.

ასოცირების შეთანხმება ადგენს თანამშრომლობას ბიზნეს გარემოს განვითარებისა და გაძლიერების მიზნით, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის (SME), რათა გაუმჯობესდეს ადმინისტრაციული და რეგულაციური ჩარჩო როგორც ევროკავშირში, ასევე საქართველოში მოქმედი საწარმოებისთვის და ორივე მხარემ მიიღოს DCFTA-ს სარგებელი.

საქართველოს სამრეწველო და სამეწარმეო პოლიტიკა ინტეგრირებულია მის 2021–2024 წლების ეკონომიკურ პოლიტიკის დოკუმენტში და განსაზღვრულია 2021–2024 წლების სამთავრობო პროგრამით „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის.“ მისი მიზანია საგარეო ვაჭრობისა და ინვესტიციების დაფინანსება, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და სტარტაპებისა და ინოვაციის ხელშეწყობა. ხორციელდება ენეროეფექტურობისა და გაციფრულების მხარდაჭერი ღონისძიებები. ისინი სუსტია დეკარბონიზაციის მხრივ და აკლია ცირკულარული (წრიული) მიზნები, თუმცა ხაზს უსვამს მედეგობას. უნარ-ჩვევებ ის დეფიციტის პრობლემის მართ გამოყენებულია სექტორული (დარგობრივი) მიდგომა.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს აქვს ზოგადი კომპეტენცია. ორი სააგენტო ახორციელებს ძირითად ჩარევებს (ინტერვენციებს): „აწარმოე საქართველოში“ – ბიზნესის განვითარების, საგარეო ვაჭრობისა და ინვესტიციების საკითხებზე; და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო. ისინი ერთობლივად მოქმედებენ სამეწარმეო ეკოსისტემის შესაქმნელად, ინოვაციის წასახალისებლად და სტარტაპების ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით.

საჯარო-კერძო დიალოგი ორგანიზებულია თემატურ ჯგუფებში, შესაბამისი სამინისტროების მონაწილეობით. თუმცა რეგულაციური ზეგავლენის შეფასება (RIA) უკანასკნელი წლების განმავლობაში განვითარდა, მისი მოქმედების მასშტაბი კვლავაც შეზღუდულია. წლიური ანგარიშები ქვეყნდება „აწარმოე საქართველოს“ მიერ და [ასევე] მცირე და საშუალო საწარმოთა (SME) განვითარების სტრატეგიის განხორციელების თაობაზე. ეს ორი უწყება აფასებს საკუთარ პროგრამებს.

საქართველოს აქვს მცირე და საშუალო მეწარმეობის ეროვნული სტრატეგია 2021–2025 წლებისთვის და შესაბამისი სამოქმედო გეგმა. ის შეესაბამება ევროკავშირის წევრი ქვეყნებში მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების პოლიტიკის საუკეთესო პრაქტიკას და განსაკუთრებით, ევროკავშირის აქტს [კანონს] მცირე საწარმოთა შესახებ.

რეგულაციური ზეგავლენის შეფასების (RIA) კონტექსტში შემუშავებული „მცირე და საშუალო საწარმოს ტესტის“ სახელმძღვანელო შეიცავს სახელმძღვანელო ინსტრუქციებს (გაიდლაინებს) იმასთან დაკავშირებით, თუ როდის უნდა შეფასდეს ნებისმიერი კანონპროექტი, რომელმაც შესაძლებელია პოტენციური ზეგავლენა

მოახდინოს მცირე და საშუალო საწარმოებზე. 2016 წლიდან საქართველომ კიდევ უფრო წინ წავიდა მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების გზაზე, დანერგა რა უფრო სტრატეგიული მიდგომა მიზნობრივი ინიციატივების განვითარების სახით. ქვეყანა მეშვიდეა 190 ქვეყანას შორის ამ კატეგორიაში და მეორე ბიზნესის დაწყების კატეგორიაში. OECD-ის „მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკის ინდექსი: აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები 2020“-ის მიხედვით, საქართველომ გააუმჯობესა საკუთარი პოზიცია ინდექსის თორმეტივე კატეგორიაში. გადახდისუნარობის საკითხის გადაწყვეტა ჯერ კიდევ საჭიროებს გაუმჯობესებას, რეაბილიტაციის შეზღუდული მაჩვენებლების და პროცედურის ხანგრძლივობის გამო.

მცირე და საშუალო საწარმოების (SME) ცნება შეესაბამება ევროკავშირის მცირე და საშუალო საწარმოების ცნებას იმდენად, რამდენადაც ის დაფუძნებულია პერსონალის ოდენობასა და წლიურ ბრუნვაზე. ფინანსური ზღვრები, რომელიც 2017 წელს გადაიხედა საქართველოს ეკონომიკის განვითარების მდგომარეობის მხედველობაში მიღებით – ამჟამადაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევროკავშირში დადგენილ ზღვრებს.

საჭიროა სიდრმისეული მუშაობა დაგვიანებული გადახდების დირექტივასთან დაახლოების მიზნით. დებულებები გადახდის პირობებთან დაკავშირებით, როგორც ჩანს, ვრცელდება მხოლოდ საჯარო ორგანოებსა და ბიზნესს შორის ტრანზაქციებზე (რომელთა პირობებიც, გაურკვეველია) და არა ბიზნესსა და ბიზნესს შორის ტრანზაქციებზე. სხვა ძირითადი დებულებები, მაგალითად დაგვიანებულ გადახდაზე საპროცენტო გადასახადები, არც არსებობს და არც შეესაბამება ევროკავშირის სამართალს.

საქართველოს სხვადასხვა რეგიონში არსებობს სპეციალური ეკონომიკური ზონები და ტექნოლოგიური პარკები. არსებობს მრეწველობის კონკრეტული დარგის სპეციფიკური პოლიტიკის დოკუმენტები, რომელიც დეტალურად აღწერს დარგის პოლიტიკის შესაბამის ინსტრუმენტებს, მაგ. სამთო მრეწველობაში, ინფორმაციასა და კომუნიკაციებში, რომლის ბირთვიცაა ფართოზოლოვანი ქსელის განვითარების სტრატეგია, და ტურიზმი.

საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირები მონაწილეობენ „აწარმოე ევროპის ქსელში, როგორც პარტნიორები არაწევრი ქვეყნებიდან. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებები ერთიანი ბაზრის ახალ პროგრამაში საქართველოს მონაწილეობის თაობაზე.

დასკვნა

საქართველო არის **საშუალოდ მომზადებული** მეწარმეობისა და ინდუსტრიული პოლიტიკის სფეროში. განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დივერსიფიკაცია და მიმართვა მრეწველობის

ვაჭრობაუნარიანი დარგებისკენ და მათ დაკავშირება ქვეყანაში არსებულ სამრეწველო სექტორებთან. საჭიროა უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისობა ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაგვიანებული გადახდების შესახებ.

თავი 25: მეცნიერება და კვლევა

ევროკავშირი მნიშვნელოვან მხარდაჭერას უწევს კვლევებსა და ინოვაციებს. ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყანა, ევროკავშირთან ასოცირებული და მესამე ქვეყნები მონაწილეობენ ევროკავშირის კვლევებისა და ინოვაციების პროგრამებში და შეუძლიათ მათით ისარგებლონ, განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც კვლევები და ინოვაციები აღინიშნება მეცნიერული წარმატებითა და სოლიდური ინვესტიციებით. მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერმა ღონისძიებებმა მომავალში ყურადღება უნდა გაამახვილონ ინტერნაციონალიზაციაზე, ფინანსებზე და ინოვაციებზე წვდომაზე (მათ შორის მწვანე ბაზარზე გადასვლაზე), სამართლიან კონკურენციასა და მეწარმეობის სწავლებაზე.

მეცნიერებისა და კვლევების სფეროში თანამშრომლობის საკითხებს ეთმობა ასოცირების შეთანხმების (AA) მე-12 თავი. თუმცა, პოლიტიკის ამ სფეროში ევროკავშირის კანონმდებლობის ტრანსპოზიცია არ მოითხოვება. მთავარი მიზანია შეფასდეს საქართველოს უნარი, განახორციელოს ევროკავშირის მსაბამისი კვლევებისა და ინოვაციების (R&I) ჩარჩო-პროგრამები და გაიზიაროს ის ღირებულებები და პრინციპები, რომელიც საფუძვლად უდევს ევროპის კვლევით ზონას (ERA). საქართველოში კვლევებისა და ინოვაციების სფეროში მთავარი მოქმედი პირი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროა. სამინისტრო პასუხისმგებელია მეცნიერების სფეროში დაგეგმარებასა და ფინანსირებაზე, ხოლო აკადემია სამინისტროს სამეცნიერო მრჩეველის ფუნქციას ასრულებს. კვლევებისა და ინოვაციების საბჭო, რომელიც 2015 წლიდან მოქმედებს, პასუხისმგებელია სახელმწიფო და კერძო საგანმანათლებლო და სამეცნიერო ორგანიზაციებს შორის ეროვნული და რეგიონული საინოვაციო ეკოსისტემების განვითარების კოორდინაციაზე.

განსაკუთრებული ადმინისტრაციული ორგანო, საქართველოს ეროვნული ოფისი „ჰორიზონტი ევროპა“ (NOHE) 2021 წელს დაფუძნდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (SNRSFG) დაქვემდებარების ქვეშ და პასუხისმგებელია „ჰორიზონტი ევროპას“ (HE) მხარდამჭერი და მასზე ინფორმაციის გავრცელების მიზნით განსახორციელებელი აქტივობების განხორციელებასა და კოორდინაციაზე. ოფისი კოორდინაციას უწევს „ჰორიზონტი ევროპაში“ ჩართული ყველა საუნივერსიტეტო საგრანტო ოფისს (ამჟამად 14). ამასთან, 2021 წელს ოფისის ეგიდით დაფუძნდა კვლევების მართვის სკოლა (RMS), რომელიც პასუხისმგებელია საქართველოში კვლევებში ჩართული ყველა მონაწილე პირისთვის ტრენინგების მიწოდებაზე.

საქართველოს კვლევებისა და ინოვაციების სისტემამ (R&I) მნიშვნელოვანი

რეფორმები განიცადა უკანასკნელი წლების განმავლობაში. ამ პროცესში ყველაზე მნიშვნელოვანი საკვანძო მოვლენები იყო კვლევებისა და ინოვაციების ახალი დამფინანსებელი აღმასრულებელი უწყებების დაფუძნება – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი (SNRSFG) და საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო (GITA). მეცნიერებათა აკადემიის რეორგანიზაციას 2011 წელს განხორციელდა, როდესაც მისი კვლევითი ინსტიტუტების უმრავლესობამ უნივერსიტეტების დაქვემდებარებაში გადაინაცვლა. საქართველოს კვლევებისა და ინოვაციების ეროვნულ სისტემაში ყველა რეფორმის მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალა იყო „ჰორიზონტ 2020-ის“ 2017–2018 წლების პოლიტიკის მხარდამჭერი ინსტრუმენტი (PSF) „სპეციალური მხარდაჭერა საქართველოს“, რომელიც იძლეოდა სამი მიმართულებით სასწრაფო ზომების მიღების რეკომენდაციას: კვლევებსა და ინოვაციებში პრიორიტეტების დადგენა, კვლევების შედეგების შეფასებაზე დაფუძნებული დაფინანსების სისტემის დანერგვა და მეცნიერებასა და ბიზნეს შორის კავშირების გაძლიერება. აღნიშნული რეკომენდაციების დანერგვამ გამოიწვია 2022–2030 წლების განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგიისა და 2022–2024 წლების „დარგობრივი სამოქმედო გეგმის“ მომზადება და ძალაში შესვლა. სტრატეგია და 2022–2024 წლების დარგობრივი სამოქმედო გეგმა შეესაბამება ERA-ს ოთხ სტრატეგიულ ამოცანას.

ჩარჩო-პროგრამების მხრივ, საქართველო „ჰორიზონტ 2020“-თან დაკავშირებულია 2016 წლიდან, შესანიშნავი გამოცდილებით, და ჰორიზონტ ევროპის პროგრამასთან 2021 წლიდან. ჰორიზონტის 2020 ფარგლებში, საქართველომ მონაწილეობა მიიღო „ჰორიზონტ 2020-ის“ მიერ დაფინანსებულ 58 პროექტში და მოიპოვა ევროკავშირის პირდაპირი დაფინანსება 8.7 მილიონი ევროს ოდენობით. საქართველოს მონაწილეობა „ჰორიზონტ 2020-ში“ საუკეთესო იყო კავკასიის რეგიონის ქვეყნებს შორის.

ევროპის კომისიამ და საქართველომ 2021 წლის 7 დეკემბერს ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელიც საქართველოს ანიჭებს ასოცირებული წევრის სტატუსს „ჰორიზონტ ევროპაში“. შეთანხმება პირობითად ამოქმედდა ხელმოწერის დღიდან და ძალაში შევიდა 2022 წლის 12 იანვარს. საქართველო შეუერთდა EURAXESS-ს ქსელს 2019 წელს; ის ევროპის სამეცნიერო და ტექნოლოგიური თანამშრომლობის ასოციაციის (COST) წევრია 2022 წლიდან. საქართველო დღესაც ძალიან აქტიურად მონაწილეობს აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) რეგიონულ თანამშრომლობაში კვლევებისა და ინოვაციების მიმართულებით. EaP-ის კვლევებისა და ინოვაციების პანელის ქვეშ სამუშაო ჯგუფის მეოთხე არაფორმალურ შეხვედრას ექსპერტთა დონეზე 2022 წლის 19 და 20 ოქტომბერს საქართველო მასპინძლობდა.

ჭკვიან სპეციალიზაციასთან დაკავშირებით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ დაიწყო ჭკვიანი სპეციალიზაციის სტრატეგიის საპილოტე პროგრამა იმერეთის რეგიონში 2009 წელს,

რომელიც გაგრძელდება 2023 წლამდე. საქართველოში მთლიანი შიდა პროდუქტის დანახარჯი კვლევებსა და განვითარებაზე (GERD) გაიზარდა 2013 წლის ძალიან დაბალი მაჩვენებლიდან (0.08%-დან) 0.3%-მდე 2019 წელს და 0.4%-მდე 2020 წელს.

დასკვნა

საქართველომ ძალიან მცირე დროში მიაღწია კარგ პროგრესს კვლევებისა და ინოვაციების სისტემის ევროპულ და საერთაშორისო პრაქტიკასთან დაახლოებაში. საქართველო არის **საშუალოდ მომზადებული** მეცნიერებისა და კვლევების სფეროში. რამდენადაც ინიცირებულ იქნა ERA-ს მმართველობის ახალი სისტემა, სასწრაფოდ არის საჭირო ERA-სთვის ეროვნული საგზაო რუკის მომზადება და მიღება, რაც უნდა მოიცავდეს სტრატეგიულ და კარგად განსაზღვრულ მიდგომას ღია მეცნიერებისადმი, მაგრამ ასევე მკვლევართა მობილობის მიმართ (სამეცნიერო დიასპორისა და საერთაშორისო მასშტაბით ნიჭიერი ხალხის უკან მოზიდვა, „ჰორიზონტ ევროპასთან“ ასოცირებით შემოთავაზებული შესაძლებლობების სრულად გამოყენების გზით). ინოვაციასთან დაკავშირებით, თუ საქართველო მოახდენდა აკადემიის, მკვლევრებისა და ბიზნესის ძალისხმევების გაერთიანებას მდგრადი საინოვაციო ეკოსისტემის განსავითარებლად, აღნიშნული ხელს შეუწყობდა ეროვნულ და რეგიონულ დონეზე საინოვაციო წარმატებისა და კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებას.

თავი 26: განათლება და კულტურა

ევროკავშირი მხარს უჭერს განათლებასა და კულტურაში თანამშრომლობას პროგრამების დაფინანსებითა და წევრი ქვეყნების პოლიტიკის კოორდინაციით, ასეთი კოორდინაციის ღია მეთოდის საშუალებით. ევროკავშირმა და მისმა წევრმა ქვეყნებმა ასევე უნდა მოახდინონ დისკრიმინაციის პრევენცია და უზრუნველყონ ხარისხიანი განათლება შრომით მიგრანტთა ბავშვებისთვის, მათ შორის მოწყვლადი ჯგუფებიდან.

ასოცირების შეთანხმების ქვეშ, საქართველოსა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებს აღებული აქვთ ვალდებულება, ითანამშრომლონ უწყვეტი განათლების ხელშესაწყობად და განათლებისა და სწავლების მხრივ ყველა დონეზე თანამშრომლობისა და გამჭვირვალობის წასახალისებლად.

განათლებასა და სწავლებასთან დაკავშირებით, განათლების უფლება განმტკიცებულია კონსტიტუციით და უფრო განვრცობილია „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ კანონში, „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონში, „პროფესიული განათლების შესახებ“ კანონში, „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ კანონში, ეროვნულ სასწავლო გეგმასა და სტრატეგიული პოლიტიკის დოკუმენტებში. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შეიმუშავებს პოლიტიკას და პასუხისმგებელია

შესაბამისი აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელების ზედამხედველობაზე. 70 საგანმანათლებლო რესურს-ცენტრი კოორდინაციას უწევს საგანმანათლებლო პოლიტიკის რეგიონულ დონეზე.

საქართველოს საგანმანათლებლო პოლიტიკას განსაზღვრავს 2022–2030 წლების განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგია, რომელიც მთავრობამ 2022 წლის აგვისტოში დაამტკიცა.

განათლების სფეროში მონაცემთა შეგროვება კარგად არის განვითარებული. საქართველო მონაწილეობს საერთაშორისო კვლევებში, როგორც არის OECD-ს მოსწავლეთა საერთაშორისო შეფასება (PISA). 2018 წლის PISA–ს კვლევებით, კითხვაში 15 წლის ასაკის ჩამორჩენილ მოსწავლეთა რაოდენობა საქართველოში შეადგენდა 64.4%–ს, ევროკავშირის საშუალო 22.5%–თან შედარებით.

უმაღლესი განათლების სფეროში, საქართველო ბოლონის პროცესის წევრი გახდა 2005 წლიდან და მოახდინა ლისაბონის აღიარების კონვენციის რატიფიკაცია. საქართველომ უკვე მიაღწია მნიშვნელოვან პროგრესს უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის მთავარი ვალდებულებების შესრულების მხრივ. ეს წარმოადგენს გამოსადეგ ბაზას უმაღლესი განათლების ევროკავშირის პოლიტიკასა და ტრანსნაციონალურ თანამშრომლობაში სრული ჩართვისთვის.

განათლებაში სოციალურ ინკლუზიასთან დაკავშირებით, სახელმწიფო უზრუნველყოფს საყოველთაო (უნივერსალურ) წვდომას დაწყებით, საბაზისო და მეორად განათლებაზე საქართველოში მცხოვრები ყველა ბავშვისთვის. კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ და ეროვნული სასწავლო გეგმა აღიარებს განათლების ინდივიდუალურ და ალტერნატიულ ფორმებს. ხელმისაწვდომი და ხარისხიანი განათლებისთვის, საქართველომ საჯარო სკოლებში შეიმუშავა დამატებითი მომსახურება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის.

პროფესიული საგანმანათლებლო სწავლების (VET) სფეროში, საქართველოს მიზნად დასახული აქვს, ხელი შეუწყოს კერძო სექტორის ჩართულობას სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებასა და დუალურ განათლებაში. ბიზნეს-სექტორთან პარტნიორობის ჩამოყალიბება საქართველოს ტექნიკური და პროფესიული საგანმანათლებლო სწავლების (VET) რეფორმის სახელმძღვანელო პრინციპს წარმოადგენს.

2019 წელს საქართველომ დაამტკიცა ეროვნული კვალიფიკაციების ახალი ჩარჩო, რომელიც ითვალისწინებს ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს. საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შემდგომი რეფორმირების პროცესში აქცენტი განხორციელებაზე უნდა გაკეთდეს.

შემოდებულია რეგულაციური ჩარჩო დუალური სწავლების ხარისხის

უზრუნველსაყოფად. სამუშაოზე–დაფუძნებული სწავლების წესები და კრიტერიუმები შემუშავდა კოლეჯებისა და კომპანიების ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების, ასევე მოსწავლეების უფლებებისა და ხარისხის უზრუნველყოფის საკითხების განსაზღვრის მიზნით.

საქართველომ გადაამუშავა საკითარი რეგულაციები, პროცედურები და ინსტრუმენტები არაფორმალური სწავლების დამოწმების (ვალიდაციის) შესახებ ევროპის საბჭოს 2012 წლის რეკომენდაციების გათვალისწინებით.

ციფრული უნარების განვითარება ახლახან გახდა საქართველოს პროფესიული სწავლებისა და უმაღლესი განათლების ყოველი საფეხურის სწავლო გეგმის განუყოფელი შემადგენელი ნაწილი.

ახალგაზრდული პოლიტიკის სფეროში, საქართველოს პარლამენტმა 2020 წელს შეიმუშავა 2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია. აღნიშნულ კონცეფციაზე დაყრდნობით, ახალგაზრდობის სააგენტომ მოამზადა ახალგაზრდობის ეროვნული სტრატეგია, რომლის მიღებაც დაგეგმილია 2022 წლის დეკემბერში.

საქართველო თანამშრომლობს ევროპულ პარტნიორებთან **სპორტში**, მათ შორის „სპორტი საზღვრებს გარეშე“ ევროპული კვირეულისა და ევროპის საბჭოს სპორტში პარტნიორობის ფარგლებში. 2003 წლიდან რატიფიცირებულია ევროპის საბჭოს ანტიდოპინგის კონვენცია, ხოლო 2010 წელს ამოქმედდა გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის საერთაშორისო კონვენცია დოპინგის წინააღმდეგ.

მთლიანობაში, საქართველოს **კულტურის პოლიტიკის** დოკუმენტები და პროგრამები ასახავს კულტურის „ახალი ევროპული დღის წესრიგის“ ზოგად პრიორიტეტებს, როდესაც აღნიშნული ეხება კულტურის სოციალურ, ეკონომიკურ და გარე განზომილებებს. საქართველომ მოახდინა გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვის და ხელშეწყობის შესახებ კონვენციის რატიფიკაცია.

საქართველო მონაწილეობას იღებს Erasmus+ პროგრამის (2021–2027) საერთაშორისო აქტივობებში. საქართველო ასევე მონაწილეობს eTwinning–ში. საქართველოს Erasmus+ ეროვნული ოფისი ხელს უწყობს Erasmus+ პროგრამის განხორციელებას. ამგვარი მხარდაჭერის გაგრძელება 2022 წლის შემდეგაც იგეგმება. საქართველო სარგებლობს Erasmus+–სა და ევროპის სოლიდარობის კორპუსის პროგრამების საერთაშორისო ახალგაზრდული აქტივობებით. საქართველო 2021 წელს შეუერთდა პროგრამას „კრეატიული ევროპა“ (2021–2027). საქართველო ასევე მონაწილეობს DG NEAR–ის ხელმძღვანელობის ქვეშ EU4 კულტურის პროგრამაში.

დასკვნა

საქართველო **სამუალოდ მომზადებულია** განათლებისა და კულტურის სფეროში. საქართველოში განათლების სისტემა ზოგადად თანხვედრაშია ევროკავშირის მიზნებთან. საქართველო ასევე დაახლოებულია ახალგაზრდული პოლიტიკის ევროკავშირის ამოცანებთან. საქართველოს კულტურის პოლიტიკა ზოგადად ასახავს კულტურის „ახალი ევროპული დღის წესრიგის“ ზოგად პრიორიტეტებს. სპორტთან დაკავშირებით, საქართველოს გააჩნია კარგი თანამშრომლობა ევროპულ პარტნიორებთან. ქვეყანა ზოგადად დაახლოებულია სწავლებისა და კვალიფიკაციების სფეროში ევროკავშირის პოლიტიკასთან.

თავი 29: საბაჟო კავშირი

ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყანა ევროკავშირის საბაჟო კავშირის წევრია და იცავს საერთო საბაჟო წესებსა და პროცედურებს. აღნიშნული მოითხოვს საკანონმდებლო დაახლოებას, განხორციელებისა და აღსრულების შესაბამის შესაძლებლობებსა და საერთო ელექტრონულ (კომპიუტერულ) საბაჟო სისტემებზე წვდომას.

ასოციების შეთანხმება მოითხოვს საქართველოსგან მისი საბაჟო სისტემისა და **საბაჟო კანონმდებლობის** ევროკავშირის [სისტემასა და კანონმდებლობასთან] დაახლოებას. საბაჟო კოდექსი, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წელს, უმეტესწილად დაახლოებულია ევროკავშირის საბაჟო კოდექსთან. საქართველო არის ადგილწარმოშობის წესების შესახებ პან-ევრო-ხმელთაშუაზღვის კონვენციის წევრი და სარგებლობს პან-ევრო-ხმელთაშუა ზღვის კონვენციის წევრ ქვეყნებს შორის ადგილწარმოშობის დიაგნოზური კუმულაციით. ქვეყანამ 2021 წელს დაასრულა კონვენციის გადამუშავებული გარდამავალი წესების ამოქმედების პროცედურა. ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორების ეროვნული პროგრამა შემუშავების ეტაპზეა. კულტურულ პროდუქტებზე კონტროლის ზომების შესახებ კანონმდებლობა უმეტესწილად დაახლოებულია ევროკავშირის წესებთან.

საქართველო ემზადება საქონლით ვაჭრობაში ფორმალობების გამარტივების კონვენციასა და ტრანზიტის საერთო პროცედურის კონვენციასთან მისაერთებლად. ქვეყანამ შეიმუშავა ტრანზიტის ახალი ელექტრონული (კომპიუტერული) სისტემა და მოსამზადებელი ნაბიჯის სახით ქვეყნის მასშტაბით მის გამოყენებას დაიწყებს. საქართველო გეგმავს 2024 წელს გახდეს კონვენციის მონაწილე.

საქართველო საჭიროებს მისი საბაჟო კოდექსის ევროკავშირის საბაჟო კოდექსთან დაახლოებასა და მუშაობას ევროკავშირის წესებთან შემდგომი დაახლოებისათვის, განსაკუთრებით კი საგადასახადო შეღავათების, იმპორტირებულ საქონელზე დამატებითი ღირებულების გადასახადის, ტრანზიტისა და გამარტივებული პროცედურების სფეროში. საქართველოს კანონმდებლობა ზოგადი თვალსაზრისით დაახლოებულია ევროკავშირის წესებთან ინტელექტუალური საკუთრების უფლებების თაობაზე, თუმცა არსებობს გარკვეული განსხვავებები, რომელიც უნდა

გადაილახოს.

ადმინისტრაციულ და ფუნქციონალურ (ოპერაციულ) შესაძლებლობებთან დაკავშირებით, შემოსავლების სამსახურმა მისი სტრუქტურა თანდათანობით უნდა დაუახლოოს ევროკავშირის საბაჟო მოთხოვნებს და მუდმივად იმუშაოს საკუთარი რესურსების გაზრდაზე, რათა ეფექტურად განახორციელოს საბაჟო კანონმდებლობა. პროცედურები და სამუშაო მეთოდები უნდა გადაიხედოს. საინფორმაციო ტექნოლოგიების სექტორში ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაუმჯობესება და დამატებითი რესურსები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგანაც ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი სამუშაოებია ჩასატარებელი საინფორმაციო ტექნოლოგიური სისტემების ევროკავშირთან თავსებადობის უზრუნველსაყოფად.

დასკვნა

საქართველო **სამუალოდ მომზადებულია** საბაჟო კავშირის სფეროში. საბაჟო კანონმდებლობა არ არის სრულად დაახლოებული ევროკავშირის კანონმდებლობასთან. საქართველომ მისი 2019 წლის საბაჟო კანონი [კოდექსი] მეტად უნდა დაუახლოოს ევროკავშირის საბაჟო კოდექსს. უნდა გაუმჯობესდეს ადმინისტრაციული და ფუნქციონალური შესაძლებლობები და გაიზარდოს საბაჟო სამსახურის რესურსები. საინფორმაციო ტექნოლოგიების სექტორში ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაძლიერება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

ჯგუფი 4: მწვანე შეთანხმება და მდგრადი დაკავშირება

ეს კლასტერი მოიცავს შემდეგს: სატრანსპორტო პოლიტიკა (თავი 14); ენერჯეტიკა (თავი 15); ტრანსევროპული ქსელები (თავი 21); და გარემოსა და კლიმატის ცვლილება (თავი 27).

თავი 14: ტრანსპორტი

ევროკავშირში მოქმედებს ტექნიკური და უსაფრთხოების, სოციალური სტანდარტების, სახელმწიფო ფინანსური მხარდაჭერის და ბაზრის ლიბერალიზაციის საერთო წესები საგზაო, სარკინიგზო, შიდა წყლების, კომბინირებულ, საავიაციო და საზღვაო ტრანსპორტზე.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმება მოიცავს ტრანსპორტის შესახებ დებულებებს შეთანხმების მეექვსე კარში. შემდგომი საერთაშორისო სტანდარტები განსაზღვრულია XXIV და XV-D დანართებით. ტრანსპორტირების სფეროში ასოცირების შეთანხმების ძირითადი მიზნებია ევროკავშირსა და საქართველოს შორის სატრანსპორტო თანამშრომლობის ხელშეწყობა და მდგრადი სატრანსპორტო სისტემების განვითარების გაძლიერება, ეფექტური, უვნებელი და უსაფრთხო სატრანსპორტო ოპერაციების (მოქმედებების) ისევე, როგორც სატრანსპორტო სისტემების ინტერმოდალურობისა და

ურთიერთთავსებადობის ხელშეწყობა. საქართველოს ეტაპობრივი ინტეგრაცია ევროკავშირის შიდა საავიაციო ბაზარში რეგულირებულია ევროპის ერთიანი საჰაერო სივრცის შეთანხმებით, რომელსაც ხელი მოეწერა 2010 წელს.

სატრანსპორტო სექტორში ძირითადი კომპეტენციები აღსრულებულია სახელმწიფო დონეზე. ფუნქციები სრულდება ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ. სამინისტრო პასუხისმგებელია საერთაშორისო და შიდასექტორულ ტრანსპორტზე, მათ შორის შეთანხმებებზე, საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობასა და სტრატეგიული და დაგეგმარების დოკუმენტების მომზადებაზე. სხვა ძირითადი ორგანოებია სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო და სამოქალაქო ავიაციის სააგენტო.

არ არსებობს ძირითადი **ჰორიზონტალური სტრატეგიული დოკუმენტი**. არ არსებობს ტრანსპორტისა და ლოგისტიკის ეროვნული სტრატეგია, რომელიც მიზნად დაისახავდა ქვეყნის რეგიონულ სატრანსპორტო და ლოგისტიკურ ცენტრად (ჰაბად) და ასევე შუა კორიდორის ნაწილად გარდაქმნას.

საგზაო ტრანსპორტთან დაკავშირებით, არსებობს 2022–2025 წლების საგზაო უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგია და ის შეესაბამება სიკვდილიანობისა და ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების შემცირების თაობაზე ევროკავშირისა და გაეროს ამოცანებს. ის ასევე მოიცავს საგზაო უსაფრთხოების ყველა მიმართულებას. მისი ძირითადი მიზანია საგზაო ავარიების შედეგად გამოწვეული სიკვდილიანობის და ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების რაოდენობის შემცირება 25%-ით. ამჟამად, საგზაო ავარიათა საშუალო რაოდენობა მკვეთრად აღემატება ევროკავშირის მაჩვენებელს, 2020 წელს დაფიქსირებული 4999 შემთხვევით. საქართველოში მოქმედი რეგულაციები მეტწილად დაახლოებულია საერთაშორისო საგზაო ტრანსპორტში ჩართული საავტომობილო საშუალებების ეკიპაჟის მუშაობასთან დაკავშირებით ევროკავშირის შეთანხმების შესაბამის დებულებებთან.

სატრანსპორტო საშუალების მართვასა და დასვენების დროსთან დაკავშირებით, საქართველოს არ აქვს მიღებული ევროკავშირის ძირითადი რეგულაციები როგორცაა რეგულაცია საგზაო ტრანსპორტთან დაკავშირებული ზოგიერთი სოციალური ხასიათის კანონმდებლობის ჰარმონიზაციის შესახებ, ღირეექტივა მოძრავ საგზაო სატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებული მოქმედებების შემსრულებელი პირების სამუშაო დროის ორგანიზების თაობაზე და ღირეექტივა საგზაო ტრანსპორტის სექტორში მძღოლების განაწილების შესახებ.

ბაზარზე წვდომასთან დაკავშირებით, რეგულაცია, რომელიც ადგენს საგზაო სატრანსპორტო ოპერატორის პროფესიისთვის საჭირო წინაპირობების დაკმაყოფილების მიზნით საერთო წესებს, სრულად დაახლოებულია ქვეყნის შიდა სატრანსპორტო ოპერატორების ნაწილში, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს სატრანსპორტო ოპერატორების ნაწილში.

სარკინიგზო ტრანსპორტი მოწესრიგებულია 2002 წელს მიღებული სარკინიგზო კოდექსით. არ არსებობს კონკურენცია სარკინიგზო მომსახურების სფეროში (ბაზარი არ არის ღია) და არც მარეგულირებელი ორგანო. ინფრასტრუქტურის მართვა და ტრანსპორტის ოპერირება არ არის გამიჯნული. არსებობს ერთადერთი ინტეგრირებული რკინიგზის საწარმო (კომპანია) – სს საქართველო რკინიგზა, რომელიც შედგება სამი სტრატეგიული ბიზნეს-ერთეულისგან (ინფრასტრუქტურა, სატვირთო, სამგზავრო), რომელთა ანგარიშგება არ არის გამიჯნული. უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა სრულად აკისრია არსებულ სარკინიგზო კომპანიას – სს საქართველოს რკინიგზას.

არ არსებობს უსაფრთხოების მოთხოვნებზე დამოუკიდებელი ზედამხედველობა. ურთიერთთავსებადობის ტექნიკური სპეციფიკაციები (TSI) არ არის დანერგილი. დაფუძნებული არ არის დამოუკიდებელი ეროვნული უსაფრთხოების ორგანო და საგამოძიებო ორგანო. აღნიშნული ორგანოების ფუნქციები ამჟამად ხორციელდება არსებული ეროვნული სარკინიგზო კომპანიის – სს საქართველოს რკინიგზისა და მისი დეპარტამენტების მიერ.

არ არსებობს რეგულაციები **სახიფათო ტვირთს ტრანსპორტირებასთან** დაკავშირებით.

საზღვაო ტრანსპორტთან დაკავშირებით, საქართველოს კანონმდებლობა დაახლოებულია საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის კონვენციებთან ევროკავშირის საზღვაო ტრანსპორტის შესახებ კანონმდებლობის განხორციელების მიზნით. ქვეყანა არის შავის ზღვის ურთიერთგაგების მემორანდუმის წევრი და დანერგილი აქვს (რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო) დირექტივა პორტის სახელმწიფო კონტროლის შესახებ. საქართველოს სჭირდება საპორტო მომსახურების რეგულაციასთან დასაახლოებელი კანონმდებლობის იმპლემენტაცია.²³

სამოქალაქო ავიაციასთან დაკავშირებით, საქართველოს აქვს აღებული ვალდებულება, განხორციელოს საჰაერო ტრანსპორტთან დაკავშირებული დებულებები „საქართველოსა და ევროკავშირის შორის ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ“ შეთანხმების შესაბამისად. „ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ“ შეთანხმება შეიცავს ავიაციასთან დაკავშირებულ ევროკავშირის იმ დებულებათა ჩამონათვალს (ბაზარზე წვდომა, უსაფრთხოება, საჰაერო მოძრაობის მართვა, უშიშროება, გარემოს დაცვა, მომხმარებელთა უფლებები და სოციალური ასპექტები), რომლის განხორციელებაც სჭირთა. საქართველო არის სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის, სამოქალაქო ავიაციის ევროპული კონფერენციისა და EUROCONTROL-ის ხელმომწერი მხარე. ის დამკვირვებელია ევროკავშირის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოში.

²³ (EU) 2017/352.

არ არსებობს დებულებები ევროკავშირის მგზავრთა უფლებების თაობაზე.

არ არსებობს დებულებები მრავალმოდული და კომბინირებული ტრანსპორტის შესახებ.

დასკვნა

საქართველოს აქვს მომზადების გარკვეული დონე სატრანსპორტო პოლიტიკის სფეროში. ქვეყანა საჭიროებს ყველა სექტორში სატრანსპორტო კანონმდებლობის ევროკავშირის სამართალთან შემდგომ დაახლოებას და განხორციელებას. საგზაო უსაფრთხოების მხრივ, საქართველო საჭიროებს მისი ადმინისტრაციული შესაძლებლობების განვითარებას, ინფრასტრუქტურის ტექნიკური უზრუნველყოფის გაძლიერებასა და ცნობიერების ამაღლების კამპანიების დაწყებას უბედური შემთხვევებისა და სიკვდილიანობის მაღალი რაოდენობის შესამცირებლად.

თავი 15: ენერგეტიკა

ევროკავშირის ენერგეტიკის პოლიტიკა მოიცავს ენერჯის მიწოდებას, ენერგოინფრასტრუქტურას, ენერგეტიკის შიდა ბაზარს, მომხმარებლებს, განახლებად ენერჯიას, ენერგოეფექტურობას, ბირთვულ ენერჯიასა და ბირთვულ უსაფრთხოებას და რადიაციისგან დაცვას.

საქართველო ენერგეტიკული გაერთიანების წევრია 2017 წლის ივლისიდან. ენერგეტიკული გაერთიანების შეთანხმების ხელმოწერით, საქართველომ აიღო ვალდებულება, მოახდინოს ენერჯის თაობაზე ევროკავშირის ძირითად კანონმდებლობასთან დაახლოება და მისი იმპლემენტაცია, შეიმუშაოს შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩო და განახორციელოს ენერგეტიკული ბაზრების ლიბერალიზაცია შეთანხმებით დადგენილი კანონმდებლობის შესაბამისად, განსაზღვრულ ვადებში. ენერგეტიკული გაერთიანების კანონმდებლობა შედგება სამართლებრივი აქტებისგან შემდგომ სფეროებში: ელექტროენერჯია, ბუნებრივი აირი, განახლებადი ენერჯია, ენერგოეფექტურობა, კლიმატი, გარემოს დაცვა, კონკურენცია, სტატისტიკა, ინფრასტრუქტურა და ნავთობი. ენერგეტიკულ გაერთიანებაში შესვლის შემდეგ, საქართველო მუშაობს ენერგეტიკული გაერთიანების შეთანხმებით გათვალისწინებულ ევროკავშირის ენერგეტიკის კანონმდებლობასთან დაახლოებაზე.

რადგანაც საქართველოს ამჟამად არ გააჩნია პირდაპირი დაკავშირება ევროკავშირის ან ენერგეტიკული გაერთიანების შეთანხმების ქვეყნის ენერგოქსელთან, ევროკავშირის კანონმდებლობის ნაწილი შესასრულებლად სავალდებულო არ არის.

ენერგეტიკის სექტორში ძირითადი კომპეტენციები სახელმწიფო დონეზე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს აკისრია. სახელმწიფო დონეზე სხვა ძირითადი ორგანოებია საქართველოს ენერგეტიკის განვითარების

ფონდი, სახელმწიფო სააქციო საზოგადოება, რომელიც პასუხისმგებელია საქართველოს განახლებადი ენერჯის პოტენციალის განვითარებაზე, და საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტო.

ამჟამად საქართველოს არ აქვს ენერგეტიკული პოლიტიკის მთავარი ჰორიზონტალური სტრატეგიული დოკუმენტები.

საქართველოს ენერგეტიკული ბალანსი შედგება ბუნებრივი აირისგან, ნავთობისგან, განახლებადი ენერჯის წყაროებისა და ქვანახშირისგან. 2020 წელს მთლიანი შიდა მოხმარებისთვის ენერჯის ძირითადი წყარო იყო ბუნებრივი აირი (46.5%), ნავთობი (27.5%) და განახლებადი ენერჯია (19%), მაშინ, როცა ქვანახშირზე მხოლოდ 4% მოდიოდა. შიდა წარმოება მთლიანი შიდა მოხმარების 21%-ია.

მიწოდების უსაფრთხოების კუთხით, საქართველოს არ აქვს ნავთობის საგანგებო მარაგები. საქართველო არ დაუახლოვდა ნავთობის მარაგების შესახებ ღირებულებას, რომელიც ადგენს ნედლი ნავთობის ან/და ნავთობპროდუქტების მინიმალური მარაგების შენახვის ვალდებულებას. ენერგეტიკაზე პასუხისმგებელ სამინისტროში ადამიანური რესურსის ნაკლებობაა, განსაკუთრებით მიწოდების ვალდებულების უზრუნველყოფის მიმართულებით. ბუნებრივი აირის მიწოდების უსაფრთხოების თაობაზე წესების შემოღება მიმდინარეობს.

შიდა ენერგეტიკულ ბაზართან დაკავშირებით, საქართველო დაახლოებულია მესამე ენერგეტიკულ პაკეტთან, ძირითადად „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ კანონით, ასევე კანონქვემდებარე აქტებით, რომელიც მოიცავს ელექტროენერჯისა და ბუნებრივი აირის ბაზრის მოდელის კონცეფციების პროექტებს, საბაზრო წესებს და ა.შ. გადამცემი სისტემის ოპერატორები (TSO) ელექტროენერჯისა და ბუნებრივი აირში არ არიან ერთმანეთისგან განცალკევებულნი. გადამცემი სისტემის ოპერატორთა (TSO) განცალკევება მოითხოვს მათ რესტრუქტურისაციასა და კონტროლის გადანაწილებას სხვადასხვა საჯარო ორგანოზე. ელექტროენერჯის განაწილების სისტემის ოპერატორები არიან იურიდიულად და ფუნქციურად განცალკევებულნი. ბუნებრივი აირის განაწილების სისტემის ოპერატორი, აზერბაიჯანის ნავთობის სახელმწიფო კომპანია, არ არის განცალკევებული. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია უზრუნველყოფს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სექტორში რეგულირებული კომპანიებისა და მომხმარებლების ინტერესებს შორის ბალანსის შენარჩუნების, სამართლებრივი ჩარჩოს განვითარებასა და კონკურენციის ხელშეწყობას.

ელექტროენერჯის სექტორში, დღით ადრე (*day-ahead*) მიწოდების, ბალანსირებისა და დამხმარე მომსახურების ბაზრების ამოქმედება გადაიდო 2023 წლის 31 მარტამდე – და დღიური (*intraday*) მომსახურების – 2023 წლის 30 ივნისამდე. წარმოებისა და მსხვილი მომხმარებლების დერეგულირება მიჰყვება ელექტროენერჯის ბაზრის კონცეპტუალურ პროექტში ბაზრის გახსნის სქემას და

მისი დასრულება 2026–2027 წლებისთვის იგეგმება. საყოფაცხოვრებო მომხმარებლები და მცირე საწარმოები დამოკიდებულნი რჩებიან ელექტროენერჯის არსებულ მიმწოდებელზე. ენერჯეტიკის შესყიდვის შეთანხმებებში განახლებადი ენერჯის მწარმოებელთა მაღალი რაოდენობაა.

ბუნებრივი აირის სექტორში, მიწოდების შესახებ ხელშეკრულებები იდება ორმხრივად, გრძელვადიანი პერიოდით. ბუნებრივი აირის ბაზრის მოდელის კონცეფცია მოიცავს ბუნებრივი აირის გაცვლისა და პირდაპირი აუქციონის პლატფორმის ჩამოყალიბებას 2022 წლის დეკემბრისთვის. საქართველოში ბუნებრივი აირის გაცვლა სამართლებრივად მოქმედებს, თუმცა ჯერჯერობით არ ფუნქციონირებს. ბუნებრივი აირის ბაზარზე კონცენტრაციის დონე მაღალია. ბუნებრივ აირზე მომუშავე თბოსადგურები ფუნქციონირებენ სუბსიდირებული აირით. საქართველოს კანონმდებლობა უკვე ჰარმონიზირებულია REMIT რეგულაციასთან.

საქართველო არ არის პირდაპირ ურთიერთდაკავშირებული ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან. ელექტროენერჯის ქსელი სინქრონიზებულია აზერბაიჯანისა და რუსეთის ელექტროქსელებთან. სეზონის გათვალისწინებით, ხდება ელექტროენერჯის ექსპორტი ან იმპორტი მეზობელი ქვეყნებიდან, მათ შორის თურქეთიდან. ქვეყანაში ბუნებრივი აირისა და ნავთობის სამხრეთ კორიდორისთვის მნიშვნელოვანი მილსადენებია განთავსებული. ის [ქვეყანა] დამოკიდებულია ბუნებრივი აირის იმპორტზე აზერბაიჯანიდან (უმეტესწილად) და რუსეთიდან (უმნიშვნელოდ). საქართველოს არ აქვს ბუნებრივი აირისთვის საკმარისი ინფრასტრუქტურა (ტრანსსასაზღვრო სისტემათაშორისი კავშირები მათი მოქმედების ტექნოლოგიურ ზღვარს უახლოვდებიან, არ არის გაზსაცავი).

განახლებადი ენერჯის სფეროში, საქართველომ უნდა შეიტანოს ცვლილებები განახლებადი ენერჯის შესახებ კანონში, განახლებადი ენერჯის შესახებ დირექტივის²⁴ ტრანსპოზიციის და აღსრულების მიზნით. პრემიალური ტარიფის სქემა, რომელიც მანამდე შეზღუდული იყო ჰიდროელექტროენერჯით, შეიცვალა 2021 წლის იანვარში და გავრცელდა ყველა განახლებადი ენერჯის სადგურზე, რომლის სიმძლავრეც ხუთ მეგავატს აღემატება. ამჟამად განიხილება მხარდაჭერის ახალი სქემა. ადგილწარმოშობის გარანტიის გაცემის თაობაზე წესები მიღებულ იქნა 2021 წლის დეკემბერში. მიმდინარეობს მუშაობა ბიოსაწვავის მდგრადობასთან დაკავშირებულ რეგულაციებზე. 2020 წელს საქართველოს ჰქონდა განახლებადი ენერჯის სისტემა 3 367 მეგავატის სიმძლავრით, ძირითადად მსხვილი ჰიდროელექტროსადგურების ხარჯზე.

ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებით, საქართველო დაახლოებულია ენერგოეფექტურობის დირექტივასთან, ენერჯის ეტიკეტირებისა და შენობებში ენერგოეფექტურობის დირექტივებთან. შენობებისთვის ენერგოეფექტურობის

²⁴ დირექტივა (EU) 2018/2001.

მინიმალური მოთხოვნები და შენობების ენერგოეფექტურობის გამომანგარიშების მეთოდოლოგია მთავრობამ 2021 წელს მიიღო. კანონქვემდებარე აქტების ნაწილი ჯერ კიდევ მისაღებია. ენერგეტიკის ეტიკეტირებასთან დაკავშირებით, მიმდინარეობს მუშაობა ცხრა პროდუქტის რეგულაციებზე.

ბირთვულ ენერგიასთან, ბირთვულ უსაფრთხოებასა და რადიაციისგან დაცვასთან დაკავშირებით, საქართველოს საკუთარ ტერიტორიაზე არ აქვს ბირთვული ეროგოსადგურები. საქართველო ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ეგიდით დადებული საერთაშორისო კონვენციების მონაწილეა, გარდა ბირთვული უსაფრთხოების კონვენციისა და გამოყენებული აქვს სააგენტოს მომსახურება საკუთარი რეგულაციური ჩარჩოს შეფასების მიზნით (IRRS 2018 წელს). საქართველომ რადიოაქტიური ნარჩენების თაობაზე დირექტივის შესაბამისად შეიმუშავა რადიოაქტიური ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია. საქართველო ამჟამად აახლებს საკუთარ სამართლებრივ ჩარჩოს, რომელიც დაკავშირებულია ბირთვულ უსაფრთხოებასთან, უშიშროებასა და დამცავ ღონისძიებებთან, რათა, სხვა მიზნებთან ერთად, მოიყვანოს ის სრულ შესაბამისობაში ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან. საქართველო ჯერ კიდევ სრულად უნდა დაუახლოვდეს და მოახდინოს ევროატომის (*Euratom*) დირექტივების იმპლემენტაცია ბირთვულ უსაფრთხოებაზე, დახარჯული საწვავისა და ბირთვული ნარჩენების მართვაზე ისევე, როგორც უსაფრთხოების საბაზისო სტანდარტებსა და სასმელ წყალზე და განიხილოს მიერთება ბირთვული უსაფრთხოების კონვენციასთან.

დასკვნა

საქართველოს აქვს **მომზადების გარკვეული დონე** ენერგეტიკის სფეროში. ქვეყანას სჭირდება ინსტიტუციური თანამშრომლობისა და კოორდინაციის გაძლიერება მისი ფრაგმენტული, არათანმიმდევრული საკანონმდებლო ჩარჩოს გასაუმჯობესებლად. მთლიანობაში, საქართველოს სჭირდება უფრო მეტი ძალისხმევა ფუნქციური შიდა ბაზრების ჩამოსაყალიბებლად და მათი რეგიონულ ბაზარში ინტეგრირების მიზნით. კომუნალურ ენერგომომსახურებათა განცალკევება, ისევე, როგორც ნავთობის მარაგების შექმნა, რჩება მნიშვნელოვან პრიორიტეტად საქართველოსთვის.

თავი 21: ტრანსევროპული ქსელები

ევროკავშირი ხელს უწყობს ტრანსევროპულ ქსელებს ტრანსპორტის, ტელეკომუნიკაციებისა და ენერგეტიკის სფეროში, შიდა ბაზრის გაძლიერებისა და ეკონომიკური ზრდისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით.

ტრანსევროპული ენერგოქსელები მოიცავს ბუნებრივი აირის ტრანსპორტირებისა და საცავ დაწესებულებებს და ელექტროენერჯის გადაცემას და სერიოზული წვლილი შეაქვთ ელექტროენერჯისა და ბუნებრივი აირის ბაზარში. ტრანსევროპული

ენერგოქსელები პასუხობს ევროკავშირის ენერგომომარაგების უსაფრთხოებისა და დივერსიფიკაციის, წვერი ქვეყნების, კანდიდატი და პოტენციური კანდიდატი ქვეყნების ენერგოქსელების ინტეგრაციის სულ უფრო და უფრო მზარდ მნიშვნელობას და უზრუნველყოფს ენერგოქსელების კოორდინირებულ მოქმედებას ევროკავშირსა და მეზობელ ქვეყნებში.

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების, მართვისა და ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო პოლიტიკას საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და საგზაო დეპარტამენტი განსაზღვრავს. ადგილობრივი მუნიციპალიტეტები პასუხისმგებელი არიან ადგილობრივი/მუნიციპალური გზების განვითარებაზე, მართვასა და ტექნიკურ მომსახურებაზე.

ტრანსევროპულ **სატრანსპორტო ქსელებთან** (TEN-T) დაკავშირებით, უმაღლესი დონის შეთანხმება ევროკავშირსა და საქართველოს შორის ძალაში შევიდა 2018 წლის ნოემბერში. აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ტრანსევროპული ქსელის სატრანსპორტო ინვესტიციების ინდიკაციური სამოქმედო გეგმა მომზადდა ერთობლივად მსოფლიო ბანკისა და ევროკომისიის მიერ 2019 წლის იანვარში. გეგმა განსაზღვრავს ძირითად პრიორიტეტულ ინვესტიციებს, მხარს უჭერს რა საქართველოსთვის 3.4 მილიარდის დახმარებას ტრანსპორტის ყველა სახეობისთვის, ძირითად გაფართოებულ ქსელზე, რისი დასრულების ვადად 2030 წელია განსაზღვრული. აღმოსავლეთ პარტნიორობის ეკონომიკური და საინვესტიციო გეგმა მხარს უჭერს სატრანსპორტო ქსელების აშენებას შავი ზღვის საბორნე/ფიდერული მომსახურების განვითარებასა და პორტების ენერგოეფექტურობაში ინვესტირებასთან ერთად.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება წარმოადგენს ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას საქართველოსთვის და ასახულია ძირითად სტრატეგიულ დოკუმენტებში, როგორცაა 2021–2024 წლების სამთავრობო პროგრამა „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის.“ ქვეყანას აქვს მონაცემთა ბაზა ინფრასტრუქტურული სტანდარტების თაობაზე, თუმცა ის მხოლოდ ხარისხობრივ ინფორმაციას მოიცავს. საქართველოს ჯერ კიდევ მოსაწოდებელი აქვს ინფორმაცია, აკმაყოფილებს თუ არა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა TEN-T ინფრასტრუქტურულ მოთხოვნებს.

მთავარი დაბრკოლებები, რომლებიც ამცირებს ძირითადი საავტომობილო ქსელის ეფექტურობას, არის არსებული საერთაშორისო გზების შეზღუდული გამტარობა. საგზაო ინფრასტრუქტურა ძირითადად დაბალი სტანდარტისაა, ხარისხის, გამტარობისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით.

რაც შეეხება რკინიგზას, მთავრობამ მოახდინა სუსტი წერტილების იდენტიფიკაცია ძირითად ქსელში, რომლის გადაწყვეტაც მიმდინარეობს 2011 წლიდან რკინიგზის მოდერნიზაციის პროექტის ფარგლებში. სამუშაოები უნდა დასრულდეს 2023

წლისთვის. სარკინიგზო ინფრასტრუქტურა და მოძრავი შემადგენლობა ხშირად მოძველებულია ხარისხის, გამტარობის/ტევადობისა და უსაფრთხოების სტანდარტების მხრივ. ამასთანავე საქართველოს სარკინიგზო ქსელი იყენებს 1 520 მმ ლიანდაგს, მაშინ, როცა ევროკავშირის სტანდარტი 1 435 მმ-ია. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სარკინიგზო პროექტია ბაქო–თბილისი–ყარსის რკინიგზის პროექტი, რომელიც დაიწყო 2007 წელს და რომლის 85% დასრულებულია. ის უზრუნველყოფს 5 მილიონი ტონა ტვირთის გადაზიდვასა და 1 მილიონი მგზავრის გადაყვანას წელიწადში, წელიწადში 15 მილიონი ტონის ტვირთტევადობის პერსპექტივით და რომელიც გახდება ევროპა–კავკასია–აზიის სარკინიგზო კორიდორის ნაწილი და ევროპასა და ჩინეთს შორის ტვირთების გადაზიდვის მთავარი მარშრუტი.

საქართველო საჭიროებს ტრანსევროპული ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის სახელმძღვანელო ინსტრუქციების (გაიდლაინების) შესახებ რეგულაციასთან (TEN-E)²⁵ დაახლოებას, იმ სახით როგორც ის შეცვალა და მიიღო ენერგეტიკული გაერთიანების მინისტრთა საბჭომ. TEN-E რეგულაციის მიღება პოტენციურად დააჩქარებდა შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტის დასრულებას, რომელიც მიზნად ისახავს სამხრეთ კავკასიის რეგიონის პირდაპირ დაკავშირებას სამხრეთ–აღმოსავლეთ ევროპასთან წყალქვეშა კაბელით, შავი ზღვის ფსკერით. პროექტის განაცხადი შეირჩა როგორც პროექტი, რომელიც შესაძლებელია შევიდეს ელექტროენერჯის ქსელის ათწლიანი განვითარების ENTSO-E 2022 წილს გეგმაში. 2021–2030 წლების ბუნებრივი აირის გადაცემის ქსელის ათწლიანი განვითარების გეგმა ითვალისწინებს ბუნებრივი აირის მიწოდების ჩიხური (*dead-end*) სისტემის ჩანაცვლებას ძალიან დაცული, ცირკულარული მარყუჟებისა და დამაკავშირებლების სისტემით.

ბუნებრივი აირის გადაცემის ქსელში გამოწვევად რჩება ტრანსსასაზღვრო მილსადენები რეზერვების გარეშე, საათობრივად განსხვავებული მოხმარების დაბალანსების სირთულე ან შეუძლებლობა არსებული გადაცემის სისტემის ფარგლებში ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეზღუდვების გამო და ბუნებრივი აირის საცავის (გაზსაცავის) შეჩერებული მშენებლობა. ელექტროენერჯის გადაცემის ქსელში გამოწვევები მოიცავს ურთიერთდაკავშირებულ ხაზებში სარეზერვო სისტემების არარსებობას, დასავლეთ საქართველოს რადიალურ/ შეუსაბამო რეზერვების მქონე ქსელს, ჩიხურ (ძირითადად 220 კილოვოლტიან) გადამცემ ხაზებს ელექტროენერჯის გადაცემის სისტემის როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ ნაწილებში და ტრანსსასაზღვრო ინფრასტრუქტურული შეზღუდვებით გამოწვეული ეფექტის შესამსუბუქებლად ალტერნატიული გადაწყვეტილებების ძიებას.

სანამ საქართველოს ევროკავშირის ან ენერგეტიკული გაერთიანების ელექტროენერჯის ბაზრებთან არ ექნება ფიზიკური ურთიერთკავშირი, ის

²⁵ რეგულაცია (EU) 347/2013.

გათავისუფლებულია ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის წესების შესრულებისგან. ამ ეტაპზე, არ არსებობს მეზობელ ქვეყნებთან სიმძლავრის ტრანსსასაზღვრო კოორდინირებული განაწილება, გარდა ურთიერთდამაკავშირებლებისთვის სიმძლავრის ორმხრივი ტრანსსასაზღვრო განაწილებისა თურქეთთან. მიუხედავად ამისა, ელექტროენერჯის ტრანსსასაზღვრო ნაკადთა და სიმძლავრის განაწილების მართვის წესები შემუშავდა გადაცემის ქსელის კოდექსის ფარგლებში. შეთანხმებები გადამცემი სისტემის მეზობელ ოპერატორებთან ჯერ კიდევ ხელმოსაწერია, ისევე, როგორც შესამუშავებელია სამართლებრივი ჩარჩო ტრანსსასაზღვრო გაცვლის საბაზრო მექანიზმებისთვის 2023 წლის 31 მარტამდე.

დასკვნა

საქართველოს აქვს მომზადების გარკვეული დონე ტრანსევროპულ ქსელებთან დაკავშირებულ საკითხებში. სამართლებრივი ჩარჩო უნდა დაუახლოვდეს ტრანსევროპული სატრანსპორტო ქსელებისა და ტრანსევროპული ენერგეტიკის ქსელების რეგულაციებს სატრანსპორტო და ენერგეტიკული პროექტების განსახორციელებლად. ტრანსპორტისა და ენერგეტიკის ინფრასტრუქტურა არასაკმარისად არის განვითარებული. საქართველოში ნელი ტემპით მიმდინარეობს დაკავშირებადობის რეფორმით გათვალისწინებული ზომების განხორციელება.

თავი 27: გარემო და კლიმატის ცვლილება

ევროკავშირის გარემოსა და კლიმატის პოლიტიკა დაფუძნებულია პრევენციულ მოქმედებაზე, „დამბინძურებელი იხდის“ პრინციპზე, გარემოსთვის ზიანის მიყენების წინააღმდეგ წყაროსთანვე ბრძოლაზე, საერთო (გაზიარებულ) პასუხისმგებლობასა და ევროკავშირის სხვა დარგების პოლიტიკაში გარემოსა და კლიმატის ცვლილების საკითხების ინტეგრაციაზე. ევროკავშირის საკანონმდებლო ბაზის 27-ე თავი შედგება 200-ზე მეტი მნიშვნელოვანი სამართლებრივი აქტისგან, რომელიც მოიცავს როგორც ჰორიზონტალურ და ასევე დარგობრივ კანონმდებლობას (ჰაერის ხარისხი, ნარჩენების მართვა, წყლის მართვა, ბუნების დაცვა, სამრეწველო (ინდუსტრიული) დაბინძურების კონტროლი და რისკის მართვა, ქიმიური ნივთიერებები, ხმაური, სამოქალაქო დაცვა და კლიმატის ცვლილება).

გარემო და კლიმატის ცვლილება მოცემულია ასოცირების/DCFTA-ს შეთანხმების მე-3 (გარემო), მე-4 (კლიმატთან დაკავშირებული ქმედებები), მე-13 (ვაჭრობა და მდგრადი განვითარება) და 22-ე (სამოქალაქო დაცვა) თავებში.

გარემოს დაკავშირებული ჰორიზონტალური საკითხები

საქართველოს მიღწეული აქვს დაახლოების გარკვეული დონე ევროკავშირის ჰორიზონტალურ კანონმდებლობასთან. განხორციელება და აღსრულება წარმოადგენს გამოწვევას, კერძოდ შეზღუდული ადმინისტრაციული შესაძლებლობების გამო. საქართველომ მოახდინა აარჰუსის კონვენციის, მათ

შორის გარემოსთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე წვდომის შესახებ დანაწესების, იმპლემენტაცია. მან დანერგა აარჰუსის კონვენციის გამჭვირვალობის უფლებები და მართლმსაჯულებაზე წვდომასთან დაკავშირებული ზოგიერთი დებულება. საქართველომ მიიღო ჩარჩო-კანონმდებლობა გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ, თუმცა ძირითადი პრინციპები ეფექტურად განხორციელებას საჭიროებენ.

ჰაერის ხარისხთან დაკავშირებით, ევროკავშირის კანონმდებლობასთან საკანონმდებლო დაახლოების დონე ნაწილობრივია. ჰაერის ხარისხობრივი სტანდარტები დადგინდა ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ღირეტივებით მოცემული ყველა დამაბინძურებლისთვის. თუმცა, ფიქსირდება გადამეტებები, განსაკუთრებით მყარი ნაწილაკების მხრივ დიდ ქალაქებში. ჰაერის ხარისხის მონიტორინგის სისტემა ნაწილობრივ დაახლოებულია ევროკავშირის კანონმდებლობასთან და ხელმისაწვდომია ჰაერის ხარისხის ინდექსის ვებგვერდი. ქვეყანათა ემისიების შემცირების ვალდებულებათა ღირეტივასთან დაახლოების მხრივ ჯერ კიდევ შეიმჩნევა მნიშვნელოვანი ხარვეზები, თუმცა ადგილი აქვს პროგრესს, კერძოდ ემისიების ინვენტარიზაციისა და პროგნოზირების (პროეცირების) კუთხით. საქართველო არის UNECE-ს ჰაერის კონვენციის, თუმცა ჯერ არა მისი რომელიმე სამი უახლესი ოქმის მხარე.

საქართველოს დაახლოება ევროკავშირის **ნარჩენების მართვის** კანონმდებლობასთან ადრეულ ეტაპზეა. დაახლოება ნარჩენების გადამუშავებულ ჩარჩო ღირეტივასა და ნარჩენების ჩამდინარე წყლების ყველა რეგულაციური ნაკადის შესახებ კანონმდებლობასთან საჭიროებს შემდგომ კონსოლიდაციას, მათ შორის საკანალიზაციო დანალექისა და გემების ხელახალი გადამუშავების შესახებ ევროკავშირის წესების შესაბამისად ეროვნული კანონმდებლობის მიღებით. საჭიროა მნიშვნელოვანი ინვესტიციები ნარჩენების მართვის სისტემის მოდერნიზებისა და ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების მიზნით.

წყლის ხარისხის სფეროში, დაახლოების ხარისხი შეზღუდულია. ახალი კანონმდებლობა შემუშავების სტადიაშია, ევროკავშირის წყლის მარეგულირებელ ჩარჩოსთან – სასმელი წყლის, ურბანული ჩამდინარე წყლების დამუშავებისა და ნიტრატების ღირეტივებთან შემდგომი დაახლოების უზრუნველსაყოფად, მათ შორის წყლის რესურსების მართვის ინტეგრირებული სისტემის ჩათვლით, რომელიც გულისხმობს მდინარის კალაპოტის მართვის მექანიზმების შემოღებას. შემუშავდა საქართველოს წყლის საინფორმაციო სისტემა. საქართველომ კარგად იმუშავა ევროკავშირის ზღვის დაცვის კანონმდებლობასთან დაახლოების მიზნით, შესაბამისი სამართლებრივი და ადმინისტრაციული ჩარჩოს დადგენით. კერძოდ, ზღვის გარემოს დაცვის სამართლებრივ ჩარჩოზე მუშაობა დასასრულს უახლოვდება გარემოს დაცვის მე-4 ეროვნული სამოქმედო გეგმის პროექტით და ქვეყანა ახორციელებს შავი ზღვის სანაპირო წყლების ჰიდრობიოლოგიურ მონიტორინგს. არსებობს საქართველოს დაცული ტერიტორიების, მათ შორის დაცული საზღვაო

ტერიტორიების, რეესტრი. **ბუნების დაცვის** მხრივ, საკანონმდებლო დაახლოების ხარუსხი კარგია, რაც გამოიხატება ბერნის კონვენციით ნაკისრი ზოგიერთი ვალდებულების შესრულებასთან. მიუხედავად შედარებით უწყვეტი პროგრესისა, საქართველოს ამჟამინდელი ზურმუხტის ქსელი (*Emerald Network*) აჩვენებს ქსელით დასახული მიზნების მიღწევის მხოლოდ 30%-ით საკმარისობის დონეს. საქართველოს სჭირდება მისი ეროვნული ბიომრავალფეროვნების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განახლება. სპეციალური კანონი ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ მუშავდება. შესამუშავებელია ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სისტემა და სტრატეგია უცხო ინვაზიური სახეობებისთვის. საჭიროა ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაძლიერება და გამოყოფილი ფინანსური რესურსების გაზრდა.

რაც შეეხება **სამრეწველო დაბინძურების კონტროლისა და რისკის მართვის** თაობაზე ევროკავშირის კანონმდებლობას, საჭიროა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო მუშაობა და ინვესტიციები ინდუსტრიული და საქონლის მოშენების მიმართულებით, რაც მოქცეულია ევროკავშირის ინდუსტრიული ემისიების შესახებ კანონმდებლობის მოქმედების არეალში. ამრიგად, საჭიროა შემდგომი საკანონმდებლო დაახლოება, მათ შორის სამრეწველო ავარიების (უბედური შემთხვევების) შესახებ [ევროკავშირის] კანონმდებლობასთან.

ქიმიურ ნივთიერებებთან დაკავშირებით კანონმდებლობის ტრანსპოზიციის (გადმოტანის) დონე შეზღუდულია და მნიშვნელოვანი დებულებები, როგორცაა მაგალითად, ცხოველებზე კვლევის ჩატარების შესახებ, არ არსებობს. მომზადების პროცესშია ახალი რეგულაციები ევროკავშირის REACH-ისა და კლასიფიკაციის, ეტიკეტირებისა და შეფუთვის რეგულაციების საფუძველზე. საჭირო იქნება მნიშვნელოვანი ძალისხმევების მიმართვა ქიმიურ ნივთიერებებთან დაკავშირებით კანონმდებლობის აღსრულებისა და იმპლემენტაციისკენ, აღნიშნულ სექტორში არსებული კომპლექსური ვალდებულებებიდან გამომდინარე.

საქართველო იმყოფება ევროკავშირში **ხმაურის** თაობაზე არსებულ კანონმდებლობასთან დაახლოების ადრეულ სტადიაზე. საჭიროა დაიწყოს ხმაურის თაობაზე სტრატეგიული რუკებისა და სამოქმედო გეგმების მომზადება.

სამოქალაქო დაცვა

სამოქალაქო დაცვისა და სტიქიური უბედურების რისკის მართვის სფეროში, საქართველოს აქვს 24/7 მოქმედი სამსახური, რომელიც თანამშრომლობს ევროკავშირის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების საკოორდინაციო ცენტრთან. საქართველო ამზადებს და რეგულარულად აახლებს რისკის ეროვნულ შეფასებას, რომელიც მოიცავს ეროვნულ დონეზე დადგენილ ყველა საფრთხესა და რისკს. საქართველოს ადრეული გაფრთხილების სისტემები შესაძლებელია უფრო მეტად გაძლიერდეს. სხვადასხვა მოქმედი პირის როლი და პასუხისმგებლობები (ფუნქციები) ნათლად არის გაწერილი.

კლიმატის ცვლილება

კლიმატის ცვლილების შესახებ კანონმდებლობასთან, მათ შორის ენერგეტიკული გაერთიანების შეთანხმების ქვეშ აღებულ ვალდებულებებთან დაკავშირებით, საქართველოს აქვს დაბალიდან საშუალო დონემდე მომზადება. ქვეყანა არის პარიზის შეთანხმების მხარე და წარადგენს რეგულარულ ანგარიშებს. ეროვნულ დონეზე განსაზღვრულ განახლებულ წვლილში (*Nationally Determined Contribution*), საქართველომ აიღო უპირობო ვალდებულება, 2030 წლისთვის სათბური აირების შიდა ემისიები შეამციროს 35%-ით 1990 წელს არსებულ დონესთან შედარებით, და ასევე აქვს 50–57%-ით შემცირების პირობითი მიზანი, რომელიც დამოკიდებულია საერთაშორისო მხარდაჭერის მიღებაზე.

ქვეყნის უპირობოდ განსაზღვრული მიზანი არაამბიციურად გამოიყურება, რასაც 2030 წლისთვის სავარაუდოდ მოჰყვება მნიშვნელოვანი ზრდა ქვეყნის ემისიებში, თუ მხედველობაში მიღებული იქნება ემისიების შემცირების ამჟამინდელი მაჩვენებლები. საქართველოს არც დაბალემისიური განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია აქვს მიღებული და არც სავალდებულო კლიმატნიეტრალურობის თარიღი აქვს დადგენილი, მოუხედავად იმისა, რომ ეს მოითხოვება როგორც მმართველობის თაობაზე რეგულაციით, ისე პარიზის შეთანხმებით. საქართველო შეუერთდა მეთანის გლობალურ დაპირებას COP26-ზე [კლიმატის ცვლილების კონფერენციაზე]. საქართველომ ჩამოაყალიბა კლიმატის ცვლილების საბჭო მინისტრთა დონეზე, გაუმჯობესებული კოორდინაციის უზრუნველსაყოფად. საქართველოს ჯერჯერობით არ აქვს კანონი კლიმატის ცვლილების შესახებ.

საქართველო არ შედის გაერთიანებული ერების კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის (UNFCCC) I დანართით გათვალისწინებულ მხარეებში. ამგვარად, საქართველოს დღესდღეობით აქვს მხოლოდ საბაზისო ეროვნული სისტემა სათბური აირების მონიტორინგისა და შეტყობინების მიზნით და სათბური აირების ინვენტარიზაციას ორ წელიწადში ერთხელ ამზადებს. საჭიროა მნიშვნელოვანი ძალისხმევები ამ მხრივ ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან დასაახლოებლად.

ენერგეტიკისა და კლიმატის ინტეგრირებული ეროვნული გეგმა, როგორც მოთხოვნილია მმართველობის შესახებ რეგულაციით,²⁶ ჯერჯერობით არ არის მიღებული. თუმცა საქართველომ მიიღო 2030 წლის კლიმატის ცვლილების სტრატეგია და 2021–2023 წლების სამოქმედო გეგმა, რომლის განხორციელებაც დაიწყო.

საქართველო არ დაუახლოვდა დირექტივას, რომელიც ადგენს სისტემას, სათბური აირების ემისიებით ვაჭრობისთვის (ევროკავშირის ემისიებით ვაჭრობის სისტემა). ასევე არ დაუახლოვდა ძალისხმევების გაზიარების რეგულაციას

²⁶ რეგულაცია (EU) 1999/2018.

მიწათსარგებლობის, მიწათსარგებლობაში ცვლილებისა და მეტყვეობის შესახებ, მას ჯერჯერობით არ აქვს ნახშირბადაზე ფასდადების პოლიტიკა, თუმცა მოსალოდნელია, რომ ზოგიერთი დებულება შეტანილი იქნება ეროვნულ კანონმდებლობაში ენერგეტიკული გაერთიანების გავლით. ტრანსპორტის ემისიებთან დაკავშირებით, საქართველოს არ აქვს დანერგილი CO2 ეფექტურობის სტანდარტები ახალი ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის, და არც ზომები აქვს მიღებული ბაზარზე განთავსებული ახალი ავტომობილებისთვის საწვავის ეკონომიისა და CO2 ემისიების შესახებ მომხმარებლებისთვის ინფორმაციის მიწოდების მონიტორინგისა და ხელმისაწვდომობის მიზნით. საწვავის ხარისხთან დაკავშირებით, საქართველოს არ აქვს მიღებული სპეციალური კანონმდებლობა საწვავის ხარისხისა და ბენზინიდან, დიზელიდან და გაზოილიდან [გამოფრქვეული] სათბური აირების ემისიების შემცირებასთან დაკავშირებით. ქვეყანა მონაწილეობას იღებს სამოქალაქო ავიაციის ევროპულ კონფერენციაში და ნებაყოფლობით მონაწილეობდა საერთაშორისო ავიაციაში ნახშირბადის კომპენსირებისა და შემცირების გლობალურ სქემაში (CORSIA).

საქართველო წარმოადგენს ოზონის შრის დამშლელი ნივთიერებების შესახებ მონრეალის პროტოკოლის მხარეს, თუმცა მას ჯერ არ აქვს რატიფიცირებული კიგალის ცვლილება. მონრეალის ოქმის ქვეშ, საქართველო გეგმავს ჰიდრო–ქლორ–ფთორ–ნახშირბადის წარმოებიდან მოხსნას 2030 წლისთვის, როდესაც ევროკავშირმა უკვე სრულად მოხსნა წარმოებიდან ოზონის შრის დამშლელი ყველა ნივთიერება. საქართველო არ არის სრულად დაახლოებული ოზონის დამშლელი ნივთიერებების შესახებ რეგულაციის ან ფტორირებული სათბური აირების შესახებ რეგულაციის ამჟამინდელ ვერსიებთან, თუმცა ქვეყანამ მიიღო გარკვეული ზომები აღნიშნული რეგულაციების წინა ვერსიების საბაზისო ელემენტებთან დაახლოების მიზნით.

საქართველოს არ აქვს მიღებული შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა ნახშირბადის მთანეთქმისა და შენახვის დირექტივის შესაბამისად.²⁷

საქართველოს არ აქვს ადაპტაციის ეროვნული გეგმა კლიმატის ცვლილებასთან ადაპტირების მიზნით; ერთადერთი სექტორი, რომელიც მოცულია პოლიტიკის დოკუმენტებში, არის 2030 წლის ადაპტაციის ეროვნული გეგმა სოფლის მეურნეობისთვის.

დასკვნა

გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების სფეროში საქართველო იმყოფება **მომზადების ადრეულ სტადიაზე**. განხორციელება და აღსრულება წარმოადგენს გამოწვევას. გამოწვევები ძირითადად უკავშირდება ადმინისტრაციულ და ფინანსურ ასპექტებს, მაგრამ ასევე ზოგად შესაძლებლობას, აღებული იყოს ვალდებულებები,

²⁷ დირექტივა (EC) 2009/31.

დაკავშირებული ევროკავშირის წევრობასთან იმ სექტორებში, რომლებიც მოცემულია 27-ე თავში. ამავდროულად, საკანონმდებლო დაახლოების დონის კუთხით ხარვეზის მოცულობა უფრო გაფართოვდა ევროპული მწვანე შეთანხმების შემდეგ ევროკავშირის კანონმდებლობის გაფართოებისა და გაღრმავების შედეგად. ამჟამადაც საჭიროა მნიშვნელოვანი ძალისხმევები ინსტიტუციების ადმინისტრაციული, ფინანსური და ორგანიზაციული შესაძლებლობების გასაძლიერებლად. საჭიროა დამატებით ექსპერტული ცოდნა და შესაძლებლობების განვითარების შემდგომი მოქმედებები, ასევე აღჭურვილობა კანონმდებლობის მოთხოვნების სრულად განსახორციელებლად. გაზრდილი პოლიტიკური ყურადღება და სრულიად მთავრობისა და სრულიად ეკონომიკის მიდგომის დანერგვა ხელს შეუწყობდა გარემოს დაცვასა და მწვანე ტრანსფორმაციას.

ჯგუფი 5: რესურსები, სოფლის მეურნეობა და ერთიანობა

წინამდებარე ჯგუფი მოიცავს შემდეგს: სოფლის მეურნეობა და სოფლის განვითარება (თავი 11); სურსათის უვნებლობის, ვეტერინარული და ფიტოსანიტარიული პოლიტიკა (თავი 12); თევზჭერა (თავი 13); რეგიონული პოლიტიკა და სტრუქტურული ინსტრუმენტების კოორდინაცია (თავი 22) და ფინანსური და საბიუჯეტო დებულებები (თავი 33).

თავი 11: სოფლის მეურნეობა და სოფლის განვითარება

საერთო სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა მხარს უჭერს ფერმერებსა და უზრუნველყოფს ევროპის სასურსათო უსაფრთხოებას. ის ეხმარება კლიმატის ცვლილებასთან გამკლავებასა და ბუნებრივი რესურსების მდგრად მართვაში; ინარჩუნებს სასოფლო (აგრარულ) ტერიტორიებსა და ლანდშაფტებს ევროკავშირის მასშტაბით; და აცოცხლებს აგრარულ ეკონომიკას სოფლის მეურნეობაში, სასოფლო-სამეურნეო ინდუსტრიებსა და დაკავშირებულ სექტორებში სამუშაო ადგილების შექმნით; აღნიშნული მოითხოვს მართვისა და კონტროლის ძლიერ სისტემებს; არსებობს ასევე ევროკავშირის საერთო წესები ბაზარზე განთავსების სტანდარტებისთვის, ხარისხის პოლიტიკისა და ორგანული (ბიო) სოფლის მეურნეობისთვის.

ევროკავშირისა და საქართველოს შორის თანამშრომლობა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სფეროში მოცემულია ასოცირების შეთანხმების მე-10 თავში (ასევე ვაჭრობისა და სურსათის უვნებლობის შესახებ ზოგიერთ სხვა დებულებაში). ამ სექტორისთვის რაიმე კონკრეტული საკანონმდებლო დაახლოება არ არის გათვალისწინებული. შეთანხმება ადგენს გეოგრაფიული აღნიშვნების აღიარებასა და ვაჭრობის თანდათანობით ლიბერალიზაციას. ის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სექტორში განსაზღვრავს საერთო ინტერესის ურთიერთსასარგებლო და თანამშრომლობის სფეროებს.

საქართველოში სოფლის მეურნეობა რჩება მნიშვნელოვან სექტორად მშპ-ში

ხვედრითი წილის (7%) თვალსაზრისით. სექტორი ასევე იძლევა მნიშვნელოვან უსაფრთხოების ბაღეს (*safety net*) სოფლის მოსახლეობისთვის იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მოსახლეობის 40%-ზე მეტი სოფელად ცხოვრობს. საქართველოს აქვს ეკოლოგიური და კლიმატური ზონების ფართო სპექტრი, რომელიც სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურის, მათ შორის მარცვლოვნების, ადრეული და გვიანი ბოსტნეულისა და ხილის მოსაყვანად არის ხელსაყრელი.

სოფლის მეურნეობისა და აგრარული განვითარების პოლიტიკის შემუშავებაზე პასუხისმგებელია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. სოფლის განვითარების სააგენტო უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პოლიტიკის ფინანსურ მართვას.

რაც შეეხება **ჰორიზონტალურ საკითხებს**, ამ სფეროში საქართველოს პოლიტიკას განსაზღვრავს 2021–2027 წლების სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმა. 2021 წლის მდგომარეობით, საქართველო გეგმავს სოფლის განვითარების სააგენტოს გარდაქმნას ევროკავშირში მოქმედი უწყების მსგავს დამფინანსებელ სააგენტოდ, მაგრამ საჭირო იქნება მნიშვნელოვანი დამატებითი ძალისხმევა ადმინისტრირებისა და კონტროლის ინტეგრირებული სისტემის ჩამოყალიბების, რეესტრის მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესებისა და მიწის რეგისტრაციის გამართვის მიზნით. არ არსებობს ფერმერულ მეურნეობათა ანგარიშგების მონაცემთა ქსელი ან მსგავსი სისტემა ფერმერული მეურნეობების შემოსავლების მონიტორინგის მიზნით.

სასოფლო-სამეურნეო ბიუჯეტი სექტორს მხარს უჭერს სამი მიმართლებით: (1) კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო სექტორები, (2) ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება და ადაპტაცია კლიმატის ცვლილებისადმი, (3) სურსათის/ცხოველის საკვების, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეფექტური სისტემები. სახელმწიფო დახმარების მხრივ, საქართველო მიმართავს რამდენიმე სუბსიდიას და დამატებით ღონისძიებას, როგორცაა სასოფლო-სამეურნეო მექანიზაცია, სასოფლო-სამეურნეო სადაზღვევო სუბსიდიები, ხორბლის ფქვილისა და ხორბლის იმპორტის სუბსიდიები 2020/2021 წლებში COVID-19-ის გამოწვევებთან გასამკლავებლად და მიწის კერძო მესაკუთრეობის ხელშემწყობ ზომები.

საქართველოში **საერთო ბაზრის ორგანიზების** (CMO) მხრივ დაახლოება ძალიან შეზღუდულია, რაც ძირითადად დაკავშირებულია ბაზარზე განთავსების ზოგიერთ სტანდარტთან. რიგი მხარდამჭერი ზომა ვრცელდება პროდუქტთა სხვადასხვა კატეგორიაზე.

2013 წელს, საქართველომ მიიღო კანონი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ, რომელმაც დაადგინა წესები და რეგულაციები სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მოქმედებებისთვის. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების

მოქმედების სფეროა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება, გადამუშავება, შეფუთვა, დაფასოება, შენახვა, ტრანსპორტირება და ბაზარზე განთავსება. აღნიშნული კანონი, რომელიც სფეროს მოდერნიზების და ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების მიზანს ისახავს, ამჟამად პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტში განიხილება.

ღვინის სექტორს რაც შეეხება, 2014 წლიდან მოქმედებს ვენახების კადასტრი და, დღეის მდგომარეობით, ვენახების 80% არის რეგისტრირებული, გლობალური პოზიციონირების სისტემის ტექნოლოგიის გამოყენებით შემდგარი ორთოფოტორუკების და მევენახეთა დეკლარაციების საფუძველზე. საქართველოს ვენახების კადასტრის სისტემა წარმოადგენს საინფორმაციო სისტემას ვენახებისა და ღვინის წარმოების მართვისა და კონტროლის მიზნით.

სოფლის განვითარების მხრივ, საქართველოს პოლიტიკის ჩარჩო-დოკუმენტია სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021–2027 წლის სტრატეგია, მისი 2021–2023 წლის სამოქმედო გეგმით. მისი განხორციელება კოორდინირებული და მკაცრად კონტროლირებულია უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ, შედგება რა შესაბამისი მონაწილე პირებისგან (აქტორებისგან), რომლებიც იყენებენ მონიტორინგისა და შეფასების ელექტრონულ სისტემას. დაფინანსება უზრუნველყოფილია სასოფლო-სამეურნეო ბიუჯეტის საშუალებით.

ხარისხის პოლიტიკასთან დაკავშირებით, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ კანონი, რომელიც აწესრიგებს საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების რეგისტრაციას, დაცვასა და გამოყენებას, შეესაბამება ხარისხის სქემების შესახებ ევროკავშირის რეგულაციას²⁸. **ორგანული სოფლის მეურნეობა** მოწესრიგებულია ორგანული (ბიო) წარმოების შესახებ დადგენილებით, რომელიც ჰარმონიზებულია ორგანული წარმოების შესახებ ევროპის საბჭოს რეგულაციასთან.²⁹

დასკვნა

სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სფეროში საქართველო **მომზადების აღრუულ სტადიაზეა**. ასოცირების/DCFTA-ს შეთანხმებით არ იყო გათვალისწინებული რაიმე საკანონმდებლო დაახლოება. საქართველოს დასჭირდება სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სფეროში ევროკავშირის კანონმდებლობასთან სრულად დაახლოება და სტრუქტურების, სისტემებისა და ადმინისტრაციული შესაძლებლობების ჩამოყალიბება, მისი ეფექტიანად განხორციელებისა და აღსრულების მიზნით.

²⁸ რეგულაცია (EU) 1151/2012.

²⁹ რეგულაცია (EC) 834/2007.

თავი 12: სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და ფიტოსანიტარიული პოლიტიკა

ევროკავშირის ჰიგიენის წესები სურსათის წარმოებისთვის უზრუნველყოფს სურსათის უვნებლობის მაღალ დონეს. ცხოველების ჯანმრთელობა და კეთილდღეობა და ცხოველური წარმოშობის სურსათის უვნებლობა დაცულია თესლების ხარისხთან, მცენარეთა დაცვის საშუალებებთან, მავნე ორგანიზმებისგან დაცვასა და ცხოველთა კვებასთან ერთად.

სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და ფიტოსანიტარიული პოლიტიკა მოცემულია ასოცირების შეთანხმების მე-4 თავში (50-ე-65-ე მუხლები) და IV-A, IV-B, XI-A და XI-B დანართებში.

სანიტარული და ფიტოსანიტარიული (SPS) ზომების სფეროში, საქართველომ მისი კანონმდებლობა ნაწილობრივ დაუახლოვა ევროკავშირის კანონმდებლობას, ახორციელებს რა ასოცირების შეთანხმების XI-B დანართში მოცემული საკანონმდებლო დაახლოების ამბიციურ გეგმას, რაც მიზნად 2027 წლისთვის სრული დაახლოებას ისახავს. 2021 წლის ბოლოსთვის დაახლოებულია 144 აქტი. მესაქონლეობის თაობაზე რეგულაციების უმრავლესობა უკვე დაახლოებულია ევროკავშირის წესებთან.

კომპეტენტური ორგანოებია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო და სურსათის ეროვნული სააგენტო (სსიპ). სანიტარული და ფიტოსანიტარიული ზომების წარმატებით განხორციელებამ შეზღუდული რაოდენობის ქართული პროდუქტისთვის ევროკავშირის ბაზარი გახსნა. მონიტორინგი/ზედამხედველობა და აღსრულება ისეთ სფეროებში, როგორცაა ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვა და ცხოველების კეთილდღეობა, ბიოსაფრთხობა, სურსათის უვნებლობა და პროდუქტის მიკვლევადობა საჭიროებს გაუმჯობესებას.

საქართველოს კონტროლის სისტემის შესახებ კანონმდებლობა და ორგანიზაცია ნაწილობრივ დაახლოებულია ევროკავშირის კანონმდებლობასთან. ევროკავშირში ექსპორტის თაობაზე ეროვნული კანონმდებლობა და განმახორციელებელი წესები ზოგადად შეესაბამება ევროკავშირის წესებს, თუმცა კომპეტენტურ ორგანოებს ჯერჯერობით არ შეუძლიათ სრულად, მოთხოვნილი დონის უზრუნველყოფა ზედამხედველობის სისტემის არაეფექტურობისა და დიაგნოსტიკისთვის რესურსების ნაკლებობის გამო.

სურსათის ზოგადი უვნებლობის, სურსათის უვნებლობის წესებისა და ცხოველის საკვების შესახებ სპეციალური წესების სფეროში, ქართველმა მწარმოებლებმა მიიღეს ნებართვა, ევროკავშირში ლოკოკინების, შინაური ბინადარი ცხოველების საკვების, თევზჭერის ზოგიერთი პროდუქტის, თაფლისა და ცხოველის მიერ საკვებად გამოყენების გარდა სხვა მიზნებისთვის განკუთვნილი ცხოველური

წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტების ექსპორტისთვის. მიღებულია ღონისძიებები სხვა პროდუქტებისთვისაც, როგორცაა დედა–ფუტკრები და აკვაკულტურულ მეურნეობებში მოშენებული თევზჭერის პროდუქტები. თუმცა, ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები არ გაზრდილა უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში (2020–2022) და ის არასაკმარისია ახალი საკანონმდებლო ჩარჩოს ზოგიერთი ელემენტის ეფექტური იმპლემენტაციისთვის ან სურსათის ბიზნესოპერატორებისთვის საჭირო მხარდაჭერის აღმოსაჩენად. საქართველო აწყდება სირთულეებს თხილისთვის ევროკავშირის მოთხოვნებთან შესაბამისობის მხრივ, რის გამოც ევროკავშირი ინარჩუნებს იმპორტისთვის რეგულირებული საკონტროლო ზომების მაღალ დონეს, აფლატოქსინებით დაბინძურების გამოსავლენად.

ვეტერინარიის პოლიტიკის სამართლებრივი ჩარჩო მოცულია სურსათის/ცხოველის საკვების, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული კოდექსითა და კანონქვემდებარე აქტებით. აღნიშნული, განახლების შემდეგ, უნდა მოიცავდეს ცხოველთა კეთილდღეობასაც. დაახლოება დასასრულებელია ცხოველთა კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად ტრანსპორტირებისა და დაკვლის დროს. საქართველო მუშაობს ცხოველთა გადამდები დაავადებების კონტროლის, პრევენციისა და აღმოფხვრის მიზნით. დაავადებათა ზედამხედველობის ელექტრონული ინტეგრირებული სისტემა (EIDSS) აძლიერებს და მხარს უჭერს საშიში დაავადებების მონიტორინგსა და პრევენციას „ერთიანი ჯანმრთელობის“ კონცეფციის შესაბამისად. მუშაობა ეროვნული კანონმდებლობის კრიზისული სიტუაციების მართვის შესახებ ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებაზე საჭიროებს დასრულებას. ცხოველთა იდენტიფიკაციის, რეგისტრაციისა და მიკვლევადობის სისტემა (NAITS) მოიცავს მეურნეობათა (ფერმები და სხვა) ცენტრალურ რეესტრს, სადაც შეყვანილია და აღრიცხულია ცხოველთა სხვადასხვა სახის სადგომებთან დაკავშირებული ყველა დეტალი. ცოცხალი ცხოველების იმპორტისას კონტროლის პროცედურები რეგულირებულია და ცოცხალი ცხოველებისთვის სასაზღვრო კონტროლის ვეტერინარული პროცედურები მოიცავს ცოცხალი ცხოველების დოკუმენტურ, საიდენტიფიკაციო და კლინიკურ შემოწმებას. სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და ფიტოსანიტარიის სფეროში კონტროლის ღონისძიებებზე პასუხისმგებელია სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია და მისი ძირითადი ფუნქცია ლაბორატორიული გამოკვლევაა. ლაბორატორია აკრედიტებულია აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მიერ ISO IEC 17025–ის შესაბამისად. ლაბორატორიული ქსელი ფუნქციონირებს ქვეყნის მასშტაბით. ხორციელდება ნარჩენებზე მონიტორინგი. საქართველომ დაადგინა სურსათისა და ცხოველის საკვების სწრაფი განგაშის სისტემა (RASFF) და ჰყავს ეროვნული საკონტაქტო პირი ევროკავშირის RASFF–ის გუნდთან კომუნიკაციის მიზნებისთვის.

სურსათის, ცხოველის საკვებისა და ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტების ბაზარზე განთავსებასთან დაკავშირებით,

კანონმდებლობა მოიცავს სურსათის/ცხოველის საკვების, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულ კოდექსსა და განმახორციელებელ კანონმდებლობას, სურსათისა და ცხოველის საკვების ჰიგიენის თაობაზე ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების მიზნით. კონტროლის ოფიციალური ზომები ხორციელდება სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ. ბიზნესოპერატორები, რომლებიც აწარმოებენ, გადაამუშავებენ და დისტრიბუციას უწევენ ცხოველური წარმოშობის სურსათს, რეგისტრირებულნი უნდა იყვნენ ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში. რისკის შეფასებას ატარებს სურსათის ეროვნული სააგენტო [და] სამეცნიერო კვლევითი ცენტრი. საქართველო ინფორმირებულია ევროკავშირში დაავადებათა აფეთქებებისა და რეგიონალიზაციის შემდგომი ღონისძიებების თაობაზე და ითვალისწინებს აღნიშნულ ინფორმაციას ევროკავშირის შესაბამისი ქვეყნებიდან ცხოველური წარმოშობის პროდუქტების იმპორტირებისას. სახელმწიფო კონტროლის ფარგლებში აღებული ნიმუშების ლაბორატორიული გამოკვლევა ხორციელდება ISO 17025 სტანდარტის შესაბამისად აკრედიტებულ ლაბორატორიებში. თუმცა, საქართველოს ლაბორატორიული გამოკვლევების ქვეყნისშიდა პოტენციური ჯერჯერობით არ შეესაბამება სანიტარიულ, ფიტოსანიტარიულ და სურსათის უვნებლობის სფეროებში დაახლოებული კანონმდებლობის მოთხოვნებს. ევროკავშირის სავაჭრო კონტროლისა და ექსპერტთა სისტემაში (TRACES) ავტორიზებული ანგარიშების საშუალებით, საქართველოს შეუძლია აღნიშნული სისტემის საშუალებით ახალი დაწესებულებების დამატება და ასევე ცვლილებების შეტანაზე განცხადება. ამავდროულად, TRACES სისტემა არ არის სრულად ფუნქციონირებადი (მოქმედი) ელექტრონული სერტიფიკატების გაცემის კუთხით. დაწყებულია სამუშაოები TRACES-ს სისტემასთან სრული ინტეგრაციის მიზნით. საქართველო არის უვნებელი სურსათისთვის გაუმჯობესებული სწავლების [BTSF] ღონისძიებებისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში ჩატარებული შეკრებების აქტიური და ენთუზიაზმით აღსავსე მონაწილე.

ფიტოსანიტარიული პოლიტიკის მომწესრიგებელი სამართლებრივი ჩარჩო შედგება სურსათის/ცხოველის საკვების, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული კოდექსისგან, ხოლო მცენარეთა დაცვის საშუალებებისთვის (PPP) ძირითადი კანონმდებლობა არის „პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ“ კანონი. მოქმედებს ბევრი კანონქვემდებარე აქტი, რომელიც შემუშავებულია ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების მიზნით. მცენარეთა ჯანმრთელობის სფეროსთან დაკავშირებული ეკონომიკური აქტორები [ოპერატორები] უნდა დარეგისტრირდნენ ეკონომიკურ აქტივობათა რეესტრში. გეგმაშია მცენარეული და ცხოველური წარმოშობის სურსათზე ან სურსათში და ცხოველის საკვებზე ან საკვებში პესტიციდების ნარჩენების მაქსიმალური ზღვრების თაობაზე ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის სამართალთან დაახლოება.

რაც შეეხება **გენეტიკურად მოდიფიცირებულ ორგანიზმებს (GMO)**, კანონმდებლობით მოწესრიგებულია დახურულ სისტემებში, ტრანსსასაზღვრო

გადაადგილების, მიკვლევადობისა და ეტიკეტირების, ბაზარზე განთავსების, ასევე უვნებლობისა და შეფუთვის დროს გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების გამოყენებას. საქართველოს მიზნად აქვს დასახული, იყოს გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისგან თავისუფალი ზონა და აკრძალოს გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების გარემოში შეტანა, მათი ბაზარზე განთავსება და ასევე მათი რე-ექსპორტი და იმპორტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მათი იმპორტირება ხდება დახურულ სისტემაში გამოყენების მიზნით. მიმდინარეობს განხილვები იმასთან დაკავშირებით, ეს პოლიტიკა შეესაბამება თუ არა ევროკავშირის წესებს გენეტიკურად მოდიფიცირებულ ორგანიზმების შესახებ. მოდიფიცირებული ორგანიზმების სფეროზე პასუხისმგებელია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რომელიც უზრუნველყოფს კოორდინაციას სახელმწიფოს დონეზე და ახორციელებს სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის ღონისძიებებს.

დასკვნა

საქართველოს აქვს **მომზადების გარკვეული დონე** სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და ფიტოსანიტარიულ პოლიტიკაში. არსებობს რისკი, რომ ამ სფეროში კანონმდებლობის ეფექტიანი იმპლემენტაცია მნიშვნელოვნად ჩამორჩეს საკანონმდებლო დაახლოების პროცესს. სურსათის უვნებლობის სფეროში საჭიროა ყოვლისმომცველი სტრატეგია, პოლიტიკის გადახედვა და ინსტიტუციური რეფორმები. ახალი კანონმდებლობის ეფექტიანი განხორციელება მნიშვნელოვანი შეფერხებებით მიმდინარეობს, რაც ზოგიერთ მათგანს [აქტს] ასუსტებს და რასაც შედეგად კონტროლის შემცირება მოჰყვება.

თავი 13: მეთევზეობა

მეთევზეობის საერთო პოლიტიკა ადგენს მეთევზეობის მართვისთვის წესებს, იცავს ზღვის ცოცხალ რესურსებს და ზღუდავს გარემოზე თევზჭერის ზემოქმედებას. ეს მოიცავს მოსაპოვებელი რესურსის კვლების დადგენას, თევზსაჭერი ფლოტის მართვას, კონტროლისა და ინსპექტირების წესებს, ბაზრებისა და აკვაკულტურის შესახებ წესებს და მეთევზეობებისა და სანაპიროზე მცხოვრები თემის მხარდაჭერას. ამასთანავე, ის ხელს უწყობს მდგრად აკვაკულტურას.

მეთევზეობის სფეროში თანამშრომლობას ასოცირების შეთანხმება ითვალისწინებს. შეთანხმების მე-11 თავი განსაზღვრავს საზღვაო მეთევზეობის სექტორში საერთო ინტერესების ორმხრივადსასარგებლო სფეროებს, ხელს უწყობს ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებას, მათ შორის მეთევზეობის რესურსების შენარჩუნებასა და მართვას და მეთევზეობის რეგიონულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობას. ევროკავშირისა და საქართველოს შორის მეთევზეობის სფეროში თანამშრომლობას ძირითადად ადგილი აქვს შავი ზღვისთვის საერთო დღის წესრიგისა და ხმელთაშუა ზღვის თევზჭერის გენერალური კომისიის (GFCM) ფარგლებში. აქტიური და კონსტრუქციული

თანამშრომლობა მიმდინარეობს არალეგალური, არადეკლარირებული და დაურეგულირებელი (IUU) თევზჭერის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით ევროკავშირსა და საქართველოს შორის დიალოგის ფარგლებში.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო პასუხისმგებელია მეთევზეობისა და აკვაკულტურისთვის სახელმწიფო პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაზე. საქართველომ მიიღო კანონმდებლობა თევზჭერისა და აკვაკულტურის მართვის თაობაზე მეთევზეობის საერთო პოლიტიკის პრინციპების შესაბამისად. ძირითადი ვალდებულებები, როგორცაა დროშის სახელმწიფოს, სანაპირო სახელმწიფოსა და ბაზრის სახელმწიფოს ვალდებულებები, ფუნქციონალურად განმარტებულია საქართველოს კანონმდებლობაში. ხელმისაწვდომი ინფორმაცია მოწმობს, რომ 2019 წლიდან ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობა უკანონო, არადეკლარირებული და დაურეგულირებელი (IUU) თევზჭერის წინააღმდეგ ბრძოლის თაობაზე ევროკავშირის წესებთან გაუმჯობესდა. თუმცა, საჭიროა უზრუნველყოფილი იყოს კანონმდებლობის აღსრულება შესაბამის დონე.

საქართველომ მიიღო კანონი „აკვაკულტურის შესახებ“ და მისი აღსრულებისთვის საჭირო კანონქვემდებარე აქტები აკვაკულტურის საქმიანობის (მტკნარი წყლის და საზღვაო) რეგულირებისთვის. ძირითადი დოკუმენტი, რომელიც აწესრიგებს აკვაკულტურის საქმიანობას არის „აკვაკულტურის შესახებ“ საქართველოს კანონი. კანონი შემუშავდა ხმელთაშუა ზღვის თევზჭერის გენერალურ კომისიასთან (GFCM) მჭიდრო თანამშრომლობით, საერთაშორისო და ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით. კანონი აწესრიგებს აკვაკულტურულ საქმიანობას საქართველოს შავი ზღვის კონტინენტური შელფის, ტერიტორიული წყლების, განსაკუთრებული ეკონომიკური ზონისა და ასევე შიდა წყლების – წყალსატევების (ტბები, წყალსაცავები, ტბორები, მდინარეები, მიწისქვეშა წყლები, ნაკადულები, არხები, წყალჭაობიანი ადგილები და აკვაკულტურის ობიექტების მოშენებისთვის გამოსაღები სხვა წყალსატევები) კონკრეტულ ადგილებში.

საჭიროა საქართველომ მიიღოს მრავალწლიანი ეროვნული სტრატეგია კონკრეტულად აკვაკულტურისთვის და აღნიშნულ პროცესში გაითვალისწინოს „ევროკავშირის სტრატეგიული სახელმძღვანელო ინსტრუქციები მეტად მდგრადი და კონკურენტუნარიანი აკვაკულტურისთვის 2021–2030 წლების პერიოდისთვის“. კანონმდებლობაში არაფერია ნათქვამი უცხო სახეობებზე, ამიტომ გაურკვეველია აქვს თუ არა საქართველოს ზომები მიღებული უცხო და ადგილობრივად არარსებული სახეობების აკვაკულტურაში უსაფრთხო შემოყვანის მიზნით. 2017 წლიდან საქართველო სეყვანილია იმ ქვეყნების სიაში, რომელსაც აქვს უფლება თევზჭერის პროდუქტები ევროკავშირის ბაზარზე გაიტანოს.

2021 წელს სახელმწიფოს მიერ აღრიცხული საზღვაო თევზჭერა 53 500 ტონას შეადგენდა (შემცირებულია 89 600 ტონიდან 2019 წლის მონაცემებთან შედარებით).

სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) გამოთვლით, 2017 წელს საქართველოში აკვაკულტურული წარმოება იყო 700 ტონა. საქართველოს მიერ 2022 წელს აღრიცხული საზღვაო თევზსაჭერი გემების რაოდენობა, რომლებიც მხოლოდ შიდა წყლებში. საქმიანობდნენ, 32-ს შეადგენდა.

საქართველო **თევზჭერის რესურსებს** მართავს სამეცნიერო მტკიცებულებისა [რჩევებისა] და მონაცემთა შეგროვების ჩარჩო–სტრუქტურის საფუძველზე. დანერგილია **ფლოტის მართვის სისტემა**, ხოლო თევზჭერის ხომალდთა რეესტრი და რეჟიმი არ არის.

შემუშავდა **ინსპექტირებისა და კონტროლის** სისტემის გარკვეული ელემენტები. საქართველოს არ აქვს რაიმე სპეციალური **სტრუქტურული მოქმედებები თევზჭერისთვის**. **სახელმწიფო დახმარების** შეზღუდული ზომები არსებობს, რომელიც ვრცელდება თევზჭერაზე, მათ შორის სპეციალური საკრედიტო პროგრამა დაბალი საპროცენტო განაკვეთებით.

საბაზრო პოლიტიკასთან დაკავშირებით, დადგენილია ჰიგიენის ზოგადი სტანდარტები ცხოველური წარმოშობის სურსათისა და პროდუქტებისთვის და პროდუქტის შესახებ ინფორმაცია, როგორცაა წონა, ინგრედიენტები და ვარგისიანობის ვადა, მიეწოდება მომხმარებლებს. ბაზარზე განთავსებული თევზჭერისა და აკვაკულტურის პროდუქტების შესახებ კონკრეტული დებულებები უნდა დაუახლოვდეს ევროკავშირის ბაზრის საერთო ორგანიზაციის რეგულაციას. მწარმოებელი ან დარგთაშორისი ორგანიზაციები არ არსებობენ.

საერთაშორისო შეთანხმებებთან დაკავშირებით, საქართველო საზღვაო თევზჭერაში თანამშრომლობს თევზჭერის მართვის შესაბამის რეგიონულ ორგანიზაციასთან, კერძოდ ხმელთაშუა ზღვის თევზჭერის გენერალურ კომისიასთან (GFCM). თევზჭერაზე (თევზის მეურნეობაზე) არის ორმხრივი შეთანხმება უკრაინასთან.

დასკვნა

საქართველოს აქვს **მომზადების გარკვეული დონე** თევზჭერაში. საქართველოს აკლია თევზჭერის ჰარმონიზებული პოლიტიკა და ეფექტური განხორციელება ქვეყნის მასშტაბით, ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისად. უნდა ჩამოყალიბდეს ფლოტის რეესტრი და მონაცემთა შეგროვების ჩარჩო უნდა გაძლიერდეს. თევზჭერისა და აკვაკულტურის ბაზრის პოლიტიკა უნდა შემუშავდეს. უნდა გაუმჯობესდეს ადმინისტრაციული სტრუქტურები, მათ შორის უნდა ჩამოყალიბდეს მმართველი ორგანო და გაძლიერდეს ინსტიტუციური შესაძლებლობები და რეგულაციური ჩარჩო–სისტემა, თევზჭერის მოქმედებებისა და (შესაძლებელია) იმპორტის ევროკავშირის თევზჭერის საერთო პოლიტიკის შესაბამისად მართვისა და კონტროლის მიზნით.

თავი 22: რეგიონული პოლიტიკა და სტრუქტურული ელემენტების კოორდინაცია

რეგიონული პოლიტიკა არის ევროკავშირის ძირითადი ინსტრუმენტი რეგიონული განსხვავებების შემცირებისა და მდგრად და ინკლუზიურ სოციალურ-ეკონომიკურ ზრდაში ინვესტირების მიზნით. ის ფუნქციონირებს ევროკომისიასა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის „ერთობლივი მართვის“ გზით. ერთიანი პოლიტიკის (cohesion policy) პროგრამების განხორციელება მოითხოვს შესაბამის ადმინისტრაციულ შესაძლებლობებს პროგრამისა და პროექტის დონეზე, გონივრული ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემების ჩამოყალიბებასა და ასევე ევროკავშირის კანონმდებლობის სხვა ელემენტების აღსრულებას, როგორცაა გარემოს დაცვისა და სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობა.

რეგიონული პოლიტიკა მოცემულია ასოცირების/DCFTA შეთანხმების რეგიონული განვითარების, ტრანსსასაზღვრო და რეგიონულ დონეზე თანამშრომლობის შესახებ 21-ე თავში. ევროკავშირისა და საქართველოს შორის დღევანდელი თანამშრომლობა მიზნად ისახავს რეგიონული (მათ შორის ტრანს-სასაზღვრო) პოლიტიკის თანამშრომლობაში ადგილობრივ დონეზე არსებული უწყებების ჩართვის მხარდაჭერასა და გაძლიერებას. აღნიშნული მხარს უჭერს საქართველოს დაახლოებას შემდეგ პრინციპებთან: მრავალდონიანი მმართველობის გაძლიერება, რეგიონულ განვითარებაში არსებული პარტნიორობის კონსოლიდაცია და ფინანსური მონაწილეობის საშუალებით თანადაფინანსება.

საბაზისო მომსახურების, განათლებისა და დასაქმების შესაძლებლობების უზრუნველყოფაში განსხვავებები ქალაქსა და სოფელს შორის თვალსაჩინოა, რადგანაც რესურსები კონცენტრირებულია დედაქალაქსა და რამდენიმე საშუალო ზომის ქალაქში.

საქართველოს მიღებული აქვს რეგიონული პოლიტიკის სტრატეგიები და პროგრამები, რომელთა დაახლოებასაც შეეცადა ევროკავშირის ერთიანობის პოლიტიკის პრინციპებთან, მათ შორის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021–2027 წლების სტრატეგია, საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2019–2023 წლების სტრატეგია და „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ 2015 წლის კანონი. მაგრამ, **სამართლებრივი სისტემის** თემატურ სფეროებში დაახლოება, რომელიც რელევანტურია რეგიონული პოლიტიკის განხორციელებისთვის, დაუსრულებელია.

საქართველოს არ აქვს სამართლებრივი **ჩარჩო**, რომელიც უზრუნველყოფს ბიუჯეტის მოქნილობას, შემდგომი წლის ბიუჯეტში გადატანის მხრივ. არსებობს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამის რამდენიმე მაგალითი, რომელიც მოიცავდა თანადაფინანსებას, როგორც იყო 2020–2022 წლების რეგიონების ინტეგრირებული განვითარების საპილოტე პროგრამა, ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარების ქვეშ გაცემული ფინანსური დახმარების ფარგლებში, სადაც პროექტის ღირებულების 1% მაინც დაფინანსებული იყო თითოეული

ბენეფიციარი მუნიციპალიტეტის მიერ.

არ არსებობს სოციალური ფონდი, რომელიც იქნებოდა ევროპული სოციალური ფონდის (+) ეკვივალენტური ან მსგავსი.

საქართველოს მიღებული აქვს საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც აწესრიგებს შიდა აუდიტსა და ასევე შიდა ფინანსურ მართვასა და კონტროლს. ჰარმონიზაციის ცენტრალური ერთეულის [ცენტრის] (CHU) ოპერაციული შესაძლებლობები და დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილია კანონმდებლობის მიერ, თუმცა ჯერ კიდევ არსებობს პრობლემები რესურსების მიღების დონისა და სტატუსის/შესაძლებლობების კუთხით. შიდა აუდიტის ერთეულები ჯერ კიდევ ახორციელებენ საინსპექციო მოქმედებების მნიშვნელოვან ნაწილსა და ასევე შიდა აუდიტებს. შემდგომი განვითარება არის საჭირო რისკის შეფასებაში, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემებსა და შიდა აუდიტორის სასერტიფიკაციო პროგრამაში.

არსებობს ევროკავშირის სახსრებისათვის **ფინანსური მართვისა და კონტროლის მეზღუდული სისტემა**: საქართველომ სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ (PIFC) შესახებ კანონი მიიღო 2011 წელს, დაადგინა, სხვათა შორის (*inter alia*), შიდა აუდიტის სტრუქტურები: ა) სამინისტროებში, მათ შორის ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროებში; ბ) საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში, რომელიც დაფინანსებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან და შერჩეულია ქვეყნის მთავრობის მიერ; გ) ადგილობრივ ადმინისტრაციულ ორგანოებში, მუნიციპალიტეტის შესაბამისი საკრებულოს გადაწყვეტილების საფუძველზე. დაფუძნებულია სახელმწიფო აუდიტის სამსახური (SAO), რომელიც რეგულირებულია კანონით. ის მუნიციპალიტეტების აუდიტს ატარებს ყოველ სამ წელიწადში.

სტატისტიკისთვის ტერიტორიული ერთეულების ნომენკლატურის (NUTS) მეთოდოლოგია საქართველოში არ გამოიყენება. რეგიონული განვითარების გეგმებისთვის მართვის მექანიზმების გარკვეული ელემენტები შემოღებულია 2014 წლიდან.

რაც შეეხება **ინსტიტუციურ ჩარჩოს**, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ემზადება ევროკავშირის ერთიანობის პოლიტიკის განსახორციელებლად. საგარეო საქმეთა სამინისტრო და მისი ევროკავშირის დახმარების კოორდინაციისა და სექტორული ინტეგრაციის დეპარტამენტი მოქმედებს როგორც სახელმწიფო ორგანო ევროკავშირის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის პროგრამების განხორციელებაში.

საქართველოს აქვს გამოცდილება შავი ზღვის რეგიონისთვის ევროპული სამეზობლო მექანიზმის (ENI) ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის (CBC) 2014–2020 წლების პროგრამის მართვაში. ის ასევე აქტიურად თანამშრომლობს Interreg NEXT 2021–2027 წლების შავი ზღვის პროგრამაში.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ემზადება, რომ სათავეში ჩაუდგეს ევროკავშირის ერთიანობის პოლიტიკის კოორდინაციას. რეგიონულ დონეზე, ორგანოებს უძღვებიან საქართველოს მთავრობის მიერ დანიშნული სახელმწიფო რწმუნებულები.

საქართველოს იმპლემენტირებული აქვს მრავალწლიანი პროგრამები, ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარების მიდგომის საფუძველზე. რეგიონული განვითარების სტრატეგიები, როგორცაა 2018–2021 წლების რეგიონული განვითარების პროგრამა და 2020–2022 წლების რეგიონების ინტეგრირებული განვითარების საპილოტე პროგრამა (PIRDP) მოიცავენ ევროკავშირის ერთიანობის პოლიტიკაში გამოყენებულ საბაზისო პრინციპებს. საქართველომ იმერეთის რეგიონში დაიწყო ჭკვიანი სპეციალიზაციის (S3) საპილოტე პროგრამა, ევროკომისიის ერთობლივი კვლევის ცენტრის მხარდაჭერით და მისი იმპლემენტაციის დაწყება იგეგმება 2023 წელს.

2019 წლის საჯარო მმართველობის რეფორმამ დაადგინა საჯარო ინვესტირების პროგრამების საშუალებით პოლიტიკის განხორციელებული ინსტრუმენტების **მონიტორინგისა და შეფასების** ვალდებულება.

საქართველო იმყოფება **მომზადების ადრეულ სტადიაზე** რეგიონული პოლიტიკის სფეროში. რეგიონული პოლიტიკის შესახებ სამართლებრივი ჩარჩო საჭიროებს შემდგომ დაახლოებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან, აღნიშნული პოლიტიკის ეფექტურად განხორციელების მიზნით. ქვეყანას სჭირდება მისი ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაძლიერება ევროკავშირის სახსრების დაპროექტების, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების მხრივ, ENI CBC და Interreg NEXT პროგრამებიდან მიღებული გამოცდილების საფუძველზე განვითარების პროცესში. რეგიონული განვითარება და ერთიანობა (*cohesion*) რჩება მნიშვნელოვან გამოწვევებად. საჭიროა ეფექტური კოორდინაცია ხელისუფლების დონეებს შორის შესაბამისი დარგობრივი სტრატეგიული და დაგეგმარების დოკუმენტების მომზადებისა და განხორციელების კუთხით. საჭირო იქნება მეტი შესაძლებლობა (პოტენციალი), გეგმური ჩარევების პრიორეტიზაციის მიზნით, ევროკავშირის სახსრების პროექტირების კონტექსტში.

თავი 33: ფინანსური და საბიუჯეტო დებულებები

წინამდებარე თავი მოიცავს წესებს ევროკავშირის ბიუჯეტის დაფინანსების („საკუთარი რესურსების“) მართვის თაობაზე. აღნიშნული რესურსები ძირითადად შედგება: (i) შენატანებისგან, თითოეული წევრი ქვეყნის მთლიან ეროვნულ შემოსავლებზე დაყრდნობით; (ii) საბაჟო (იმპორტის) გადასახადებისგან; (iii) პლასტმასის გადაუმუშავებელი რესურსისა და (iv) დამატებითი ღირებულების გადასახადიდან მიღებული სახსრებისგან. ევროკავშირის წევრ ქვეყნებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი ადმინისტრაციული შესაძლებლობები, რათა მოახდინონ საკუთარი რესურსების სწორი გაანგარიშების, შეგროვების, გადახდისა და

კონტროლის ადეკვატური კოორდინაცია და უზრუნველყოფა.

ევროკავშირის კანონმდებლობა, რომელსაც უნდა შეესაბამებოდნენ კანდიდატი ქვეყნები და პოტენციური კანდიდატები ეროვნული საბიუჯეტო სისტემების სფეროში დადგენილი არ არის. გარდა საკუთარი რესურსების შესახებ წესებისა და აღნიშნულისთვის დადგენილი პირობების განხორციელებისა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს წინამდებარე თავსა და ევროკავშირის საკუთარი რესურსების სისტემის სწორ განხორციელებაზე არაპირდაპირი ზემოქმედების მქონე თავებს შორის კავშირს. საკუთარი რესურსების შესახებ წესების სწორი განხორციელება უმეტესწილად დამოკიდებულია სხვა თავებში პროგრესზე/დაახლოებაზე, როგორცაა *საბაჟო კავშირი (29), გადასახადებით დაბეგრვა (16), სტატისტიკა (18) და ფინანსური კონტროლი (32).*

ტრადიციულ საკუთარ რესურსებთან დაკავშირებით, საბაჟო კოდექსი, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წელს, ზოგადად დაახლოებულია ევროკავშირის საბაჟო კოდექსთან. თუმცა საქართველომ შემდგომშიც უნდა დაუახლოოს მისი 2019 წლის კანონი – საბაჟო კოდექსი ევროკავშირის საბაჟო კოდექსს. იმპორტის გადასახადით იბეგრება იმპორტირებული საქონელი და აღნიშნული სრულდება საჭიროებისამებრ.

აგრეთვე, საჭიროა ადმინისტრაციული და ფუნქციონალური (ოპერაციული) შესაძლებლობების გაუმჯობესება და საბაჟო სამსახურის რესურსების გაზრდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საინფორმაციო ტექნოლოგიების სექტორში ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაძლიერება. რაც შეეხება **დღგ-ზე დაფუძნებულ საკუთარ რესურსს**, საქართველოს უკვე ნაწილობრივ დაახლოებული აქვს დღგ-ს შესახებ მისი კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობასთან, მაგრამ ზოგიერთი დებულება ჯერ კიდევ საჭიროებს ჰარმონიზაციას. მთლიანი ეროვნული შემოსავლისთვის (მეშ), საჭიროა გადაწყდეს გადასახადების ადმინისტრირების ოპერაციული შესაძლებლობებისა და კომპიუტერიზაციის საკითხი.

ეროვნული ანგარიშები და მთლიანი ეროვნული შემოსავლის(მეშ) მონაცემები არსებობს (შედგენილია), მაგრამ ამჟამად ეფუძნება გაერთიანებული ერების 2008 წლის ეროვნული ანგარიშების ცნებებსა და ანგარიშების წესებს და არა ევროპული ანგარიშების სისტემის 2010 წლის სტანდარტებს. სამუშაოები არ განხორციელებულა ევროპული ანგარიშების 2010 სისტემაზე გადასასვლელად ან არაგადამუშავებადი პლასტმასის თაობაზე ეროვნულ დონეზე მონაცემების შესაგროვებლად და გამოსათვლელად.

საქართველო მოკლებულია შესაძლებლობას, განახორციელოს საკუთარი რესურსების სისტემა. საკუთარი რესურსების სისტემაში ჩართული შესაბამისი ინსტიტუციები ჯერ არ არსებობს და არც ყველა ჩართული ორგანოსთვის სამუშაო პირობები და პროცედურები. არ არის საკუთარი რესურსების კოორდინაციის ორგანო და დადგენილი არ არის განმახორციელებელი წესები.

დასკვნა

საკუთარი რესურსების სფეროში, საქართველო იმყოფება **მომზადების ადრეულ სტადიაზე**. დადგენილია და მოქმედებს პოლიტიკის ძირითადი სფეროებისთვის საბაზისო პრინციპები და ინსტიტუციები, მაგრამ [ეს] საჭიროებს შემდგომ დაახლოებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან. ქვეყანამ ფოკუსირება უნდა მოახდინოს ევროპული ანგარიშების 2010 სისტემის (ESA 2010) ანგარიშგების სტანდარტებთან დაახლოებასა და საკუთარი რესურსების ადმინისტრაციული პირობების იმპლემენტაციის მიზნით მაკოორდინირებელი ორგანოს მოწყობაზე. .

ჯგუფი 6: საგარეო ურთიერთობები

წინამდებარე ჯგუფში ორი თავია: საგარეო ურთიერთობები (თავი 30); საგარეო, უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა (თავი 31).

თავი 30: საგარეო ურთიერთობები

ევროკავშირს აქვს საერთო სავაჭრო და კომერციული პოლიტიკა მესამე ქვეყნების მიმართ, დაფუძნებული მრავალმხრივ და ორმხრივ შეთანხმებებსა და ავტონომიურ [ინდივიდუალურ] ზომებზე. არსებობს აგრეთვე ევროკავშირის წესები ჰუმანიტარული დახმარებისა და განვითარების პოლიტიკის თაობაზე.

ასოცირების შეთანხმება მოითხოვს, საქართველომ მისი კომერციული პოლიტიკა დაუახლოოს ევროკავშირის კანონმდებლობას. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ქვეყნის შიგნით ადგენს, ახორციელებს და კოორდინაციას უწევს სავაჭრო პოლიტიკას.

საქართველო ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) წევრია 2000 წლიდან. საქართველო შეუერთდა სახელმწიფო შესყიდვების პლურილატერალურ შეთანხმებას 1999 წელს და განმცხადებელია 2002 წლიდან. 2016 წელს, ის შეუერთდა ვმო–ს ვაჭრობის ხელშეწყობის შეთანხმების ოქმსა და 2018 წელს, ის ასევე შეუერთდა ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ შეთანხმებაში ცვლილების შეტანის ოქმს.

საქართველო სარგებლობს პრეფერენციული ტარიფის გენერალური სისტემით იაპონიასთან, კანადასთან, შვეიცარიასა და ნორვეგიასთან.

ორმაგი დანიშნულების საგნებთან დაკავშირებით, ქვეყანა ექსპორტზე კონტროლს ახორციელებს „სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის კონტროლის შესახებ“ 2013 წლის კანონის თანახმად. ქვეყანა არ არის ექსპორტის კონტროლის მრავალმხრივი რეჟიმების წევრი, როგორცაა ავსტრალიის ჯგუფი, ვასენარის შეთანხმება, ბირთვულ მიმწოდებელთა ჯგუფი, სარაკეტო ტექნოლოგიების კონტროლის რეჟიმი.

სავაჭრო თავდაცვის ინსტრუმენტებთან დაკავშირებით, საქართველოს მიღებული

აქვს კანონი ანტიდემპინგური ღონისძიებების თაობაზე, მაგრამ არა კანონმდებლობა კომპენსაციური და დამცავი ღონისძიებების შესახებ.

საქართველოს არ აქვს მთავრობის მიერ მხარდაჭერილი **ექსპორტის კრედიტის** სისტემა.

რაც შეეხება **მესამე ქვეყნებთან ორმხრივ შეთანხმებებს**, საქართველო თავისუფალი ვაჭრობის 16 შეთანხმების მხარეა, მათ შორის: თავისუფალი ვაჭრობის ევროპულ ასოციაციასთან, ჩინეთთან, თურქეთსა და გაერთიანებულ სამეფოსთან. საქართველოს პრეფერენციული შეთანხმებები აქვს ზოგიერთ ქვეყანასთან, ვისთანაც ევროკავშირს არ აქვს პრეფერენციული შეთანხმებები: სომხეთი, აზერბაიჯანი, რუსეთის ფედერაცია, თურქმენეთი და უზბეკეთი.

საქართველოს აქვს 34 ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება (BIT) სხვა ქვეყნებთან, მათ შორის ევროკავშირის 16 წევრ ქვეყანასთან, გაერთიანებულ სამეფოსა და ბელარუსთან. აღნიშნული ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები არ შეიცავს ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონული ორგანიზაციის (REIO) დებულებებს, რომელიც უზრუნველყოფდა, რომ აღნიშნული ხელშეკრულებები ზიანს არ აყენებს ევროკავშირის წევრობიდან გამომდინარე უფლებებსა და ვალდებულებებს და [შეიცავს] ყველა საჭირო გამონაკლისსა და დამცავ ზომას, რომელიც უზრუნველყოფდა ევროკავშირის კანონმდებლობის დებულებებთან შესაბამისობას იმ დროს, როდესაც მხოლოდ მათი შეზღუდული ოდენობა ითვალისწინებს ასეთ გამონაკლისებს (*carve-outs*) უპირატესი ხელშეწყობისა და გადაცემის დებულებებიდან.

საქართველოს არ გააჩნია ეროვნული ჩარჩო სტრატეგიულად მგრძობიარე სექტორებში, ინფრასტრუქტურაში, ტექნოლოგიებში ან დანახარჯებში **პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გასაკონტროლებლად**.

საქართველოს არ აქვს რაიმე სპეციალური კანონმდებლობა **ექსპორტის კონტროლის** შესახებ იმ საქონლისთვის, რომელიც შეიძლება გამოყენებული იყოს სიკვდილით დასჯისთვის, წამებისთვის ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისთვის. ქვეყანა არის წამების საშუალებების ვაჭრობის აკრძალვის ალიანსის წევრი. საქართველო არ არის კიმბერლის პროცესის წევრი და ამგვარად არ აკონტროლებს დაუმუშავებელი ბრილიანტებით ვაჭრობას.

ადმინისტრაციული შესაძლებლობების კუთხით, საქართველომ აჩვენა კარგი პოტენციალი საგარეო კომერციულ ურთიერთობებში, ვმო–ს წევრი ქვეყნის როლში, მისი ვალდებულებების მართვისა და DCFTA–ს განხორციელების დროს. აღსრულების მხრივ, ინსტიტუციური შესაძლებლობები გაძლიერდა და მოდიფიცირებული იყო DCFTA–ს ქვეშ ქვეყნის საკანონმდებლო (რეგულაციური) დაახლოების ვალდებულებების შესაბამისად. .

განვითარების პოლიტიკასა და ჰუმანიტარულ დახმარებასთან დაკავშირებით,

საქართველო დახმარების პროგრამების მიმღებია, ჰუმანიტარული დახმარების გამცემის (დონორის) ნაცვლად. ქვეყანას მხოლოდ შეზღუდული დახმარება აქვს აღმოჩენილი სხვა ქვეყნებისთვის. საქართველოს არ აქვს კანონმდებლობა ჰუმანიტარული დახმარების თაობაზე და არ აქვს გამოყოფილი ბიუჯეტის ხაზი ამ მიმართულებით. თუ მთავრობის მიერ დამტკიცდება კონკრეტული (*ad hoc*) შემთხვევისთვის ჰუმანიტარული დახმარება, ის გადახდილია პრემიერ-მინისტრის აპარატის სარეზერვო ფონდიდან ან საგარეო საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტიდან. არ არის ჩამოყალიბებული გამოყოფილი ადმინისტრაციული სტრუქტურები. საქართველოს არ აქვს კანონმდებლობა განვითარების პოლიტიკის შესახებ.

დასკვნა

საქართველო **საშუალოდ მომზადებულია** საგარეო ურთიერთობების სფეროში. მას აქვს კარგი ადმინისტრაციული შესაძლებლობა, საგარეო კომერციულ ურთიერთობებში ვალდებულებების სამართავად და როგორც ვმო–ს წევრი, უკვე იცავს ძირითადი მრავალმხრივი სავაჭრო შეთანხმებების დიდ ნაწილს, რომელსაც ევროკავშირი ასევე იცავს. უფრო მეტი უნდა გაკეთდეს პირდაპირი უცხოური ინვესტიციებთან (FDI), ორმაგი დანიშნულების საქონლის ექსპორტზე კონტროლსა და ექსპორტის კრედიტთან დაკავშირებით.

თავი 31: საგარეო, უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა

ევროკავშირის წევრ ქვეყნებს უნდა შეეძლოთ პოლიტიკური დიალოგის განხორციელება ევროკავშირის საგარეო, უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში, ევროკავშირის განცხადებებთან შესაბამისობა, მონაწილეობა ევროკავშირის მოქმედებებში და შეთანხმებული სანქციებისა და შემზღუდველი ღონისძიებების მიღება.

ევროკავშირის კანონმდებლობა (*acquis*) შედგება ევროპის საბჭოს გადაწყვეტილებებისგან, პოლიტიკური დეკლარაციებისგან, ერთობლივი მოქმედებებისგან, საერთო მოსაზრებებისა და შეთანხმებებისგან. განმცხადებელ ქვეყნებს მოეთხოვებათ თანდათანობით დაახლოება ევროკავშირის განცხადებებთან და შემზღუდველი ღონისძიების მიღება, როდესაც და სადაც საჭირო იქნება.

31-ე თავი ნაწილობრივ მოცემულია ასოცირების შეთანხმებაში/DCFTA–ში. ასოცირების შეთანხმების მოქმედების პერიოდში, საქართველოს ჰქონდა 43–61% შესაბამისობის მაჩვენებელი ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის (CFSP) დეკლარაციებსა და შემზღუდველ ღონისძიებებთან მიმართებაში, ახლანდელ პერიოდში აღინიშნება რა შესაბამისობის მაჩვენებლის ვარდნა განცხადებების მხრივ. თუმცა არ არის მიღებული სანქციების შესახებ კანონმდებლობა, გაერთიანებული ერების მიერ მიღებული შემზღუდველი ღონისძიებების გარდა, სხვა ღონისძიებების განსახორციელებლად, საქართველოს

მთავრობას შეუძლია მიიღოს ევროკავშირის მიერ მიღებული სანქციები ასეთ სანქციებთან შესაბამისობის (დაახლოების) შემთხვევაში. საქართველო არ შეუერთდა სანქციებს რუსეთის, ბელარუსისა და მიანმარის წინააღმდეგ და არც გადაწყვეტილებებს, რომელიც მიღებული იყო ევროკავშირის მსოფლიო მასშტაბით ადამიანთა უფლებების სანქციების რეჟიმის ქვეშ.

ევროკავშირი და საქართველო ჩართულნი იყვნენ ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკასთან დაკავშირებით (CFSP) პოლიტიკურ დიალოგში, ევროკავშირისა და საქართველოს ასოცირების საბჭოს ფარგლებში. ამასთანავე, 2017 წლიდან ტარდება წლიური უმაღლესი დონის პოლიტიკური და უსაფრთხოების დიალოგი, რეგულარული კომუნიკაციისათვის დამატებისა და ეტაპობრივი დაახლოების შემდგომ ხელშეწყობის მიზნით.

საკითხები დაკავშირებული ევროკავშირის ერთიან საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკასთან ექცევა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს კომპეტენციის ქვეშ, რომელიც ახორციელებს სხვა ქართული ორგანოების (მათ შორის თავდაცვის სამინისტროს) საგარეო მოქმედებების კოორდინაციას.

ასოცირების შეთანხმების ქვეშ, საქართველომ აიღო ვალდებულება, გააძლიეროს დიალოგი და თანამშრომლობა და ხელი შეუწყოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში, მათ შორის უსაფრთხოებისა და თავდაცვის საერთო პოლიტიკაში (CSDP), ეტაპობრივ დაახლოებას. უკანასკნელი წლების განმავლობაში გაუმჯობესდა თანამშრომლობა უსაფრთხოებასა და თავდაცვაში, ძირითადად ევროპის სამშვიდობო ინსტრუმენტის (EPF) ფარგლებში. საქართველო აქტიურად იღებს მონაწილეობას ევროკავშირის EU CSDP მისიებსა და ოპერაციებში 2014 წლიდან. ის ამჟამად მონაწილეობს ევროკავშირის საწვრთნელ მისიაში, ცენტრალურ აფრიკულ რესპუბლიკაში, სადაც 32 პირი უზრუნველყოფს დაცვას და ასევე მალიში ევროკავშირის საწვრთნელ მისიაში, ერთი სამხედრო ოფიცრის სახით. ევროკავშირის მონიტორინგის მისია არის მონიტორინგის ერთადერთი საერთაშორისო მისია ქვეყანაში, რომელიც საქართველოშია 2008 წლიდან.

უსაფრთხოების დონისძიებებთან დაკავშირებით, 2016 წელს საქართველომ და ევროკავშირმა ხელი მოაწერეს „საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და დაცვის უსაფრთხოების პროცედურების შესახებ“ შეთანხმებას. ის ძალაში შევიდა 2017 წელს და განმახორციელებელი დებულებები შეთანხმდა 2020 წლის მაისში. შეთანხმება ჯერ არ არის სრულად განხორციელებული და მოქმედი. საქართველო კონსტრუქციულად თანამშრომლობს საერთაშორისო ფორუმებში და მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრია, მათ შორის: გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ევროპის საბჭო, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია და შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია. საქართველომ მოახდინა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს თაობაზე რომის სტატუტის რატიფიკაცია 2003 წელს. საქართველო ისწრაფვის

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში გაწევრიანებისკენ (რაც ასევე განმტკიცებულია მისი კონსტიტუციით) და აქტიურად იღებს მონაწილეობას NATO–ს ოპერაციებში.

საქართველო აქტიურად არის ჩართული განიარაღებისა და გაუვრცელებლობის საკითხების მხარდაჭერის მიმართულებით საერთაშორისო, რეგიონულ და ორმხრივ დონეებზე. საქართველო ასრულებს ყველა მის ვალდებულებას ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოსადმი, ქიმიური იარაღის და ბიოლოგიური იარაღის აკრძალვის კონვენციის ორგანიზაციისა და ბიოლოგიური იარაღის კონვენციისადმი. საქართველომ ხელი მოაწერა იარაღით ვაჭრობის ხელშეკრულებას 2014 წელს და მოახდინა მისი რატიფიცირება 2016 წელს.

დასკვნა

საქართველო **საშუალოდ მომზადებულია** ამ სფეროში. საჭიროა დამატებითი ძალისხმევა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში დაახლოების გასაზრდელად, კერძოდ, ევროკავშირის განცხადებებთან და გადაწყვეტილებებთან დაახლოების და, ასევე, როდესაც და სადაც საჭიროა შემზღვევლი ღონისძიებების გამოყენების მიმართულებით.